ციხეებში ბუნტია მოსალოდნელი A2

ნათელაშვილი რჩეულიშვილის მიერ დატოვებულ სიცარიელეს ავსებს A2

კანონიერების კულტურა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 13 იანვარი, 2004 წელი. №9 (558) | ფასი 50 თეთრი

კორუფციული გველეშაპის წინააღმდეგ

სოფო ბუკია

შემოვლითი გზების აფეთქებით, კრიმინალებთან და კონტრაბანდისტებთან ბრძოლითა და საროსკიპოების აფორიაქებით სახელმოხვეჭილი შიდა ქართლის გუბერნატორი ახალ თანამდებობაზე გადაჰყავთ. მიხეილ სააკაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე წარადგინა და საკმაოდ რთული ამოცანა დაუსახა – ოქრუაშვილმა "კორუფციის ცხრათავიან ურჩხულს" თავები უნდა მოაჭრას.

"მე მჭირდება, დამხვდეს ისეთი გენერალური პროკურორი, რომელსაც კორუმპირებულ კლანებზე პირდაპირ დოსიეები ექნება გამზადებული, საქმეები, რომლებსაც ჩვენ წინ დავიდებთ და განვიხილავთ. ერთადერთი პასუხი, რომელსაც ჩემგან მიიღებს გენერალური პროკურორი, ეს არის - ვიმოქმედოთ გაბედულად, უკანმოუხედავად. განსხვავებით შევარდნაძისგან, მე არ ვეტყვი ჩემს გენერალურ პროკურორს: შეწყვიტე საქმე და ვიღაცა არ დაიჭირო. ყველა, ვინც დასაჭერია, უნდა დავიჭიროთ," – კრწანისის რეზიდენციაში გამართულ ბრიფინგზე სააკაშვილმა ოქრუაშვილს პირველი დავალება უკვე მისცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: "ყველა, ვინც დასაჭერია, უნდა დავიჭიროთ!"

ვახო ბაქრაძე, ფოტო

უშიშროების საბჭო - არსობრივი ცვლილება თუ კოსმეტიკური რემონტი

ამ დღეებში, სახელმწიფო უშიშროების საბჭომ არჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აღნიშნულ უწყებაში გასატარებელ ცვლილებათა პაკეტი გადასცა. უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი გახოკიძე, რომელმაც "24 საათთან" საუბრისას ამ სისტემაში თავისი ხუთწლიანი მოღვაწეობის გამოცდილებაზე გაამახვილა ყურადღება, იმედოვნებს, რომ ბატონი სააკაშვილი მათ მიერ შემუშავებულ წინადადებებს გაითვალისწინებს. ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის მქონე სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე უშიშროების საბჭოს რეფორმის აუცილებლობის შესახებ განაცხადა და უწყების დღევანდელი საქმიანობა ისე მკაცრად გააკრიტიკა, რომ საბჭოს სხდომები ძილისმომგვრელ ოთახს შეადარა.

ვერიკო თევზაძე

ჯემალ გახოკიძის განმარტებით, უშიშროების დღევანდელი საბჭო მუშაობის ახალ სტრუქტურაზე, დაახლოებით, ერთი წლის წინ, მას შემდეგ გადავიდა, როცა საბჭოს სათავეში ჩაუდგა თედო ჯაფარიძე. **"მაშინ საბჭოს საქმიანობაში ახალი მიმართულებები გაჩნდა, მათ შორის ისეთები, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური უსაფრთხოებები. ჩვენ არც ერთი უწყების დუბლირებას არ ვახდენთ. ამ სფეროებში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შევიმუშავებთ გარკვეულ პროგნოზებს, ვამზადებთ ანალიტიკურ მასალას, რომელიც პრეზიდენტს უნდა მოხსენდეს. ერთ მაგალითსაც გეტყვით: ადრე საგარეო პოლიტიკის ხაზით ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგია არ გვქონდა, დღეს ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ."**

ჯემალ გახოკიძე უშიშროების საბჭოს მუშაობაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ძალოვანი სტრუქტურების კოორდინაციას მიიჩნევს და დასძენს, რომ ბოლო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, დამნაშავეობასთან ბრძოლის თვალსაზრისით წარმოებულ ოპერაციათაგან, ბევრი სწორედ უშიშროების საბჭოსთან არის შეთანხმებული: **"ჩვენ და ძალოვანი სამინისტროები ძალიან ბევრ საქმეს ვაკეთებთ ერთობლივად. ამის ნათელ მაგალითად მაღლაკელიძის ტყვეობიდან გათავისუფლება გამოდგება... ახლა ჩვენთვის ნომერ პირველი ამოცანაა ისეთი დანაშაულების გახსნა, როგორიცაა ადამიანთა გატაცება, ყაჩაღობა და ძარცვა. ჩვენი მოქალაქეები ასევე შეწუხებულნი არიან ავტომანქანების გატაცებით. დაუნდობლად ვებრძვით ე. წ. კანონიერ ქურდებს. რაც დრო გავა, ჩვენი მუშაობის ეფექტურობა საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდება."**

წინადადებათა პაკეტზე, რომელიც უშიშროების საბჭომ სააკაშვილს სამი დღის წინ გადასცა, ჯემალ გახოკიძე ზოგადად დასძენს, რომ ამ ცვლილებების შემუშავებისას მათ გაითვალისწინეს როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების, ასევე დიდი სახელმწიფოების, მათ შორის, შეერთებული შტატების და თურქეთის გამოცდილება.

გაგრძელება A3 გვერდზე

კულტურის ატაშე მოსკოვიდან - ია ნინიძე

ნანა ბასილაშვილი

უკვე მერვე წელიწადია, რაც ცნობილი ქართველი მსახიობი ია ნინიძე, სხვა მრავალ ქართველ ხელოვანთა მიერ რუსეთისკენ გაკვალულ გზას დაადგა. შვიდი წლის განმავლობაში რუსულ თეატრში, კინოსა და ესტრადზე მოღვაწეობის პარალელურად, 2003 წლის სექტემბრიდან, იგი მოსკოვის მერიის კულტურის ატაშედ მუშაობს. ია ნინიძემ საქართველოსთან პირველი მოლაპარაკებები უკვე აწარმოა, თუმცა მიღწეულ შეთანხმებებსა და საინტერესო პროექტების განხორციელებას, ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობასთან ერთად უნდა ველოდოთ.

ია ნინიძე თბილისში რამდენიმე კვირით იყო ჩამოსული. შობა-ახალ წელსა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს სამშობლოში, ქალიშვილთან ერთად დაესწრო.

გაგრძელება B2 გვერდზე

ია ნინიძე კარგ ხასიათზეა.

ვახო ბაქრაძე, ფოტო

პოლიტიკა

უცნაური მახსოვრობა და მხედველობა

უცნაური მეხსიერება აქვს გურამ შარაძეს. მას დღემდე ახსოვს რიგ საკითხებზე ათი წლის წინათ გამოხატული საკუთარი პოზიცია, მაგრამ "დაავიწყდა" ის განცხადებები, რომელსაც სულ რაღაც ორიოდე თვით ადრე აკეთებდა - 2 ნოემბრის არჩევნების წინ შარაძე "იმუქრებოდა" - იმ ქვეყანაში არ ვიცხოვრებ, რომლის პრეზიდენტიც სააკაშვილი იქნებაო.

A3

ეკონომიკა

იყიდება ფოთის პორტის ტერმინალები

უახლოეს დღეებში ფოთის პორტის ნავსადგურის ორ ტერმინალს 10-15 წლით გასცემენ იჯარით. ტენდერს პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის 12 მარტის ბრძანებულებით შექმნილი სატენდერო კომისია ატარებს და, როგორც ჩანს, საკმაოდ ჩქარობს.

A4

უცხოეთი

ირანში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ იმ პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა გადაწყვიტა, რომელიც რეფორმატორი პოლიტიკოსებისათვის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვის გამო დაიწყო.

A5

საზოგადოება

„ქმარა" აბაშიძეს რევოლუციის მოწყობაში ეხმარება

" შევარდნაძემ თავად მოაწყო რევოლუცია საქართველოში - ჩვენ, უბრალოდ, ხელი შევუწყვეთ მას. იგი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას გადაჰყვა. აბაშიძეც თავად აწყობს რევოლუციას აჭარაში და ჩვენ სრულ გარანტიას ვაძლევთ, რომ აუცილებლად შევუწყობთ ხელს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მისი დიქტატურა," – ასეთ გარანტიებს აძლევდნენ "კმარას" აქტივისტები ასლან აბაშიძეს.

A6

სამართალი

ახალი ანტიკორუფციული ტალღა იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა რამდენიმე დღიანი მუშაობის შემდეგ სამინისტროში არსებულ კორუფციაზე ალაპარაკდა.

A7

ამინდი

თბილისი	9
ქუთაისი	12
ბათუმი	14
სოხუმი	11
ფოთი	13
თელავი	8
ზუგდიდი	13
გორი	7
ახმეტა	8
ჭიათურა	9
გაგრა	8
სამტრედია	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1200
ევრო	2.6940
გირვანქა სტერლ.	3.8775
რუბლი	0.0731

გენერალურ პროკურატურაში უძრაობის ხანა დასრულდა

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისგან მოულოდნელი ის უფრო გახლდათ, ორიოდ დღის წინ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს სისტემაში მყოფი ერთადერთი ნათელი წერტილი რომ უწოდა, თორემ თავისი მმართველობის დაწყებას ის გენერალურ პროკურორად საკუთარი თანაგუნდელის დანიშვნით რომ აპირებს, ამაში გასაკვირი არაფერია.

საქართველოს ახალ რეალობას გენერალური პროკურორის რანგში ნუგზარ გაბრიჩიძის ფიგურა ნამდვილად არ შეეფერებოდა. მიხეილ სააკაშვილის მკაცრი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება ძველი სისტემის ღვიძლ შვილად აღიარებული პროკურატურის კედლებში აღზრდილ-გამოწრთობილი კადრის მიერ, სხვა თუ არაფერი, ძნელი წარმოსადგენი გახლდათ. თუმცა, თუ გავიხსენებთ, თავად გაბრიჩიძის ამ თანამდებობაზე დანიშვნას წინ მინირევოლუციური

გაგრძელება A7 გვერდზე

ბათუმური დიქტატის წინააღმდეგ სასულიერო პირებიც ერთიანდებიან

ნინო ცინცაძე

"მე აღფრთოვანებული ვარ იმ ახალგაზრდების მოქალაქეობრივი პოზიციით, რომლებიც დღეს აჭარაში თავიანთ სიცოცხლეს სწირავენ და ასე უპირისპირდებიან დიქტატორულ სახელმწიფოებრივ მანქანას. მრცხვენია კიდეც, რომ მე, რომელიც ახალგაზრდებს უნდა ვმოძღვრავდე, თავად ასეთი მოქალაქეობრივი სიმამაცე არასოდეს გამომიჩენია. მე აქ მშვიდად ვლაპარაკობ, ჩემს ქვეყანაში კი ახალგაზრდები ციხეში სხედან," – ასე გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას გუშინდელ პრესკონფერენციაზე დეკანოზი ბასილ კობახიძე.

გუშინ სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა - დეკანოზმა ბასილ კობახიძემ და მღვდელმა ზაზა თევზაძემ პრესკონფერენცია მოიწვიეს.

გაგრძელება A6 გვერდზე

ბუშს სადამის დამხობა ადრევე ჰქონდა ჩაფიქრებული

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა პოლ ო`ნილმა პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო. მან თავის ყოფილ შეფს ბრალი დასდო, თითქოს ბუში ერაყში შეჭრას ჯერ კიდევ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამდე გეგმავდა.

"თავიდანვე იყო განწყობა, რომ სადამ ჰუსეინი ცუდი ადამიანი იყო და ის უნდა წასულიყო," - განუცხადა ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-ის გადაცემა "60 წუთს."

პოლ ო`ნილს ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ორი წლის განმავლობაში ეკავა. ის პოსტიდან 2002 წლის დეკემბერში გადადგა და ამის მიზეზად ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაზე ადმინისტრაციის წევრებთან უთანხმოება დაასახელა. როგორც შემდეგ გაირკვა, ის არც ბუშის საგარეო პოლიტიკას ეთანხმებოდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 კანონიერების კულტურა

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

შაშიაშვილი ქურდებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ

თემურ საშიაშვილის ფოტო

შაშიაშვილი დამნაშავეთა სამყაროსთან მებრძოლის პირველობას არ თმობს.

იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, ამჟამად ჯერ კიდევ დაუფუძნებელი მოძრაობის მომავალი ლიდერი კვლავ იმ "კრიმინალურ საფრთხეზე" საუბრობს, რომელიც ქვეყანას ემუქრება. იგი, ერთი მხრივ, მიესალმება მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ ბრძოლას კრიმინალის წინააღმდეგ, თუმცა დასძენს: **"მანამ, სანამ მაღალჩინოსანთა ის წრე არ გამოაშკარავდება, რომელიც ქურდებს მფარველობს, ან არ გამოვლინდებიან ის კრიმინალები, რომლებიც ხელისუფლებისკენ ილტვიან, ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე იდგება".**

მოკლედ, თემურ შაშიაშვილი ყველას კანონიერი ქურდების წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყებისაკენ მოუწოდებს და აქვე აცხადებს, რომ **"ასეთ ადამიანებს იგი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ საჯაროდ ამხელდა, თუმცა არც პრეზიდენტს და არც ძალოვან უწყებებს მისი ბრალდებები არ გაუთვალისწინებიათ".**

რატომ ჩამოვიდა ხავერდოვანი რევოლუციიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტარიელ ონიანი საქართველოში და ვის შეხვდა იგი? რატომ დაიწყო ხელისუფლებამ ბრძოლა დღეს იმ პირების წინააღმდეგ, ვისაც იგი ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინ ამხელდა? ვინ მფარველობდა თავის დროზე თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულ მხედრიონელებს? ვინ არიან ის მაღალჩინოსნები, ვინც საქართველოში ჩამოსულ ტარიელ ონიანთან ერთად ქეიფობდნენ? – ეს ის კითხვებია, რომელზეც შაშიაშვილს პასუხი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, მას არავინ უსმენს... მისივე თქმით, გასარკვევია, თუ დღემდე რომელი პოლიტიკოსები უჭერენ მხარს ონიანზე არანაკლებ ცნობილ კალაშოვს.

შაშიაშვილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლებას ქურდები განსაკუთრებით არჩევნებისთვის სჭირდებათ. მისი თქმით, მაღლაკელიძის გატაცებაში ეჭვმიტანილი გოგებერაშვილი სპარლამენტო არჩევნების წინ, ციხიდან ვადამდე ადრე სწორედ იმ შუამდგომლობის წყალობით გამოუშვეს, რომელსაც ხელს რამდენიმე პარლამენტარი აწერს. იგი გამოძიებისგან მოითხოვს, საგანგებო ყურადღება დაუთმონ ამ შუამდგომლობას და პასუხი იმ პარლამენტარებს მოსთხოვონ, რომლებიც გოგებერაშვილის შეწყალებაზე აწერდნენ ხელს.

"საქართველოში ქურდებთან ბრძოლა სწორედ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა შევებრძოლებით იმ ქურდებს, რომლებიც კავშირში არიან ხელისუფლებასთან ან თავად არიან ხელისუფლებაში, " - აცხადებს შაშიაშვილი და იქვე ამტკიცებს, რომ ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი ყველა კანონიერი ქურდი რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელია.

"ჩემს ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის თაობაზე უშიშროების მინისტრიც საქმის კურსში ჩავაყენე, მაგრამ მას რეაგირება არ მოუხდენია. მე არ ვიცი, შეუშალა ხელი თუ არა ვინმემ მას მოქმედებაში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება", - ამბობს თემურ შაშიაშვილი.

და კიდევ: ყოფილი გუბერნატორი ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობის დამყარებას წინასწარმეტყველებს. **"ივნისამდე, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით აშკარა ხდება, რომ ყველა რეალური ოპოზიციური ძალა წაგებულია. 28 მარტს ერთპარტიული არჩევნები ტარდება,"** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას შაშიაშვილმა, რომელიც ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებისათვის ემზადება.

ამ მოძრაობის თაობაზე თემურ შაშიაშვილი ოფიციალურ განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებს.

24 საათი

გამგებელი შავი სამყაროს გააქტიურებას საკადრო ცვლილებებს აბრალებს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ახალი წლის შემდეგ კახეთი ისევ ჩაბნელდა. საშველი კი არც ხადორჰესიდან ჩანს. ამ ყველაფერს დაერთო კრიმინალური ვითარების გაუარესებაც. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობა დამნაშავეებისგან გაიწმინდა, რიგ რაიონებში მკვლელობები გახშირდა, რომ არაფერი ვთქვათ იმ წვრილმან ქურდობებზე, რომელიც ყოველდღიურად ხდება.

თელავის რაიონში შექმნილ კრიმინალურ სიტუაციებზე, საკადრო ცვლილებებზე და ელექტროენერგიის მომარაგების პრობლემებზე გუშინ თელავის გამგებელმა პრესკონფერენცია გამართა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიანაც არ მოსდით თვალში თელაველებს, გამგებელი, ხალხის გულის მოსაგებად, მეტად ორიგინალური ინიციატივით გამოდის. გელა კირვალიძე რაიონის მოსახლეობას თითოეულ უბანზე დიზელზე მომუშავე გენერატორების დამონტაჟებას სთავაზობს. **"მიუხედავად იმისა, რომ რაიონის მოსახლეობა დენის საფასურს იხდის და შუქი მაინც არ მოგვეწოდება, იძულებული გავხდი ამ იდეით ბიზნესმენებისთვის მიმემართა და შედეგმაც გაამართლა. რაც შეეხება ერთი კილოვატის საფასურს, იგი შვიდ თეთრზე ზევით არ ავა,"** - ამბობს კირვალიძე. თუ სად მიდიოდა დღემდე მოსახლეობიდან აკრეფილი თანხები, გამგებელი ამით არ ინტერესდება. იგი მიიჩნევს, რომ ამ დროისთვის მთავარია ვეძებოთ ის გზა, რომელიც ქვეყანას ფეხზე დააყენებს. ხადორის იმედი კი არც კირვალიძეს აქვს, რადგან ჰესიდან გამომუშავებულ ენერგიას ძირითადად დედაქალაქს მიაწვდიან.

ახალი ინიციატივის განხორციელებას სამი თვე სჭირდება, მანამდე კი კირვალიძე რაიონში კრიმინალური ვითარების გამოსწორებას ცდილობს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს თელავში ერთმანეთს შავი სამყაროს ლიდერები დაერივნენ, რამაც რაიონის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ამ ყველაფერში კი გამგებელი ნოემბრის რევოლუციის გმირებს ადანაშაულებს. **"ახალ მთავრობას რომ არ დაეწყო საკადრო ცვლილებები, ასე არ აირეოდა რეგიონში მდგომარეობა. მთელი ყურადღება ამჯერად მიმართულია, თუ ვინ როგორ შერჩება სამსახურს. ამიტომაცაა, რომ რეგიონის ძალოვანები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ დანაშაულებებს, რომლებიც ხდება,"** - ამბობს კირვალიძე. თელავის გამგებელი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას უახლოეს მომავალში გეგმავს, თუმცა მოახერებს თუ არა ამას, ეს ძნელი სათქმელია, რადგან ბრძოლა სავარძლებისთვის თელავში მიმდინარე კვირას დაიწყება.

ქრწანისელების გაფიცვა

ნიკა მარიამიძე

გუშინ სახელმწიფო კანცელარიის წინ გარდაბნის რაიონის სოფელ ქრწანისის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გია ჭანტურიას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას სთხოვდნენ. აქციის მონაწილეებს მთავრობა არ შეხვედრია. უკმაყოფილო კრწანისელები გუშინვე, დაახლოებით შუადღისთვის გაიფანტნენ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა გარდაბნის რაიონის სოფელი კრწანისი უნდა გადაკვეთოს. მოსახლეობა შიშობს, რომ ეს სოფლის დაბინძურებას გამოიწვევს და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. **"ჩვენ მილსადენის მშენებლობას არ ვაპროტესტებთ, უბრალოდ - გვსურს, რომ ამ პროცესმა არავის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს. ჩვენი სოფლის მახლობლად სამხედრო პოლიგონი მდებარეობს და გვეშინია, რომ ეს ნავთობსადენის აფეთქების საშიშროებას გაზრდის. არადა, მშენებლობის დაწყების დღიდან ჭანტურია კომპენსაციების გაცემას გვპირდებოდა, მაგრამ - ამაოდ. ეს დაპირება დაპირებად დარჩა,"** – აცხადებდნენ გუშინ კრწანისელები.

თუმცა, მილსადენის ოპერატორი კომპანია "ბი-პი" მიიჩნევს, რომ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნები უსაფუძვლოა. **"მილსადენი სოფელ კრწანისის ტერიტორიას არ კვეთს, ამიტომაც ჩვენ ამ სოფლის მიწების შესყიდვას და მიწის კომპენსაციის გაცემას არ ვაპირებთ. "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობამ სოფლის მოსახლეობას ეს საკითხი არავრთხელ განუმარტა, მაგრამ ისინი საპროტესტო აქციებს მაინც რეგულარულად მართავენ,"** – აცხადებენ კომპანიაში და აკონკრეტებენ, რომ "ბი-პი" მიწას მხოლოდ იმ ტერიტორიებზე ყიდულობს, სადაც უშუალოდ ნავთობსადენმა უნდა გაიაროს, ხოლო მიწის კომპენსაციები მხოლოდ მილსადენის დერეფანში მოქცეული მიწის ნაკვეთების მფლობელებს ეკუთვნით.

რაც შეეხება კრწანისელების შეშფოთებას ნავთობსადენის სავარაუდო აფეთქებასთან დაკავშირებით, "ბი-პი"-ში აცხადებენ, რომ მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს და მილსადენის უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული. კრწანისელების აღშფოთებას კი მილსადენის ოპერატორები მხოლოდ იმით ხსნიან, რომ ისინი ნავთობსადენის დერეფნის მიღმა და, შესაბამისად, მიწის კომპენსაციების გარეშე დარჩნენ.

უახლოეს პერიოდში ჰურის ფასი არ მოიმატებს

თამარ ივანიძე

"საქართველოში უახლოეს თვეებში პურის ფასი არ მოიმატებს," - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ გუშინ სახელმწიფო მინისტრის კაბინეტიდან გამოსული საქართველოს ეკონომიკური ბლოკის მინისტრები.

პურის ფასის გაძვირება დღის წესრიგში ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დადგა, როცა ხორბლის მოსავლის შემცირებამ რუსეთსა და უკრაინაში, თავად ამ "ხორბლის ბელღად" ცნობილ ქვეყნებში ფასები დაახლოებით 20 პროცენტით გაზარდა. საქართველოში გასულ წელს ერთი ტონა ხორბალი 15 ლარით გაიზარდა და მისმა ფასმა 40 ლარი შეადგინა.

შესაბამისად, პურის ფასიც რამდენიმე თეთრით გაიზარდა, თუმცა - არა "ნახტომისებურად", როგორც საქართველოს ხელისუფლებაში უყვართ აღნიშვნა, ანუ კრიზისის დაძლევა საქართველოში გასულ შემოდგომაზე მოხერხდა; მოხერხდა საერთაშორისო დახმარებებისა და "მარაგების" შექმნის გზით.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ პურის ფასის გაძვირების თემა ამ პერიოდში პოლიტიკურ კონტექსტში იყო აყვანილი და სოფლის მეურნეობის დღევანდელ მინისტრს - დავით კირვალიძეს ძველი და ახალი პრეზიდენტების მხრიდან სერიოზული კრიტიკისა და მუქარის მოსმენა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგზის მოუხდა.

გუშინ სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ იმედიანად გამოიყურებოდა და ამბობდა, რომ პურის ფასზე "ნახტომისებური ზრდა" არ იგეგმება, თუმცა შესაძლებელია, ფასი რამდენიმე თეთრით გაიზარდოს.

დავით კირვალიძის შეფასებით, მსოფლიოს ხორბლის ბაზარზე არსებული დეფიციტი საქართველოს, ჯერჯერობით, სერიოზულად არ ემუქრება. ამის გარანტიას აშშ-ს მთავრობის დახმარებით მიღებული 50 ათასი ტონა ხორბალი იძლევა. ამერიკელი კოლეგები საქართველოს დაჰპირდნენ უახლოეს თვეებში ხორბლის კიდევ ერთი პარტიის გამოგზავნას, რაც ქვეყანაში არსებულ რეზერვს შეავსებს. ამასთან, იგეგმება ხორბლის შესყიდვა კანადასა და ავსტრალიაში.

ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმაც გუშინ განაცხადა, რომ ქვეყანას საკმარისი მარაგი გააჩნია იმისთვის, რომ ფასების ზრდის პროცესი **"კონტროლზე იყოს აყვანილი".**

6 მილიონი თბილსრესისათვის

თუ პარლამენტმა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) კრედიტის რატიფიცირება მოახდინა, ერთი კვირის ვადაში შესაძლებელი გახდება თბილსრესის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი 100-მეგავატიანი ენერგობლოკის ამუშავება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, KFW-ს მიერ გამოყოფილი 32 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტიდან თბილსრესს 6 მილიონი ევროს ოდენობის სასაქონლო დახმარება ერგება. მინისტრის განცხადებით, ბლოკის ამუშავების შემთხვევაში ენერგოსისტემას 100 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია დაემატება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა "24 საათს" განუმარტა, ეს 32 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი თავიდან მთლიანად ვარციხის ჰესების კასკადისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ვარციხის ჰესების მმართველმა ბერძნულმა კომპანია "ტერნამ" ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო, ბანკმა კრედიტის გამოყოფა გადაიფიქრა; **"თუმცა მოგვიანებით ჩვენ მივაღწიეთ ამ კრედიტის სხვანაირად გაშიფვრას – შევთანხმდით, რომ კრედიტი მაინც გამოიყოფოდა, საიდანაც 12 მილიონი – ვარციხის ჰესებს, 12 მილიონი – სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის "ალავერდის" რეაბილიტაციას, დანარჩენი კი "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და თბილსრესს მოხმარდებოდა. თბილსრესისთვის გერმანიიდან მარაგნაწილები უნდა ჩამოვიტანოთ. რეკონსტრუქციის შემდგომ კი გერმანული მხარე ამ ბლოკებისთვის გაზს თავად შეისყიდის,"** – აცხადებს ნიკოლაიშვილი. მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ ბლოკების რეაბილიტაცია აუცილებელია. **"დღეს სხვა გზა არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბლოკები ხარჯიანია, ისინი ჩვენი საკუთრებაა და დეფიციტის შესავსებად გამოგვადგება,"** – ასეთია მინისტრის პოზიცია. მისი თქმით, ამავე თანხით გათვალისწინებულია "ვალების მომსახურების სააგენტოსა" და კრედიტორი ბანკის მრჩევლის დაფინანსება.

24 საათი

სავარაუდოდ, მირცხულავას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დღეს ჩაუტარდება

გუშინ გენერალურმა პროკურატურამ ვერ უზრუნველყო ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავასთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. 18 დეკემბერს, დაკავებისთანავე დაწყებული დაკითხვიდან გულის შეტევით საავადმყოფოში გადაყვანილი დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ადვიკატის ეკა ბესელიას თქმით, დღემდე ძალზე მძიმეა. მისი მკურნალი ექიმებიც გამოძიებას მისი დაკითხვის ნებას ჯერჯერობით არ რთავენ; თუმცა გენერალური პროკურატურის გამომძიებლებს ეჭვმიტანილის მდგომარეობის სიმძიმეში დარწმუნება სურთ და ამ მიზნით გადაწყვიტეს მისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტიზაში ცამეტი, სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციის მედიკოსი უნდა ჩაერთოს, რომელთა შეკრების ორგანიზება, ეკა ბესელიას თქმით, გუშინ გენერალურმა პროკურატურამ ვერ მოახერხა. სავარაუდოდ, ექიმები დღეს შეიკრიბებიან და დავით მირცხულავასთვის ზუსტი დიაგნოზის დასმას შეეცდებიან. ექსპერტიზა იმ საავადმყოფოში ჩატარდება, სადაც მირცხულავა ამჟამად მკურნალობს, მის პალატას კი პოლიციელთა ჯგუფი იცავს. ადვოკატი ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ გენერალური პროკურატურა განგებ ჭიმავს დროს და ექსპერტიზის ჩატარება იმ დროისთვის სურს, როდესაც მირცხულავას მდგომარეობა უკვე სტაბილური იქნება.

24 საათი

ნოდარ ნათაძე რუსულ ბაზებს ერეკება

თემურ საშიაშვილის ფოტო

ნოდარ ნათაძეს ვერ გაუგია, რატომ თანხმდება საქართველო სამ წელიწადს.

"საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულოს ვალდებულება საქართველოს მოსახლეობის წინაშე და მიაღწიოს საქართველოდან რუსების ბაზების გაყვანას," – აცხადებს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე. მისი თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფარიძის ვიზიტი ორგუნლობის და უსუსურობის დემონსტრაცია იყო. "საქართველომ ვაჭრობა სამი წლით დაიწყო, არ მესმის - რატომ? რა უფლება აქვს რუსეთს, თავისი ბაზები კიდევ სამი წელი ამყოფოს საქართველოში?" – უკვირს ნათაძეს.

მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლება შევარდნაძის პრორუსულ პოლიტიკას აგრძელებს. **"მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ჟვანია რუსეთის მიმართ გულგრილი არ იყო, მაგრამ სააკაშვილისგან მიკვირს... მე მას პროდასავლური ორიენტაციის გამო დავუჭირე მხარი,"** – განაცხადა მან. ნათაძის თქმით, სანამ რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში იმყოფებიან, ისინი "სახურავს" წარმოადგენენ რუსეთის სპეცსამსახურებისთვის.

"რუსეთის სპეცსამსახურები საკუთარ ხალხს არ ინდობენ, აწყობენ ტერაქტებს, შემდეგ კი ჩეჩნებს აბრალებენ და ჩვენ დაგვინდობენ?... სავსებით მოსალოდნელია, რუსეთის სპეცსამსახურებმა ტერაქტები და დივერსიები საქართველოშიც მოაწყონ," – აღნიშნა ნათაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

24 საათი

გენერალურ პროკურორს ლაპარაკი არ აცალეს

გუშინ გაერთიანება "მრგვალი მაგიდისა" და არასამთავრობო ორგანიზაცია "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის" წევრებმა გენერალურ პროკურატურასთან ქუჩა გადაკეტეს. ისინი ითხოვდნენ, რომ გენერალურმა პროკურატურამ უზრუნველყოს იმ ორმხრივი კომისიის მუშაობის დაწყება, რომლის შემადგენლობაშიც, ბრალდების მხარესთან ერთად, აქციის მონაწილე ორგანიზაციათა ნდობით აღჭურვილი პირები შევლენ. როგორც ცნობილია, მანანა არჩვაძე-გამსახურდია თავისი მომხრეებითურთ და გიორგი კერვალიშვილი გენერალური პროკურატურისგან ითხოვენ საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ არსებული სისხლის სამართლის საქმის ხელახალ, ობიექტურ გამოძიებას.

აქციის მონაწილეებთან თავად გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე ჩავიდა. მან განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი, შეიქმნას ორმხრივი კომისია; მეტიც, აპირებდა კიდეც ბრძანებაზე ხელის მოწერას, მაგრამ როდესაც პროკურატურასთან საპროტესტო აქციების სერია დაიწყო, გამოძიების რამდენიმე მონაწილემ უარი განაცხადა კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. თავის მხრივ, აქციის მონაწილეებმა გაბრიჩიძის საუბარი ჩაახშვეს ხმამაღალი შეძახილებით: "გაბრიჩიძე, ნუ ცრუობ".

24 საათი

ციხეებში ბუნტია მოსალოდნელი

თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში ერთი "კანონიერი ქურდის" დაპატიმრებას მთელი დავიდარაბა მოჰყვა. ჯერ იყო და, ზაზა ამბროლაძის დასაპატიმრებლად მის სახლთან რამდენიმე საათიანი სპეცოპერაცია გახდა საჭირო, მერე მისი ახლობლების მიერ ამბროლაძის გათავისუფლების მოთხოვნით მოწყობილი აქციის დაშლა პოლიციას ძალის გამოყენებით მოუხდა; მეტიც, აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს კიდეც. ამჟამად დაკავებულები არიან: დავით კოხოძე, აბელ გოგნაძე, გელა დარსაძე, გიგა ჩეჩელაშვილი, ტარიელ შათირიშვილი და თამაზ კუბლაშვილი. ისინი სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. აქედან პირველი ოთხი პირი ქურდობისა და ყაჩაღობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევი აღმოჩნდა. კიდევ ერთი დაკავებული - ტარიელ შალიკიანი გულის შეტევის გამო ქალაქის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

თავად თერჯოლის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ დავით ღიბრაძემ ზაზა ამბროლაძეს, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარების და გადატანისთვის ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილით წაუყენეს, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სავარაუდოდ, თერჯოლის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის ადვოკატები ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

გუშინვე ზაზა ამბროლაძის დაპატიმრების გამო "გაიფიცნენ" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №5, ქუთაისის №2, ზუგდიდის №3 საპყრობილის პატიმრები. ისინი უარს ამბობენ სასამართლო პროცესებსა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე და მხოლოდ ადვოკატებს ხვდებიან. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ბოლო დღეებში რამდენიმე "კანონიერი ქურდის" დაპატიმრების გამო დღეს ციხეებში ბუნტის დაწყებაა მოსალოდნელი.

ამ ინფორმაციას გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა. მან მოუწოდა იუსტიციის მინისტრს, ამბოხის ნებისმიერი მცდელობის შემთხვევაში გამოიყენოს ძალა, გახსნას ცეცხლი და **"ადგილზე მოკლას ყველა ის პატიმარი, რომელიც ციხის ამბოხში მიიღებს მონაწილეობას".**

24 საათი

ზურაბ აბაშიძემ შეშფოთება გამოთქვა აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით

საქართველოს ელჩმა მოსკოვში ზურაბ აბაშიძემ შეშფოთება გამოთქვა აფხაზეთში რუსული საზღვარგარეთული პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, "მსგავსი ნაბიჯები უხეშად ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს".

განცხადების მიზეზი გახდა რუსეთის მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აფხაზეთში რუსული საზღვარგარეთული პასპორტების მასობრივი გაცემის შესახებ.

"გაკვირვებას და ღრმა იმედგაცრუებას იწვევს ის, რომ რუსეთის ოფიციალური პირები დღემდე კატეგორიული ფორმით გვარწმუნებდნენ იმაში, რომ ადგილი არა აქვს მასობრიობას და ეს მხოლოდ რუსული პასპორტების გაცემის ერთეული შემთხვევებია", - თქვა აბაშიძემ.

მან აფხაზეთში რუსული პასპორტების მასობრივ გაცემას "სეპარატიზმის მხარდამჭერი სამართალსაწინააღმდეგო ქმედება" უწოდა და აღნიშნა, რომ ეს იმ დროს ხდება, როცა საქართველოს ხელისუფლება მოსკოვს "ნდობისა და პატივისცემის პრინციპებზე დამყარებული თანამშრომლობის ახალი ეტაპის" დაწყებისა და "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებისათვის საკუთარი ნების დემონსტრირებას ახდენს". **ინტერ-პრესი**

საპატრიარქოს ულტიმატუმს ვერავინ წაუყენებს

"მინდა გითხრათ, რომ საპატრიარქოს ულტიმატუმს ვერავინ წაუყენებს. ჩვენ მშვიდობიანი დიალოგის მომხრენი ვართ და ჩვენი მთავარი ამოცანაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა. ამას გავაკეთებთ ყველა დასაშვები მშვიდობიანი მეთოდით. ყველანაირად ვეცდებით, მშვიდობიან მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ ჰქონდეს, მაგრამ ქართული სახელმწიფო, ისე როგორც ყველა სხვა სახელმწიფო, ყველანაირ სხვა ალტერნატივას მოამზადებს და განიხილავს, თუმცა ჩვენ არ გვსურს ომი," – ეს კომენტარი მიხეილ სააკაშვილმა აფხაზური მხარის მიერ საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტისთვის ნაყენებული მოთხოვნების საპასუხოდ გააკეთა. აფხაზური მხარე მიხეილ სააკაშვილს აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად 4 ძირითადი მოთხოვნის შესრულებას სთხოვს. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, თბილისთან მოლაპარაკებების განახლება არძინბას ხელისუფლებას უპერსპექტივოდ ეჩვენება. მოლაპარაკებათა განახლების პირველ პირობად აფხაზური მხარე საქართველოსა და აფხაზეთს შორის ადრე მიღებული ყველა ხელშეკრულების შესრულებას აყენებს და განმარტავს, რომ ამ ხელშეკრულებების რევიზია მხარეებს შორის ნდობის დაკარგვას გამოიწვევს. მეორე აუცილებელი პირობაა უარის თქმა აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ უნდა მიიღოს ზომები დასავლეთ საქართველოში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ და მათ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა დააკისროს, ასევე, აღიაროს თბილისში მოქმედი აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ორგანოებისადმი მხარდაჭერის უპერსპექტივობა. წერილობითი სახით ჩამოყალიბებული, მოლაპარაკებათა განახლების ეს ულტიმატუმი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცეპრეზიდენტმა ვალერი არშბამ გუშინ სოხუმში ვიზიტით მყოფ, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინის საქართველოს ხელისუფლებისთვის წარსადგენად გადასცა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი არ გაითვალისწინებს არძინბას ხელისუფლების მოთხოვნებს. **"აფხაზური მხარის მოთხოვნათა გათვალისწინება სპარატისტული რეჟიმისთვის აფხაზეთის ჩაბარების ტოლფასი იქნებოდა. არა მგონია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასეთი ნაბიჯი გადადგას,"** - აცხადებს იგი. სააკაშვილთან პირველივე შეხვედრაზე ნადარეიშვილი მას ქართული მხარის მიერ "სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ" გაფორმებული ხელშეკრულებების გაუქმებას მოსთხოვს და დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ამ თხოვნას გაგებით მოეკიდება.

24 საათი

ნათელაშვილი რჩეულიშვილის მიერ დატოვებულ სივარიელეს ავსებს

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

"საქართველო თავს ვერ გაიტანს რუსეთის გარეშე, ამიტომ ჩვენ მას ძმობა და მეგობრობა უნდა შევფიცოთ!" - ეს ფრაზა შალვა ნათელაშვილმა წარმოთქვა რუსეთის სენატის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში. რუსი სენატორები გუსტოვი და კადოხოვი, რა თქმა უნდა, ამას სიამოვნებით ისმენდნენ. შეხვედრის შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ვადიმ გუსტოვს.

- ვისი ინიციატივა იყო ნათელაშვილის მოსკოვში ვიზიტი?

- მე თბილისიდან დამირეკეს და მთხოვეს, მიმეღო.

- თუ საიდუმლო არ არის, ვინ გთხოვათ მასთან შეხვედრა?

- შეხვედრა ქართული ოპოზიციის მოთხოვნით შედგა. ჩვენი კომიტეტის წარმომადგენლები თბილისში იყვნენ არჩევნებზე... ჩვენც ხომ კარგად ვიცით მთელი ეს საარჩევნო კომბინაციები. ჩემი მოადგილე იყო თბილისში, კონსტანტინე მარკელოვი. მან ყველაფერი გვიამბო.

- რა გიამბოთ?

- მითხარით, რამდენი კაცი ცხოვრობს საქართველოში? რამდენმა მისცა სააკაშვილს ხმა?

- რას შეჰპირდით ნათელაშვილს?

- ჩვენ რისი დაპირება შეგვიძლია. არც არაფერი. ჩვენ მისგან მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია. მოვისმინეთ მისი გრძელი მონოლოგი. დავაფიქსირეთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დღეს მეტად არაკონსტრუქციულია. რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის დამკვირვებლები, რომლებიც უშუალო მოწმენი შეიქნენ საქართველოში ჩატარებული არჩევნებისა, კრიტიკულად ეკიდებიან არჩევნების პროცედურას. ისე, ეს თქვენი ნათელაშვილი რაღაც არაორდინარული ადამიანია.

რუსეთის სენატის დსთ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში წარმოთქმული მონოლოგის შემდეგ, შალვა ნათელაშვილი ჟურნალისტებთან ხაზს უსვამდა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების რუსოფობიას.

შალვა ნათელაშვილი: **"ჩვენ რუს კოლეგებს ვუთხარით, რომ ვართ ნეიტრალური საქართველოს მომხრე, სადაც არც ამერიკული და არც რუსული ვნებები არ იქნება."**

ორი სიტყვით

თბილისი. მოქმედი პერზიდენტი ნინო ბურჯანაძე გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში აფხაზეთის დეპუტაციას შეხვდა. მხარეებმა მომავალი საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ იმსჯელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთიდან დევნილების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობათა გაერთიანებული საბჭო კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტისა და ხელისუფლებისგან, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია დევნილთა საპრობლემო აქციებისადმი, რომლებიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით, თვეზე მეტია, გრძელდება. "დევნილთათვის უცნაურია პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი პატივს სცემს ნადარეიშვილს. საბჭოს წევრთათვის გაუგებარია, რა კრიტერიუმებით აფასებს ახლადარჩეული პრეზიდენტი ნადარეიშვილის პიროვნებას, რომელსაც თავისი პოლიტიკური საქმიანობით საზოგადოებაში პატივისცემა არ დაუმსახურებია," - განაცხადა გაერთიანებული საბჭოს გამგეობის წევრმა რაულ კუპრავამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 14-15 იანვარს საქართველოს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა ეწვევა.

მისი შეხვ

უცნაური მახსოვრობა და მხედველობა

გურამ შარაძე პრეზიდენტის "მატარებელზე" შესახტომად ემზადება

ბიორგი ასანიშვილი

უცნაური მეხსიერება აქვს გურამ შარაძეს. მას დღემდე ახსოვს რიგ საკითხებზე ათი წლის წინათ გამოხატული საკუთარი პოზიცია, მაგრამ "დავიწყდა" ის განცხადებები, რომელსაც სულ რაღაც ორიოდე თვით ადრე აკეთებდა - 2 ნოემბრის არჩევნების წინ შარაძე "იმუქრებოდა" - იმ ქვეყანაში არ ვიცხოვრებ, რომლის პრეზიდენტიც სააკაშვილი იქნებაო. სიტყვის კაცი რომ იყოს, "ენაზე, მამულზე და სარწმუნოებაზე" "თავგადაკლული" პარლამენტარი დღეს ემიგრაციაში წასასვლელად უნდა ემზადებოდეს, მაგრამ სამშობლოსთან განშორებას შარაძე სულაც არ აპირებს; პირიქით, გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, იგი სააკაშვილს გვერდში დგომას ჰპირდება.

შარაძეს რაც უნდა, იმას ხედავს და რაც უნდა, ის ახსოვს.

ბაჩო გელაშვილის ფოტო

სხვა საქმეა, "ვარდების რევოლუციის" ლიდერის იმიჯს რამდენად წაადგება შარაძესთან "პოლიტიკური წაადგება შარაძესთან "პოლიტიკური მეგობრობა", მაგრამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს, რათა სააკაშვილის "მომავლისკენ მიმავალ მატარებელში" აღმოჩნდეს. ეს კონკრეტიკა იმ ათ მოთხოვნაში გამოიხატება, რომელიც პარლამენტარმა გუშინ წაუყენა საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს.

შარაძის "ულტიმატუმი" ასეთია: რეალური ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად; მოქალაქეთა საბუთებში ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენა; ყველა მოქალაქისთვის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სავალდებულო ცოდნის აუცილებლობის დაკანონება; რელიგიის შესახებ კანონის მიღება და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ხუთჯვრიანი დროშის სახელმწიფო დროშად გამოცხადებაზე უარის თქმა; ე.წ. "თურქი მესხების" საქართველოში დაბრუნების თაობაზე ევროსაბჭოში აღებული ვალდებულებების გაუქმება; ლუსტრაციის კანონის დაუყოვნებლივ მიღება; საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატების მხრიდან ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევის აღკვეთა; ეკონომიკური ამბისტიის გამოცხადება; დაუნდობელი ბრძოლა კორუფციასთან.

"შევხედავ, 25 იანვრის შემდეგ როგორ ნაბიჯებს გადადგამს საკაშვილი. თუ ის ჩემს ათ მოთხოვნას არ შეასრულებს, მთელ საქართველოს დავანახებ, ვის მისცა ხმა საპრეზიდენტო არჩევნებზე," - ერის ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად დგას შარაძე.

ზემოთ მისი უცნაური მეხსიერების უნარი ვახსენეთ. ამის დასტურად კიდევ ერთ ფაქტს დავასახელებთ: შარაძე დღეს კატეგორიულად უარყოფს, რომ სულ ახლახან შევარდნაძის გუნდის "ახალ სახეს" წარმოადგენდა. **"მე სახელისუფლებო ბლოკის კი არა, პოლიტიკური ბლოკის წევრი ვიყავი,"** - "განმარტა" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შარაძემ, ოღონდ, ის აღარ უთქვამს, რომ სწორედ ეს "პოლიტიკური ბლოკი" წარმოადგენდა შევარდნაძის ხელისუფლების ავანგარდს.

"მოკლევადიან ამნეზიასთან" ერთად, ხაზგასასმელია შარაძის უცნაური "მხედველობაც". მისი მტკიცებით, 4 იანვარს არც ერთ საარჩევნო უბანთან რიგი არ უნახავს და ასეთი კადრები ტელევიზიებსაც კი არ გადაუღიათ. ჰოდა, თავისი "დაკვირვების" საფუძველზე პარლამენტარი დაასკვნის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები "ტოტალურად, ფილიგრანულად და ვერაგულად" გაყალბდა.

გამორჩეული მეხსიერებისა და მხედველობის მქონე შარაძე აცხადებს, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას, ოღონდ, ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, რომელ პოლიტიკურ გუნდს მიეკედლება. **"მრეწველებთანაც" მათ მიერ ცესკო-ში განაცხადის შეტანამდე ერთი საათით ადრე გავწევრიანდი,"** - მადლობა ღმერთს, თოფაძე-ტყემალაძის ბანაკში ყოფნა ჯერ კიდევ ახსოვს შარაძეს.

აქვეა აღსანიშნავი, რომ ერთ მდინარეში იგი არასდროს შედის ორჯერ - მხოლოდ თითოჯერ იყო "აღორძინების", "მრეწველებისა" და შევარდნაძისეული "ახალი საქართველოსთვის" პარტიულ სიებში.

ისე, პარლამენტარს ამჯერად გული ცუდს უგრძნობს და არ გამორიცხავს, რომ საკანონმდებლო ორგანოში შეიძლება ვერ მოხვდეს, თუმცა იქვე გვამშვიდებს და გვამხნევებს, რომ უპატრონოდ არც ამ შემთხვევაში დაგვტოვებს.

"პარლამენტში მოვხვდები თუ არა, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. იმას კი გპირდებით, რომ მთელი სიცოცხლე პოლიტიკაში ვიქნები," - დასძენს შარაძე.

კორუფციული გველეშაპის წინააღმდეგ

ჰირველი გვერდიდან

მომავალი პრეზიდენტის დახასიათებით, ოქრუაშვილმა უკვე დაამტკიცა, რომ კორუფციასთან და კრიმინალებთან ბრძოლის არ ეშინია. **"რა თქმა უნდა, კრიმინალები წინააღმდეგობას გაწევენ, ეს კარგად ვიცი. ჩვენ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს,"** – აღნიშნა სააკაშვილმა.

როგორც გუშინ ითქვა, ახალი გენერალური პროკურორი მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის მიერაცაა მოწონებული. მასთან სათანადო მშრომლოდ მზადყოფნას და სრულ მხარდაჭერას გამოთქვამს შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძეც.

სააკაშვილის ერთგული თანამებრძოლი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი, კარგა ხანია, ამ თანამდებობაზე მოიაზრება. პირველი გახმაურებული საქმე, რასაც მომავალი გენპროკურორი გახსნის, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, ოქრუაშვილი გვპირდება, რომ გენპროკურორად დანიშვნისთანავე, პარლამენტს სერიოზული ანტიკორუფციული ცვლილებების პაკეტით გაახარებს, რომელიც გენერალურ პროკურატურას საშუალებას მისცემს, სისხლის სამართლებრივი დევნა აწარმოოს იმ პირების მიმართ, რომლებიც მიმალვაში ან ძებნაში არიან. ამ ცვლილებების თანახმად, სასამართლოს შეეძლება, აღნიშნულ პირთა მიმართ დაუსწრებელი განაჩენი გამოიტანოს. ამასთან, ოქრუაშვილის გენპროკურორად დანიშვნის შემთხვევაში, ამ უწყებაში სერიოზული საკადრო და სტრუქტურული გადახალისება დაიწყება. საინტერესოა, მოყვებიან თუ არა ამ გადახალისებაში ბადრი ბინაძე და "ძმანი მისნი"? გუშინდელ ბრიფინგზე ბინაძე და მისი კადრები ოქრუაშვილმა საკმაოდ ფრთხილად მოიხსენია. მიხეილ სააკაშვილი კი გენპროკურატურის საკადრო საქმეებში ჩარევას საერთოდ არ აპირებს: **"კადრები არ არის ჩემი საქმე. გენერალური პროკურორი ერთმმართველია,"** – "ხელები დაიბანა" სააკაშვილმა.

რაც მთავარია, "კორუფციული გველეშაპის" მოსასპობად მოწოდებული ოქრუაშვილი გენპროკურატურას თავის სამართლებრივ სტატუსს აღუდგენს. **"პროკურატურა უნდა გახდეს გამოძიებაზე რეალურად ზედამხედველი. დღეს გამოძიება დაქსაქსულია ბევრ სხვადასხვა უწყებაში და პროკურატურა ამ გამოძიების სათანადო კოორდინაციას ვერ ახდენს. ბევრი ნაბიჯი მაქვს გადასადგმელი..."** – აცხადებს ოქრუაშვილი.

რაც შეეხება ნუგზარ გაბრიჩიძეს, სააკაშვილის ინფორმაციით, იგი სამართლო სისტემაში აპირებს მოღვაწეობის გაგრძელებას. გაბრიჩიძეს პროკურატურაში მკვეთრი ნაბიჯების არგადადგმა დაუწუნეს, თუმცა ისიც არ დაუკარგეს, რომ **"მან რამდენჯერმე საკმაოდ ზუსტი და სამართლიანი მიდგომა გამოიჩინა"**. **"ვფიქრობ, ბატონ ნუგზარს სხვა თანამდებობაზეც ბევრის გაკეთება შეუძლია,"** – აღნიშნა სააკაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილის კანდიდატურა პარლამენტის უახლოეს სხდომაზე იქნება წარდგენილი.

უშიშროების საბჭო - არსობრივი ცვლილება თუ კოსმეტიკური რემონტი

ჰირველი გვერდიდან

როცა უშიშროების საბჭოს რეფორმაზეა საუბარი, აუცილებელია, გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. დღეს ექსპერტთა და სპეციალისტთა უმრავლესობას უშიშროების საბჭოს რეფორმა ილუზიად მიაჩნია, ვინაიდან, მათი აზრით, არ არსებობს საფუძველი იმისა, რაც უნდა გარდაიქმნას, რისი რეფორმაც უნდა ჩატარდეს. საქმეში ჩახედული პირები აცხადებენ, რომ უშიშროების საბჭო, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა, თავიდან უნდა შეიქმნას. ეს კი, უპირველესად, ნიშნავს იმას, რომ განისაზღვროს სახელმწიფოს უსაფრთხოების კონცეფცია. ეს კონცეფცია ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო განვითარების სტრატეგიას დაეყრდნობა. მოკლედ და გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი რეფორმა უშიშროების საბჭოს მომავალი მდგომარეობისგან სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრას მოითხოვს. აღნიშნული კონცეფცია საქართველოს მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ანუ უბრალო მოქალაქეს უნდა განემარტოს, რა საფრთხე ემუქრება მის ქვეყანას განვითარების გზაზე.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის დღევანდელი შემსრულებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილებების გატარების შემთხვევაში, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტს უშუალოდ არ დაექვემდებარება და პრეზიდენტი მხოლოდ ქვეყნის ხელმძღვანელი იქნება, მისთვის უშიშროების საბჭოს აპარატი უფრო მნიშვნელოვანი გახდება, საბჭოს როლი და ფუნქცია ამ შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება: **"იქ, სადაც ჩამოყალიბებულია საპრეზიდენტო მმართველობა, პრეზიდენტისთვის მართვის ყველაზე კარგად განმახორციელებელი ინსტრუმენტი არის უშიშროების საბჭო."**

გახოკიძე აცხადებს, რომ საბჭო აუცილებლად პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანებით უნდა დაკომპლექტდეს. იგივე პოზიცია ჩამოაყალიბა საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა ორიოდე კვირის წინ, როცა იგი ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. სხვა საქმეა, სააკაშვილს ვინ მიაჩნია პროფესიონალად და პატრიოტად და გახოკიძეს - ვინ.

როგორი უშიშროების საბჭო გვეყოლება მომავალში, საბოლოოდ ეს დამოკიდებულია ქვეყნის ახალ პრეზიდენტზე. საზოგადოება და სპეციალისტები იმედით შეჰყურებენ სააკაშვილს და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს – კერძოდ, ამ შემთხვევაში მთავარი იქნება, რას დაარქმევს საქართველოს ახალი პრეზიდენტი რეფორმას, ფიგურათა უბრალო გადანაცვლებას და კოსმეტიკურ ცვლილებებს, თუ იგი ახალ ღირებულებებზე დაფუძნებულ, არსობრივად სრულიად განსხვავებულ სტრუქტურას შექმნის, რომელიც ქვეყნის რეალურ უშიშროებას უზრუნველყოფს.

ბერძენი "სანტა-კლაუსები" საქართველოს პარლამენტში

იმას, რასაც ვერ ახერხებს საქართველოს მთავრობა, საბერძნეთის პარლამენტი აკეთებს. ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სრული კომპიუტერიზაციის გზაზე, მისი წყალობით, გუშინ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა: საბერძნეთის პარლამენტის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის აპარატი მიიღებს 62 კომპიუტერს, რომლებიც თბილისში იქნა შეძენილი და რომელთა საერთო ღირებულება 50 ათას ევროს შეადგენს.

ეს არ არის მხოლოდ ერთჯერადი დახმარება: ბერძნულ-ქართული პროექტი სამსაფეხურიანია და მთლიანობაში 310 ათასი ევროს ოდენობით განისაზღვრება.

ტექნიკური დახმარების პროექტის პრეზენტაციას, რომელიც გუშინ გაიმართა, საბერძნეთის მხრიდან დაესწრნენ პროექტის კოორდინატორი ნიკოლას ამანატიდისი და საბერძნეთის ელჩი საქართველოში, საქართველოს მხრიდან - პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი და პარლამენტის აპარატის ყოფილი უფროსი ხათუნა გოგორიშვილი.

საქართველოს პარლამენტის მოქმედმა სპიკერმა, საბერძნეთის პარლამენტის გარდა, გოგორიშვილსაც გადაუხადა მადლობა, რადგან ბერძნულ-ქართული პროექტის ხორცშესხმა სწორედ მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა.

აღნიშნული პროექტი მარტის თვეში დასრულდება, რის შემდეგაც თბილისს საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაცია ეწვევა.

24 საათი

შეერთებული შტატების ახალი მოთხოვნა

შეერთებული შტატების მთავრობის ხანგრძლივმა ბრძოლამ ტერორიზმის წინააღმდეგ შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას ავიაკომპანიებს. სავარაუდოდ, ამერიკის ნაციონალური უშიშროების სამინისტრო ქვეყანაში მიმავალი რეისების შეიარაღებული დაცვის საკითხს დააყენებს, რაც შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოსალოდნელი ტერორისტული აქტების გახშირების საშიშროებით არის განპირობებული. სპეცსამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, თვითმფრინავის ბორტზე მყოფი მათი წარმომადგენლები სამოქალაქო ტანსაცმელში იქნებიან გადაცმულები და მგზავრებს არანაირ სირთულეს და დისკომფორტს არ შეუქმნიან

ამ სიახლეს ევროპელი ავიატორები აღფრთოვანებით არ შეხვდნენ; ზოგიერთი აეროპორტი კი საერთოდ უარს აცხადებს ამგვარი რეისების შესრულებაზე.

მფრინავების განცხადებით, იარაღის ტარება და საერთოდ არსებობა თვითმფირინავის ბორტზე ყოვლად ეწინააღმდეგება აქამდე არსებულ წესებს. რამდენიმე ქვეყნის ავიაკომპანიამ, კერძოდ - რუსეთმა, დანიამ, შვეიცარიამ, ფინეთმა და პორტუგალიამ უარი განაცხადეს ამგვარი რეისების შესრულებაზე. გამონაკლისი მხოლოდ ავსტრალიაა, რომელიც ამ სიახლეს უპრობლემოდ შეხვდა.

რა შედეგებით დასრულდება ყოველივე, ძნელი სათქმელია. მაგრამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ავიაკომპანიების წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზარდოს. სიტუაციის ამგვარი დაძაბვა შტატების საჰაერო ინდუსტრიის განვითარებას უქმნის საფრთხეს, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ისედაც დიდ პრობლემებს განიცდის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამწლიანმა რეცესიამ მსოფლიო ავია-ინდუსტრიაც საკმაოდ უკან დახია და დიდი პრობლემების წინაშე დააყენა.

Royal Dutch/Shell-ს პრობლემები შეექმნა

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის Royal Dutch/Shell-ის რეპუტაციას საფრთხე ემუქრება. საქმე იმაშია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგის შეფასება გადაჭარბებულად მოხდა და 3,9 მილიარდი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი ამ მარაგიდან უნდა გამოირიცხოს, შესაბამისად, მარაგის მოცულობა 19,4 მილიარდი ბარელიდან 15,5 მილიარდ ბარელამდე დავა.

მართალია, კომპანიის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ეს პრობლემა არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, კომპანიის აქციების ფასი ლონდონის ბირჟაზე უკვე 6%-ით დაეცა. ასევე სხვადასხვა მსოფლიო ბირჟებზე ფასების ვარდნა სხვადასხვა მაჩვენებლით ფიქსირდება. კომპანიის აქციების ფასის ამგვარმა ვარდნამ ასევე ნეგატიური გავლენა იქონია სხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებზე და საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა მათ. ყველაფერთან ერთად შეირყა კომპანიის ხელმძღვანელობისადმი ნდობაც, რაც ასევე რთულ მდგომარეობაში აგდებს მას. საუბარია კომპანიაზე, რომლის შემოსავალმაც 2003 წელს, ცხრა თვის განმავლობაში 200,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო სუფთა მოგებამ - 10,8 მილიარდი დოლარი.

მოამზადა ანი გახარიამ

მოკლედ

ხორბლისა და ფქვილის ლეგალიზაცია დაიწყო

საქართველოს ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ფქვილის ხარისხის ინსპექციის უფროსის გურამ გეწაძის ცნობით, ბოლო ორი თვეა, კონტრაბანდული გზით შემოტანილი ხორბლისა და ფქვილის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პერიოდში ლეგალური გზით იმპორტირებული პროდუქციიდან ბიუჯეტში გადახდილი თანხები წინა ხუთი წლის ჯამურ შენატანებს უდრის. გეწაძის შეფასებით, ბაზრის "გათეთრება“ შიდა ქართლის გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ კონტრაბანდასთან დაწყებულმა ბრძოლამ განაპირობა. საქართველოში ფქვილისა და ხორბლის დიდი ნაწილი კონტრაბანდული გზით - რუსეთიდან ერგნეთის ბაზრობის გავლით შემოდიოდა. გეწაძე ირწმუნება, რომ ამჟამად ჩვენ "შავ“ პურს ბევრად ნაკლებს ვჭამთ, ვიდრე 2-3 თვის წინათ. **მედია-ნიუსი**

ნავთობსადენის მუშაკთა პროფკავშირი პირველ შეკრებას გამართავს

ახლად დაფუძნებული საქართველოს ნავთობსადენის მუშაკთა პროფკავშირი დღეს პირველ შეკრებას გამართავს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულთა პროფკავშირის თავმჯდომარის ნოდარ დვალის ცნობით, გადასაწყვეტი ბევრი საკითხია, მაგრამ პირველი შეხვედრა სახელფასო ანაზღაურების მოწესრიგებას დაეთმობა. მუშები შრომის ანაზღაურების გაზრდას - საათში ორი ლარის ნაცვლად ორი დოლარის გადახდას ითხოვენ. ისინი აცხადებენ, რომ მილსადენზე დასაქმებული ქართველი მუშაკები უცხოელებზე ბევრად ნაკლებ ხელფასებს იღებენ და სამშენებლო კონტრაქტორი კომპანია "სპი-კაპაგ პეტროფაგის“ ადმინისტრაციას მუშების დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ. **მედია-ნიუსი**

იანვრის პირველ კვირას სახელმწიფო ხაზინამ 9 835 500 ლარი დახარჯა

ახალი წლის პირველ კვირას სახელმწიფო ხაზინამ 9 835 500 ლარი დახარჯა. 5-9 იანვარს დაფინანსდა გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები და ამ მიზნით ხაზინიდან 9 830 500 ლარი გაიცა. დეკემბრის თვის შრომის ანაზღაურებისთვის თანხები მიიღეს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, პროკურატურამ, საზღვრის დაცვის, დაზვერვისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტებმა. 450 ათასი ლარი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაირიცხა სოციალური ტრანსფერის სახით, თანხის გადარიცხვის შესახებ განკარგულებას საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ 5 იანვარს მოაწერა ხელი. გასულ კვირას 5 ათასი ლარი კი სახელმწიფო ხაზინიდან "სხვა საქონლისა და მომსახურების" მუხლით საქართველოს პარლამენტმა მიიღო. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. თურქეთის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარება ქართულ ჯარს გადაეცემა. თურქეთის მთავრობამ საქართველოში საკვები პროდუქტებით დატვირთული 90 სატვირთო ავტომანქანა უნდა გამოგზავნოს. ამ დროისათვის "ზაჰესის" ტერმინალში 34 ავტომანქანა იმყოფება, რომელსაც თურქეთის ელჩი - ადნან გიულერი ფინანსთა მინისტრს - ზურაბ ნოღაიდელს დღეს ოფიციალურად გადასცემს. საკვები პროდუქტებით დატვირთული 10 ავტომანქანა აჭარაში გაიგზავნება. ჩამოსული ტვირთიდან აჭარა 3 ავტომანქანას მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა გასული წლის დეკემბრის თვის საბიუჯეტო გეგმა 81,3 პროცენტით შეასრულა. "დეკემბერში ფინანსთა სამინისტრომ საბაჟო დეპარტამენტს გეგმად განუსაზღვრა 41 601 500 ლარი. რეალურად, ნაერთ ბიუჯეტში 33,9 მილიონი ლარია მობილიზებული, თუმცა დეპარტამენტმა ეს წინასწარი გადახდების გარეშე შეძლო," – განაცხადეს საბაჟო დეპარტამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზი“ ავჭალისა და კონიაკის დასახლების აბონენტებს გაზის მიწოდებას სამ დღეში აღუდგენს. გაზის მიწოდება სამი დღის წინათ მომხდარი ავარიის გამო შეწყდა. ამ ავარიის გამო დედაქალაქის ყველა უბანს ბუნებრივი აირი დაბალი წნევით მიეწოდება, რაც სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აღმოიფხვრება. "თბილგაზის“ ტექნიკური დირექტორის გია ხიზანიშვილის ცნობით, ავარიის მიზეზი გაზგაყვანილობის ქსელის კოროზია იყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის 2004 წლის ბიუჯეტში ქალაქის დასუფთავებისთვის დამატებითი თანხები იქნება გათვალისწინებული. თბილისის მერიის განმარტებით, ამ მიზნით კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში დასუფთავების სტრუქტურული დანაყოფი შეიქმნება, რომელიც ახალი ტექნიკით აღიჭურვება. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და შემოსასვლელებს სწორედ კეთილმოწყობის სამსახური დაასუფთავებს, პერიფერიის ქუჩებს, კორპუსებსა და ეზოებს კი - გამგეობები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის გემთსაშენში შობის დღესასწაულზე წყალში ჩაუშვეს ტანკერი "ჟიული შარტავა“. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში აშენებული პირველი ტანკერია. მისი სიგრძე – 176 მ, სიგანე – 31 მ, წყალში– 10 მ, სიჩქარე - 15 კვანძი, ხოლო საკონტრაქტო ფასი 27 მილიონი აშშ დოლარია. ტანკერის ექსპლუატაციაში გაშვება 2004 წლის 15 მარტს არის დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ორშაბათის ვაჭრობაზე ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,13 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი - 2,12 ლარი, ხოლო გაყიდვის კურსი 2,13 ლარი იყო. 13 იანვრიდან ლარის მიმართ ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,7445 ლარი; 1 რუბლი - 0,0738 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი - 3,9524 ლარი. **24 საათი**

იყიდება ფოთის პორტის ტერმინალები

თამარ ხორბალაძე

უახლოეს დღეებში ფოთის პორტის ნავსადგურის ორ ტერმინალს 10-15 წლით გასცემენ იჯარით. ტენდერს პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის 12 მარტის ბრძანებულებით შექმნილი სატენდერო კომისია ატარებს და, როგორც ჩანს, საკმაოდ ჩქარობს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ სანამ ახალი ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტური მოდელების პოვნას ცდილობს, ძველი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ და ძველი სატენდერო კომისიის მიერ ორგანიზებულ ტენდერში განაცხადების წარმოდგენის ვადა 2 თებერვალს იწურება.

ფოთის პორტის მე-9 და მე-10 ტერმინალების იჯარის გასაცემად ორგანიზებულ ტენდერში განაცხადების წარმოდგენის ვადა 2 თებერვალს იწურება.

ფოთის პორტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ტენდერი ჩატარდება შემდეგი განრიგით:

ობიექტის დათვალიერება - 2004 წლის 16 იანვარი, 12 სთ (ადგილობრივი დროით);

წინასატენდერო კონფერენცია - 2004 წლის 16 იანვარი, 14 სთ (ადგილობრივი დროით);

სატენდერო კომისიაში შეკითხვების წარმოდგენის ბოლო ვადა - 2004 წლის 23 იანვრამდე;

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა - 2004 წლის 2 თებერვლის 17 სთ-მდე (ადგილობრივი დროით);

სატენდერო წინადადებების გახსნა - 2004 წლის 3 თებერვალი, 12 სთ (ადგილობრივი დროით);

ტენდერის შედეგების გამოცხადება - 2004 წლის 5 მარტამდე.

ტენდერზე წარმოდგენილია ორი ლოტი: NI - "N9 ტერმინალის გრძელვადიანი იჯარით გაცემა" და ლოტი NII - "N10 ტერმინალის გრძელვადიანი იჯარით გაცემა".

ოფიციალურად გამოცხადებული საკონკურსო ინფორმაციის თანახმად, ტენდერის არსი მდგომარეობს ნავსადგურის N9 და N10 ტერმინალების მოდერნიზებისა და მათზე თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვის გზით ტვირთბრუნვის გადიდებასა და მისი ზრდის ტემპების შენარჩუნებაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 მარტის N104 ბრძანებულებით შექმნილი სატენდერო კომისია ამ მიზნით იღებს სატენდერო განაცხადებს N9 და N10 ტერმინალებზე საიჯარო კონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად ნებისმიერი ქვეყნის კომპანიის ან კონსორციუმისაგან.

საიჯარო კონტრაქტის მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს, რომელიც მოიჯარესა და ნავსადგურის ადმინისტრაციას შორის შესაბამისი შეთანხმების შედეგად შესაძლებელია გაგრძელებული იქნას 5 წლით.

სატენდერო მოთხოვნებით გათვალისწინებული პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება განსაზღვრულია საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების საწყის 24 თვეში.

სატენდერო კომისია განახორციელებს შეფასებას ორ ეტაპად. ყველა დაინტერესებულმა პრეტენდენტმა ერთდროულად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მასალები და სატენდერო წინადადება. წინადადება შეიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ წინადადებებს, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე დალუქული პაკეტებში ისევე, როგორც საკვალიფიკაციო დოკუმენტი.

ტენდერში მონაწილეობის გარანტიაა 100 000 აშშ დოლარი თითოეული ლოტისათვის; კონტრაქტის განხორციელების გარანტია შეადგენს ფიქსირებული ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულების 125%-ს თითოეული ლოტისათვის. სატენდერო დოკუმენტაციის ღირებულება ყოველი ლოტისათვის შეადგენს 3000 აშშ დოლარს.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე გახლავთ ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი ჯემალ ინაიშვილი.

დღის წესრიგშია საგზაო ფონდის რეორგანიზაცია

საგზაო გადასახადი უქმდება, მაგრამ... დავალიანება ყველამ უნდა გადაიხადოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტში წელს რადიკალური ცვლილებებია მოსალოდნელი. ფინანსთა სამინისტრო დეპარტამენტისთვის გადასახადების ადმინისტრირების ფუნქციის გაუქმებას და ამ ფუნქციის საგადასახადო სამსახურებისთვის გადაცემას აპირებს. ამ ე.წ. რეორგანიზაციის შემდეგ საგზაო ფონდის თანამშრომელთა საშტატო ერთეული შესაძლოა, შემცირდეს. ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა ფორმით იარსებებს და იარსებებს თუ არა მომავალში საგზაო ფონდი.

ეთერ მამულაშვილი

ჯერჯერობით, ფონდი ფუნქციონირებს და როგორც ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, დღის წესრიგში მისი რეორგანიზება დგას და არა უპირობო გაუქმება.

ფონდის ხელმძღვანელობა კი იმის საჩვენებლად, რომ მათი არსებობა აუცილებელია, დღეს გაათმაგებული ძალებით მუშაობს – ფონდის თანამშრომლები მიმდინარე და ძველი დავალიანებების აქტიური ამოღებით არიან დაკავებულნი.

საგზაო ფონდში რეორგანიზაციის პროცესი, პრაქტიკულად, უკვე დაწყებულია. ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, ჯერ კიდევ გასულ წელს პარლამენტში შეტანილი წინადადებით, საავტომობილო გზების სარგებლობისათვის ერთპროცენტიანი გადასახადი, რომელსაც “საგზაო გადასახადით” იცნობდნენ, პირველი ივლისიდან უქმდება. 1 მარტიდან 1 ივლისამდე კი ამ გადასახადის მობილიზება საგადასახადო დეპარტამენტის კომპეტენციაში გადადის. საკანონმდებლო ორგანომ ეს ცვლილებები ხმათა უმრავლესობით დეკემბრის ბოლოს დაამტკიცა.

"ერთპროცენტიანი გადასახადი, რომლის ამოღება დღემდე საგზაო ფონდის კომპეტენცია იყო, 1 მარტიდან ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის, მაგრამ ჯერ ზუსტად გადაწყვეტილი არ არის, რა ფორმით მოხდება ეს.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია - ეს გადასახადი 1 ივლისამდე რჩება. 1 ივლისიდან კი იგი გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტრო ახალ, ალტერნატიულ წყაროს გამონახავს. ერთი რამ თავიდანვე გასაგები უნდა იყოს ყველასათვის - კანონს უკუქმედების ძალა არა აქვს და ეს გადასახადი 1 ივლისს თუნდაც გაუქმდეს, ეს ძველ წლებზე არ გავრცელდება, ანუ დაგროვილი დავალიანება ყველამ უნდა გადაიხადოს," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საგზაო ფონდის სამმართველოს უფროსმა ზურა თაფლაძემ.

მისი ინფორმაციით, წელიწადში ამ გადასახადიდან ფონდში აკუმულირდებოდა საშუალოდ 16-18 მილიონი ლარი.

"თავიდან უფრო ცოტა იყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა. ფონდი, მიმდინარე წლის გარდა, ძველი დავალიანების ამოღებასაც ახერხებდა. 2003 წელს დაგეგმილი იყო 16 და შევიდა 18 მილიონი ლარი. დღეს შექმნილი სიტუაცია კი არასწორად იქნა გაგებული - თითქოს საერთოდ უქმდებოდა ეს გადასახადი და ამან გამოიწვია ის, რომ მეწარმეებმა ამ გადასახადის გადახდა უკვე შეწყვიტეს," - პრობლემის არსს გვაცნობს ზურა თაფლაძე და დღევანდელ საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ფონდის გაუქმებას არასწორად მიიჩნევს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ნოდარ ხადურის ინფორმაციით კი, საგზაო გადასახადი უქმდება 1 ივლისიდან - ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე.

ფონდის ხელმძღვანელობა იმის საჩვენებლად, რომ მათი არსებობა აუცილებელია, დღეს გაათმაგებული ძალებით მუშაობს.

"1 მარტიდან ამ გადასახადის ადმინისტრირების, ანუ ამოღების უფლება მხოლოდ საგადასახადო დეპარტამენტს ექნება. მერე ამოღებული თანხა გადაეცემა საგზაო ფონდს, რომელიც საკუთარი მიზნებისთვის გახარჯავს", - განუცხადა ნოდარ ხადურმა "24 საათს".

მისივე ინფორმაციით, **"ჯერჯერობით, საუბარია იმაზე, რომ უნდა მოხდეს ფონდის რეორგანიზაცია და დეპარტამენტის საგადასახადო სამსახური ფინანსთა სამინისტროში გადავიდეს. რაც შეეხება ფონდის მომავალ ბედს, ამაზე მომავალში იქნება მსჯელობა. დღის წესრიგში ჯერ მხოლოდ რეორგანიზაცია დგას. რეორგანიზაცია ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროში გადავა გადასახადების აკრეფა და ადმინისტრირება. ხარჯვითი ნაწილი ისევ ამ დეპარტამენტის კომპეტენციაში დარჩება და ის გააკონტროლებს, როგორ ვასრულებთ ბიუჯეტს".**

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასიკო გიგოლაშვილმა “24 საათთან” საუბრის დროს ამ გადასახადის გაუქმებით წარმოქმნილი 16-მილიონიანი დეფიციტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ ნავთობროდუქტების აქციზიდან ამოღებული თანხები დაასახელა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ნავთობროდუქტების აქციზიდან ამოღებული თანხის 30 პროცენტი საგზაო ფონდში ირიცხება, 70 – ცენტრალურ ბიუჯეტში. **“შესაძლოა, მომავალში ამ აქციზის განაკვეთის გაზრდით (ან ფონდში გადმოსარიცხი პროცენტული მაჩვენებლის გაზრდით) დავფაროთ დეფიციტი”**, - გვითხრა გიგოლაშვილმა.

პარლამენტის მიერ მიღებულმა ამ სასიამოვნო ცვლილებამ საგზაო ფონდის ხელმძღვანელობას სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. საგზაო გადასახადის გაუქმების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ყველაზე კარგი გადამხდელიც კი გაათამამა, რამაც ფონდს გადასახადების ადმინისტრირებაში პრობლემა შეუქმნა. ბუნებრივია, ფონდისთვის ცარიელი ხელებით საქმის კეთება რთული აღმოჩნდა.

6 მილიონი თბილსრესისათვის

თუ პარლამენტმა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) კრედიტის რატიფიცირება მოახდინა, ერთი კვირის ვადაში შესაძლებელი გახდება თბილსრესის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი 100-მეგავატიანი ენერგობლოკის ამუშავება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, KFW-ს მიერ გამოყოფილი 32 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტიდან თბილსრესს 6 მილიონი ევროს ოდენობის სასაქონლო დახმარება ერგება. მინისტრის განცხადებით, ბლოკის ამუშავების შემთხვევაში ენერგოსისტემას 100 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია დაემატება.

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა "24 საათს" განუმარტა, ეს 32 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი თავიდან მთლიანად ვარციხის ჰესების კასკადისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ვარციხის ჰესების მმართველმა ბერძნულმა კომპანია "ტერნამ" ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო, ბანკმა კრედიტის გამოყოფა გადაიფიქრა; **"თუმცა მოგვიანებით ჩვენ მივაღწიეთ ამ კრედიტის სხვანაირად გაშიფვრას – შევთანხმდით, რომ კრედიტი მაინც გამოიყოფოდა, საიდანაც 12 მილიონი – ვარციხის ჰესებს, 12 მილიონი – სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის "ალავერდის" რეაბილიტაციას, დანარჩენი კი "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და თბილსრესს მოხმარდებოდა. თბილსრესისთვის გერმანიიდან მარაგნაწილები უნდა ჩამოვიტანოთ. რეკონსტრუქციის შემდგომ კი გერმანული მხარე ამ ბლოკებისთვის გაზს თავად შეისყიდის,"** – აცხადებს ნიკოლაიშვილი. მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ ბლოკების რეაბილიტაცია აუცილებელია. **"დღეს სხვა გზა არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბლოკები ხარჯიანია, ისინი ჩვენი საკუთრებაა და დეფიციტის შესავსებად გამოგვადგება,"** – ასეთია მინისტრის პოზიცია. მისი თქმით, ამავე თანხით გათვალისწინებულია "ვალების მომსახურების სააგენტოსა" და კრედიტორი ბანკის მრჩევლის დაფინანსება.

ბუშს სადამის დამხობა ადრევე ჰქონდა ჩაფიქრებული

ჰირველი გვერდიდან

ო`ნილი აცხადებს, რომ ერაყის საკითხი ეროვნული უშიშროების საბჭოს პირველივე სხდომაზე იქნა განხილული, რომელიც ბუშის ინაუგურაციის მომდევნო დღეს გაიმართა. მისი თქმით, დისკუსიის ტონი ამ სხდომაზე და შემდგომ თათბირებზეც პირდაპირ მიანიშნებდა ბუშის განზრახვაზე, რომ სადამ ჰუსეინი უნდა ჩამოგდებულიყო. **"პრეზიდენტი თითქოს გვეუბნებოდა: წადით და იპოვეთ ამის გაკეთების საშუალება,"** - აცხადებს ყოფილი ფინანსთა მინისტრი. მისი თქმით, ჯორჯ ბუშის ქცევის გამოცნობა ძალზე რთული და თითქმის შეუძლებელიცაა.

"ჩემთვის ქვეყანაში უდიდესი ცვლილების დაწყების ნიშანი გახდა იმის გაგება, რომ აშშ თავს უფლებას აძლევდა, ცალმხრივად მიეღო ერაყზე დარტყმის გადაწყვეტილება," - აცხადებს ო`ნილი.

"23 თვის მუშაობის მანძილზე, მე ერთხელაც არ მინახავს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობას ამტკიცებდეს," - განუცხადა ო`ნილმა გადაცემა "60 წუთს."

სულ მალე დღის სინათლეზე გამოვა რონ სიუსკინდის წიგნი "ერთგულების ფასი", რომლის შექმნაშიც უდიდესი როლი მიუძღვის პოლ ო`ნილს. მან ავტორს, დაახლოებით, 19 ათასამდე დოკუმენტი გადასცა, რომელიც ფინანსთა მინისტრის პოსტზე ორწლიანი მუშაობის დროს შეაგროვა. წიგნში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების ოქმებიც იქნება ასახული.

პოლ ო`ნილი.

პოლ ო`ნილთან ერთად, გადაცემა "60 წუთს" ინტერვიუ მისცა რონ სიუსკინდმაც. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ხელთ აქვს უტყუარი მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც, ჯორჯ ბუში ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ამზადებდა სადამ ჰუსეინის დამხობას. როგორც სიუსკინდი ამბობს, წიგნში შესული იქნება დოკუმენტი - "სადამის შემდგომი ერაყი," რომელიც ჯერ კიდევ სამხედრო კამპანიის დაწყებამდე მომზადდა.

ტელეკომპანიისათვის პოლ ო`ნილის ინტერვიუმ აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. **"მან პრეზიდენტ ბუშს ზურგში დანა ჩასცა,"** - განაცხადა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა მარკ ფოლმა

თუმცა, ინტერვიუსთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია თეთრ სახლს. მიუხედავად ამისა, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ წიგნის გამოქვეყნებამ შესაძლოა, დიდი სკანდალი გამოიწვიოს, რადგან აქ ბევრი ისეთი მასალა იქნება შესული, რომელსაც გრიფი - "სრულიად საიდუმლო" ჰქონდა.

ირანში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება



პრეზიდენტი მოჰამად ხათამი.

ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ იმ პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა გადაწყვიტა, რომელიც რეფორმატორი პოლიტიკოსებისათვის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვის გამო დაიწყო.

რევაზ ბახტაძე

გუშინ ირანის პარლამენტის 70-მა რეფორმატორმა წევრმა საპროტესტო მჯდომარე აქცია დაიწყო პარლამენტში. დეპუტატებს ამგვარი ნაბიჯისაკენ გუშაგთა საბჭოს მიერ ორი დღის წინ მიღებულმა გადაწყვეტილებამ უბიძგა.

ირანის უმაღლესი მმართველი ორგანოს - რევოლუციის გუშაგთა საბჭოს წარმომადგენელმა მოჰამად ჯაჰრომიმ კვირას განაცხადა, რომ თებერვალში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ 8200 კანდიდატიდან 2033-ს კენჭისყრის უფლებას არ მისცემენ, მათ შორისაა ბეჭზად ნაბავი და პრეზიდენტ ხათამის უმცროსი ძმა მოჰამად რეზა ხათამი, რომლებიც ირანის პარლამენტის ვიცე-სპიკერები არიან.

გუშაგთა საბჭო არჩევითი ორგანო არაა და მას მთლიანად კონსერვატორი კლერიკალები აკონტროლებენ. საბჭოს 12 წევრიდან - 6 სასულიერო პირია, 6 კი – ისლამური სამართლის სპეციალისტი. ირანის კონსტიტუციის თანახმად, გუშაგთა საბჭომ პარლამენტის მუშაობის ისლამურ პრინციპებთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს. საბჭოს, აგრეთვე, უფლება აქვს, დეპუტატობის კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვას.

ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა კლერიკალების მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება საჯაროდ გააპროტესტა. 27 პროვინციის გამგებელმა განაცხადა, რომ ერთ კვირაში გადადგებიან, თუ გუშაგთა საბჭო თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას არ უზრუნველყოფს.

გამგებლებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნიშნავს, რომლის წარმომადგენელმა გუშაგთა საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას "უკანონო" უწოდა და განაცხადა, რომ არჩევნების ჩატარებისას დეპუტატობის კანდიდატთა დისკვალიფიკაციას ანგარიშს არ გაუწევენ.

პარლამენტის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, ცნობილმა რეფორმატორმა მოჰსენ მირდამადმ გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილება "სახელმწიფო გადატრიალებად" შეაფასა.

გუშინვე მოჰამად ხათამიმ თავის მომხრეებს პროტესტის კანონების დაურღვევლად გამოხატვისაკენ მოუწოდა.

რეფორმატორი პრეზიდენტის ორი მცდელობა, გუშაგთა საბჭოს უფლებები შეეზღუდა, უშედეგოდ დასრულდა. შარშან ხათამის მიერ ამ მიზნით წარდგენილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტები ისევ და ისევ გუშაგთა საბჭომ უკუაგდო.

ამ დღეებში ხათამი, სავარაუდოდ, ქვეყნის უმაღლეს სასულიერო პირს აიათოლა ალი ხამენეისა და პარლამენტის სპიკერს მეჰდი ქარუბის შეხვდება, რათა კრიზისი განმუხტოს.

"მართებული არაა, რომ გამოჩენილ ლიდერებს, რომლებიც ქვეყნისთვის წლების განმავლობაში მუშაობდნენ, არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს," - განაცხადა პრეზიდენტმა ხათამიმ. "მე ამ დისკვალიფიკაციის წინააღმდეგი ვარ. არსებობს ამ ვითარების დაძლევის სამართლებრივი საშუალებები," - დასძინა მან "ასოშაიტედ პრესთან" ინტერვიუში.

პრეზიდენტის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ ხელისუფლებამ, შესაძლოა, საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვისას გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილება არ გაითვალისწინოს და დისკვალიფიცირებული დეპუტატობის კანდიდატთა გვარები მაინც შეიტანონ სიაში.

"მთავრობა ვალდებული არაა, რომ არაკანონიერი გადაწყვეტილებები აღასრულოს იმის მიუხედავად, რომელი უწყება მიიღებს მას," - ხათამის წარმომადგენლის აბდულა რამეზანზადეს სიტყვები ირანის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტო "ირნამ" გაავრცელა.

სასულიერო და საერო ხელისუფლებას შორის საჯარო დაპირისპირებას აიათოლა ალი ხამენეი სასწრაფოდ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ თუ გასაჩივრების შედეგად ვითარება არ გამოსწორდა, მაშინ ის უშუალოდ ჩაერევა. "თუ სიტუაცია დაიძაბება... მაშინ უეჭველია, რომ მე ჩავერევი და ჩემი შეფასებისა და მოვალეობების შესაბამისად ვიმოქმედებ, როგორც ეს ადრე ხდებოდა," - განაცხადა ხამენეიმ სახელმწიფო რადიოთი გამოსვლისას.

ირანის უზენაესი ლიდერის ეს განცხადება რეფორმატორების წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. გახდება თუ არა ეს სასულიერო ხელისუფლების გავლენის რეალური შეზღუდვის დასაწყისი, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

დემოკრატები პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევას იწყებენ

გასულ უქმეებზე ამერიკის პრეზიდენტობის დემოკრატ კანდიდატებს შორის ბოლო სატელევიზიო დებატები გაიმართა. მომავალ შაბათ-კვირას უკვე პრაიმერიზები იწყება, ანუ შტატები თავიანთ კანდიდატებს დაასახელებენ. ამჟამად მთელი ყურადღება აიოვასკენაა. 9 დემოკრატ პრეტენდენტს შორის არჩევანი პირველად ამ შტატმა უნდა გააკეთოს.

ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები ასე გამოიყურება: ჰოვარდ დინს მხარს უჭერს დემოკრატების 25 პროცენტი, რიჩარდ გეპჰარტს – 23, ჯონ კერის – 15, ჯონ ედვარდსს – 14, ჯოზეფ ლიბერმანს – 3, უესლი კლარკს – 3, დენის კუჩინიჩს – 2 და ალ შარპტონს – 1. 14 პროცენტს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს.

ამერიკული პრესის ცნობით, ბოლო დებატები განსაკუთრებით მწვავე გამოდგა და, ძირითადად, რასობრივ საკითხებს შეეხო. ყველაზე მეტი კრიტიკა, ცხადია, პირველ ადგილზე მყოფმა დინმა დაიმსახურა. კონკურენტებმა დინი იმის გამო გააკრიტიკეს, რომ გუბერნატორობის დროს მთავრობაში არც ერთი შავკანიანი არ ჰყავდა. მერე რა, რომ ვერმონტის მოსახლეობის 98 პროცენტი თეთრკანიანია და მთავრობაშიც სულ ექვსი წევრი შედის.

დინის მეორე "დანაშაული" იმაში მდგომარეობდა, რომ განაცხადა: მონათმფლობელური შტატების კონფედერაციის დროშა შეურაცხმყოფელი იყო "შავკანიანი ამერიკელებისათვისო". კონკურენტებმა მაშინვე შეუსწორეს, რომ დროშა შეურაცხმყოფელი იყო "ყველა ამერიკელისათვის".

მას შემდეგ, რაც დინი "რასიზმში გამოიჭირეს", კონკურენტებმა მისი ეკონომიკური პროგრამის კრიტიკა დაიწყეს. დინი აცხადებს, რომ საშემოსავლო გადასახადების შემცირება სურს. მისი მთავარი კონკურენტის, გეპჰარტის აზრით, ეს უარყოფითად აისახება სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე.

საგარეო პოლიტიკის, მათ შორის - ერაყის ომის შესახებ დებატები არ გამართულა. დემოკრატებს შორის ამ ომის შესახებ აზრი ორად არის გაყოფილი. ჰოვარდ დინი ომის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიეკუთვნება, რამდენიმე სხვა კანდიდატი კი ერაყზე თავდასხმის თავგამოდებულ დამცველად არის ცნობილი.

პრაიმერიზები ყველა შტატში ჩატარდება. მათში გამარჯვებული პირები მონაწილეობას მიიღებენ დემოკრატიული პარტიის ყრილობაში, რომელიც პარტიის კანდიდატს დაასახელებს.

იგივე პროცედურა უნდა გაიაროს რესპუბლიკურმა პარტიამაც, ოღონდ, დემოკრატებისაგან განსხვავებით, იქ გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს ნაკლებად იწვევს. პრეზიდენტი ბუში უდავო ფავორიტია.

დემოკრატების ფავორიტად კი ბევრი - გამოკითხვების ახლანდელ ლიდერს, ჰოვარდ დინს ასახელებს. მის კანდიდატურას პარტიის ბევრმა ცნობილმა მოღვაწემ, მათ შორის, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა დაუჭირა მხარი.

ისრაელის პრეზიდენტი სირიის ლიდერს ეპატიჟება

ისრაელის ხელისუფლებამ სირიის მიმართ მტრული პოლიტიკის შეცვლა გადაწყვიტა. ისრაელის პრეზიდენტმა თავისი სირიელი კოლეგა ბაშარ ასადი იერუსალიმში მიიწვია და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე ორმხრივი მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა.

"მე იერუსალიმში ვიწვევ პრეზიდენტ ასადს, რათა სერიოზულად განვიხილოთ სამშვიდობო შეთანხმების პირობები," - განაცხადა მოშე კაცავმა.

თავად ასადმა ისრაელთან მოლაპარაკების გამართვის ინიციატივა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გამოთქვა. ამასთან დაკავშირებით, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განახლდეს, თუკი სირია უარს იტყვის ტერორიზმის მხარდაჭერაზე.

აღსანიშნავია, რომ ფორმალურად ისრაელი და სირია ერთმანეთთან კვლავაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ შორის ჯერაც არ არის ხელმოწერილი საბოლოო სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც გოლანის მაღლობების საკითხს დაარეგულირებს. გოლანის ტერიტორია 1967 წლიდან სირიის მიერ კონტროლდება.

ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცავი.

სირიასთან მოლაპარაკების გამართვას მხარი დაუჭირეს არიელ შარონის კაბინეტის მემარჯვენე წევრებმა - ფინანსთა მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა. თავდაცვის უწყების შეფმა შაულ მოფაზმა კი განაცხადა, რომ სირიის მიერ კომპრომისული პოზიციის დაკავება დამასკოზე ვაშინგტონის ზეწოლის შედეგია.

უკანასკნელი ინფორმაციით, სირიამ ისრაელთან მოლაპარაკებების გამართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

მართალია, ისრაელის მემარჯვენე ძალები სირიასთან მოლაპარაკების დაწყებას მხარს უჭერენ, მაგრამ შარონის მეორე გადაწყვეტილებამ რამდენიმე ებრაული დასახლების ლიკვიდაციის თაობაზე ებრაელი მემარჯვენეების მძაფრი პროტესტი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, გუშინ თელ-ავივის ქუჩებში ასი-ათასკაციანი დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრანტები არიელ შარონის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის თანახმადაც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ებრაული დასახლებები უნდა გაუქმდეს. **"დასახლებების ლიკვიდაცია ერის გახლეჩას ნიშნავს," "ღვთიურმა საგზაო რუკამ – ბიბლიამ – ჩვენ ეს მიწა გვაჩუქა,"** – ეს წარწერები დემონსტრანტთა პლაკატებს ამშვენებდა. არიელ შარონის ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში, ეს პირველი მასობრივი საპროტესტო აქცია იყო.

კვიპროსელმა თურქებმა შეთანხმებას მიაღწიეს

კვირას ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ორმა პარტიამ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაზე შეთანხმებას მიაღწია იმის მიუხედავად, რომ კუნძულის ბერძნულ ნაწილთან გაერთიანების შესახებ მათ განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ.

გასული წლის დეკემბერში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მცირე უპირატესობით გამარჯვებული რესპუბლიკური თურქეთის პარტია გაერო-ს მიერ შემოთავაზებულ გეგმას უჭერს მხარს. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმა კვიპროსის ბერძნული ნაწილის ევროკავშირში გაწევრიანებამდე კუნძულის გაერთიანებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში კვიპროსი ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაიქმნება, ბერძნული და თურქული ნაწილები ფართო ავტონომიას მიიღებენ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის გათვალისწინებული ყველა სიკეთით ისარგებლებენ.

კოალიციის მეორე სუბიექტი - დემოკრატიული პარტია ბერძნულ ნაწილთან გაერთიანებას დღემდე ეწინააღმდეგებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიის ლიდერი სერდარ დენკტაშია, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის პრეზიდენტის რაუფ დენკტაშის ვაჟი. თავად რაუფ დენკტაშმა ბერძნულ და თურქულ მხარეებს შორის შეთანხმება გასული წლის მარტში ჩაშალა.

მოლაპარაკებები კუნძულის გაერთიანების თაობაზე, უკვე ათი თვეა, უშედეგოდ მიმდინარეობს, რადგან გაერო-ს მიერ შემუშავებული გეგმა თურქების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დათმობასაც გულისხმობს. ამას კი ნაციონალისტი პრეზიდენტი დენკტაში ეწინააღმდეგება. მოსახლეობის უმრავლესობა კი კუნძულის გაერთიანებას უჭერს მხარს, რადგან ევროკავშირის წევრობით გათვალისწინებული ეკონომიკური სარგებლის მიღება სურს.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თანახმად, კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე თურქეთის რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ტალატმა განაცხადა, რომ ორივე პარტია კვიპროსის საკითხის გადაჭრას პირველ მაისამდე გეგმავს. კვიპროსი ოფიციალურად სწორედ პირველ მაისს გაწევრიანდება ევროკავშირში. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული კვიპროსის ბერძნული ნაწილი პირველ მაისს ევროკავშირში გაწევრიანდება იმის მიუხედავად, გაერთიანდება კუნძული თუ არა.

ახალ მთავრობაში დენკტაშის პარტია ოთხი მინისტრის პორტფელს მიიღებს, ხოლო ტალატის პარტია – ექვსს. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული პარტია საგარეო საქმეთა სამინისტროს გააკონტროლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კვიპროსელ ბერძნებთან მოლაპარაკებებში საკვანძო როლს სწორედ დენკტაში შეასრულებს.

კოალიციური მთავრობის შექმნას მიესალმა თურქეთი. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას მხოლოდ ანკარა ცნობს, სადაც 1974 წლიდან თურქული არმიაა განლაგებული. თურქეთი კუნძულის გაერთიანებაში დიდად არის დაინტერესებული. ანკარა იმედოვნებს, რომ კუნძულის გაერთიანებისათვის მხარდაჭერა ევროკავშირში თავად მისი გაწევრიანების შანსებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ცვლილებათ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ლუბა

ქალის ეს სახელი ეტიმოლოგიურად რუსული სიტყვა "**любовь**"-იდან მოდის. "**любовь**" სიყვარულს ნიშნავს. სიყვარული კი სიცოცხლის წყაროა.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემს შემთხვევაში გაამართლა ამ მარადიულმა ჭეშმარიტებამ.

თუმცა, ყველაფერს აქვს თავი და ბოლო, ყოველ შემთხვევაში, თავი მაინც. ასე რომ, მეც იქიდან მოვყვები.

რევოლუციამდეო, იტყოდა ხოლმე ბებიაჩემი. იმ თაობის ცხოვრება ორად იყო გაყოფილი – რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. ახლა ჩვენი ცხოვრებაც გაიყო. ჩემი – ნამდვილად. რევოლუციამდე სამსახურში დავდიოდი, მეგობრებს ვნახულობდი, ყოველ ახალ წელს ბაკურიანში, თხილამურებზე ვხვდებოდი...

ყველას თავისებურად ეხება დიდი ქარტეხილები... ნოემბრის იმ წვიმიანმა დღეებმა და ღამისთევებმა დასაწყისისთვის რევოლუციონერთა წინა ხაზი, ჩემი ძმები – რადიკულიტ-დისკოზიანი ხალხი მოცელა. მეც მათ შორის აღმოვჩნდი. ჩვეულმა ხერხებმა ვეღარ მიშველა და ახალი წლის წინა დღეებში საოპერაციო მაგიდაზე ამოვყავი თავი.

ნაახალწლევს ჩემი ძველი მეგობარი მესტუმრა. ლოგინში გაშოტილი რომ დამინახა, ეგ არის, უმსხვერპლოდ დამთავრდა რევოლუციაო?!

რა თქმა უნდა, მაინცდამაინც დიდი სიამოვნება არ განმიცდია, როცა პირში მილგაჩრილი და ხელებშებორკილი გამოვეგე ნარკოზიდან და უაზროდ შევყურებდი რაღაც სილუეტებს, მაგრამ ნებისმიერ სიავეს აუცილებლად ახლავს სიკეთის სულ მცირე ნაწილიც. არ ვიცი, ჩემსა და მაიმუნის წელიწადთან დაკავშირებით თუ იყო – ამდენი ბანანი და, თანაც, უფასოდ, ჩემს ცხოვრებაში არ მიჭამია. ბანანის შემდეგ ამ სიკეთეებში ტელევიზორმა დაიჭირა მეორე ადგილი. რაც მართალია, მართალია, მელოგინე, ქალისთვის იქნება თუ კაცისთვის, ტელევიზორი პირდაპირ მისწრებაა. ლამის მართლა შემიყვარდა ეს ყუთი.

აი, დავწერე ეს რამდენიმე სიტყვა და ვისოცკის ერთმა სიმღერამაც წამოყო თავი: "იდიოტებისთვის განკუთვნილი ამ ყუთისადმი სიყვარულით განვიმსჭვალეო."

თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და, თანაც, იძულებითი.

დროებითი და იძულებითია, თორემ ჩემმა მტერმა უყურა და უსმინა რევოლუციის მტრებს. ჩვენ ახლა ერთი ხმა გვაქვს, ისინი კი, აგე, რამდენნი არიან, - ახლა მართლა რომ მოაწყონ საარჩევნო კომისიები პარიტეტულ საწყისზე, ხომ დავრჩით იაქესავით მარტონი.

განსაკუთრებით ხმალაძე-ქუცნაშვილის წყვილის გამოჩენისას ვერთობი ხოლმე. ახლა თუ ამათ გამყრელიძე, გოგიტიძე და მინდელიც მოჰყვნენ, აღარც "მანჩესტერის" ყურება მინდა და აღარც ჯულია რობერტსისა. აკაკი ასათიანის ხილვა კი საერთოდაც მავიწყებს შეუბრალებლად დასერილ ჩემს ზურგს.

შორეულმა ნათესავმა მომაკითხა. ჩემმა ბიჭმა ლექსების წერა დაიწყო და იქნებ რამე ურჩიოო. რჩევისა რა გითხრა, მე მაგ საქმისა არაფერი გამეგება, აი, ერთს კი ნამდვილად დაგიბეჭდავთ-მეთქი. ვასრულებ შორეული ნათესავისთვის მიცემულ პირობას:

აკაკის სიმღერა

მე, აკაკის, რა მიჭირდა,
ნინო მედგა მზესავითა,
ნაჩუქარი რეიტინგი
წინ მეყარა ბზესავითა.

მისამღერი

ეჰეი, კაკო, აკაკი,
რა კარგი იყავ, რა კარგი.

მიშა პრეზიდენტი გახდა,
ჟვანიამაც ნახა ბინა,
სულ მარტო დავრჩი, სულ მარტო,
ვინ შემიბრალებს, ვინა?!

მისამღერი

ეჰეი, კაკო, აკაკი,
რა კარგი იყავ, რა კარგი.

გუშინ ჩემმა ბიძაშვილმაც დამიმესიჯა – გავიგე, აკაკი რადიკალურ ოპოზიციაში გადასულა. აბა, აქედან ვერ მივანვდენ ხმას, იქნებ როგორმე მოახერხო და გადასცე: გადახველ, თორე შენც ემანდ კრამიტები არ დაამტვრიო-თქო.

მწარე ენა კი აქვს ამ ჩემს ბიძაშვილს, მაგრამ მაინც პერიფერიაში ცხოვრობს და პარტიული ცხოვრების ყველა ნიუანსში, ბუნებრივია, ვერ ერკვევა. აბა, როგორ უნდა მიხვდეს ბოდბისხეველი კაცი მთავარი ტრადიციონალისტის, ასე ვთქვათ, ტრადიციული კალაპოტიდან ამოვარდნის მიზეზს. ხან ვენახშია, ხან ქვევრს რეცხავს, ხან მოსავალს აბინავებს. ტელევიზორისთვის სად სცალია! მე კი, აი, დილიდან საღამომდე რომ ვუყურებ, სლაბ ტოჩკასაც ჩავავლე. რამდენჯერაც მაია ნადირაძესთან ერთად მოხვდა სტუდიაში, იმდენჯერ ჩაფლავდა.

მე განა არ მესმის! ანერვიულდება კაცი, აბა, რა იქნება, ოქროს ბულბული გაფურინდა გალიიდან – ერთ ხმაში სიმღერას მართლა ტრადიციულ, ნაციონალურ სამ ხმაში სიმღერა ამჯობინა. განა გასაკვირია, რომ ბულბულს ვარდისკენ გაუწია გულმა?!

გართობა გართობად, მაგრამ ერთი უცანაურობაც შევატყვე თავს – შალიკოზე ვეღარ ვკაიფობ. არა, თვითონ შალიკო არაფერ შუაშია. ყველაფერი ძველებურად, ესე იგი, ჩვეულებრივად არის. დაიძახებს, პრესკონფერენციას, ან კიდევ უფრო უარესი, ბრიფინგს ვმართავო და ოციდან ორმოც კაცამდე ულაპარაკოდ გროვდება. მე ამ ხალხის სიმრავლე არ მიკვირს, უფრო მიკროფონების სიჭრელე მაოცებს – საქმე არა გაქვთ, კოლეგებო? მაგრამ თუ ბნელი ზრახვები გაქვთ გულში და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებთ, რომ კაცი აიგდოთ, მაინც ვერ მოგიწონებთ საქციელს – უხერხულია წაქცეულის ცემა.

ტელევიზორი ტელევიზორად და, ისე, არც ცოლი მაკლებს ყურადღებას – ყოველდღიურად მამარაგებს "24 საათით". ლადარია და კომპანია ძველებურად აწვებიან რაცა საჭიროა და ვისაც საჭიროა. ეს ძალიან კარგია, იმიტომ რომ მართლდება აფორიზმის "ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს" ჩემეული, არასაგაზეთო პერიფრაზი.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მართლა მთავრდება ყველაფერი – აღმოსავლური კალენდრით ჩემი წელიწადის ბანანებით აღნიშვნაცა და გართობაც.

მოვიწყინე. ამას ერთთავად ლოგინში გდებისგან უძილობაც დაერთო და...

აღმოჩნდა, რომ ქართულ ტელეარხებს დილის საათებში ჩვეულებრივი ძილით სძინავთ. ექვსი საათიდან მოყოლებული, ხან ზევით მივუყვები არხებს, ხან – ქვევით. გაგიგონია? პირველ ათეულს რომ მოვრჩი – აქ ის არხებია, რომელთა სერიოზულობის პრეტენზია, ასე თუ ისე, ემთხვევა ჩემს პრეტენზიებს – მეორე ათეულზე გადავინაცვლე. ეგრეთ წოდებულ დუბლებში, "პირველ სტერეოსთან" და აჭარის ტელევიზიასთან ერთად, "კავკასია" და "იბერიაც" თამაშობენ. და უცებ...

ეგრეა! ვინც ეძებს, პოულობს კიდეც. "იბერიაზე" პრეზიდენტის მომავალი რეზიდენციისთვის შერჩეულ შენობასა და ადგილის ავკარგიანობას განიხილავდნენ. სამნი იყვნენ. ერთი ყველასთვის კარგად ცნობილი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი იყო. ორი დანარჩენის ვინაობა კი გადაცემის მსვლელობისას გავარკვიე. ახალგაზრდა კაცი ძალიან ჰგავდა ლეიბორისტს, მაგრამ დიდ შეცდომადაც არ ჩამითვლიან, თუ სოციალისტი, ანდა, სულაც, მემარჯვენე გამოდგება. ქალი კი, როგორც ცოლის დახმარებით დავადგინე, ნამდვილად ლუბა იყო – 18 წლის გოგოს ვარცხნილობით, ორი ათეული წლის ჟურნალისტური სტაჟითა და ოთხი ათეული წლის ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული "იბერიის" ტელეწამყვანი.

გიგა ბათიაშვილი ცოტას და მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტურაზე ლაპარაკობდა. ლეიბორისტი შალიკოსეული თეზისებით იწონებდა თავს. ლუბოვ ნიკოლაევნას კაჭკაჭის ენთუზიაზმით გაჯერებულ საუბარში კი ყველაფერი იყო – ჟურნალისტიკაც, პოლიტიკაც, არქიტექტურაც.

ტელევიზიას დიდი ძალა აქვს. ცხადია, თეთრზე შავს ვერ გათქმევინებს, მაგრამ სიცოცხლის წყურვილით ნამდვილად შეუძლია აგავსოს. ღმერთო, შენ დალოცე "იბერია" და მისი საინფორმაციო პროგრამების დილის გამეორებები! მოწყენილობა იყო და აღარ იყო. სიცოცხლის წყურვილმა კი ყველაზე ძალუმად მაშინ იფეთქა, როცა ეთერში ლუბას სატელეფონო მეგობრების პოლიტიკური ბრალდებები გაისმა. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო საპრეზიდენტო ხელისუფლებისკენ ჯერ კიდევ შუა გზაზე მყოფი მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულება უხელფასობასა და უპენსიობაში.

ამ გადაცემაზე რეცენზიის დაწერას არ ვაპირებ. მეტისმეტად დიდი პატივი იქნება ჩემი მხრიდან. ქალბატონ ლუბას მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ სიტყვები "საზოგადოება" და "ხალხი" კრებითი სახელებია და თავისთავად გულისხმობს ბევრს. მაგრამ როცა სოფლისა და ქალაქის კი არა, მთელი ქვეყნის ხალხზე ლაპარაკობენ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, იმდენად ბევრს, რომ, "იბერიის" ვარსკვლავის დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით ვერ დაიყვანება ორი კლიმაქსიანი დედაკაცის აკვიატებულ მოსაზრებამდე. ნოემბრის ამბების შემდეგ, ცოტა არ იყოს, მიძინებულმა ბრძოლის წყურვილმა კი საბოლოოდ მაშინ გაიღვიძა, როცა ლუბამ გადაცემის ბოლოს, რეზიუმეს სახით, შეწუხებულმა აღნიშნა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რათა პრეზიდენტის მომავალი რეზიდენციის ირგვლივ შექმნილი ბოროტი აურა როგორმე გავანეიტრალოთო.

ნამდვილად არ ვიცი, რა ჰქვია, ლუბას დღევანდელ ვარცხნილობას, მაგრამ ერთი, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი სახელი კარგად მახსოვს. მაშინ ქერქეტა გოგოები იკეთებდნენ ამ "პრიჩოსკას" – "**Я у мамочки дурочка**".

ახლა კი ცნობისთვის: არქიტექტურულ, ისევე როგორც მათემატიკურ ან მუსიკალურ პრობლემებზე რეფერენდუმები, მით უფრო, სატელევიზიო გამოკითხვები არ ეწყობა. ამ საკითხებს ყველა ქვეყანაში სპეციალისტთა ვიწრო წრე წყვეტს. იმიტომ რომ, ძვირფასო ლუბოვ ნიკოლაევნა, ეგეთ საქმეებს ჯერ ნიჭი, მერე კი საკმაოდ ხანგრძლივი სწავლა სჭირდება. კარგად მესმის, რომ არქიტექტორები ყველაფერ ამასთან დაკავშირებით მკვახე გამონათქვამებს მოერიდებიან, ამიტომ ისევ მე ვიტყვი, თანაც, მხოლოდ ჟურნალისტურ არგუმენტს მივმართავ:

პარტიებისა და სხვადასხვა ჯგურის მოყვარულების ტრაკის საქმე არ არის, სად, რა და როგორ უნდა აშენდეს. ბოლოს და ბოლოს, რევოლუციის ერთ-ერთ უდანაშაულო მსხვერპლს ნამდვილად დაეჯერება.

"კმარა" აბაშიძეს რევოლუციის მოწყობაში ეხმარება

აღშფოთებული "კმარელები".

"შევარდნაძემ თავად მოაწყო რევოლუცია საქართველოში - ჩვენ, უბრალოდ, ხელი შევუწყვეთ მას. იგი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას გადაჰყვა. აბაშიძეც თავად აწყობს რევოლუციას აჭარაში და ჩვენ სრულ გარანტიას ვაძლევთ, რომ აუცილებლად შევუწყობთ ხელს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მისი დიქტატურა," – ასეთ გარანტიებს აძლევდნენ "კმარას" აქტივისტები ასლან აბაშიძეს გუშინ საკუთარ ოფისში მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

თამარ დვალი

"რატომღაც ასლან აბაშიძემ ვერ გაიგო, რომ საქართველოში შევარდნაძის რეჟიმის შეცვლა მოხდა მისი დიქტატორობის გამო. აბაშიძე უფრო პატარა დიქტატორია და სხვა ფორმებით იბრძვის თავისუფალი აზრის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა, მივმართოთ მას: მოუხმოს კეთილგონიერებას და თავად გაარკვიოს, თუ რა ქმედებისთვის არიან დაკავებულები სტუდენტები. აჭარის კონსტიტუციით, "კმარას" აქტივისტობა თუ დანაშაულია, არ ვიცი, საქართველოს კონსტიტუციით კი, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფალი სიტყვა წარმოთქვას", - განაცხადეს "კმარას" აქტივისტებმა.

ისინი აჭარაში ტელეკომპანია "რუსთავი"-2-ის გათიშვას გმობენ და აღნიშნავენ, რომ, მათი ინფორმაციით, აჭარის სივრცეში მალე კიდევ ერთი დამოუკიდებელი არხის - "ტელეიმედის" მაუწყებლობაც შეწყდება, რაც აბაშიძის დიქტატურაზე პირდაპირ მიუთითებს: **"ასლან აბაშიძე და მისი რეჟიმი მიმართავენ ყოვლად დაუშვებელ ხერხებს, გაუსწორდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც თავისუფალი აზრის, სიტყვის თქმას ცდილობენ აჭარაში. დამოუკიდებელი ტელეკომპანიების გათიშვით აბაშიძე თავისუფალი სიტყვის ჩახშობას ცდილობს. მას არა, მაგრამ ჯემალ გოგიტიძეს კარგად აქვს "კმარას" მუშტი ნაგემი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. რამდენიმე ახალგაზრდამ "კმარას" მაისური რომ ჩაიცვას და კედელზე პლაკატები გააკრას, ამას გოგიტიძე ტერორისტობას ეძახის,"** - ამბობენ აღშფოთებული "კმარელები".

აჭარის მოვლენების განხილვის შემდეგ, აქტივისტებმა თავიანთი რისხვა პოლიციელებისკენ მიმართეს. მათ რუსთავსა და თერჯოლაში მშვიდობიანი აქციის დარბევა გააპროტესტეს და პოლიციელებს ძველი ჩვევების "ვერმოშლის" გამო უსაყვედურეს: **"ჩვენ არ ვიბრძოდით იმისთვის, რომ საქართველოში მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა მომხდარიყო. მას სისტემური ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა. ვეთანხმებით იმას, რომ თერჯოლაში გამართული აქცია უკანონო იყო, მაგრამ პოლიცია ვალდებულია, გამოავლინოს, ვინ იყო ამ აქციის ორგანიზატორი და აღძრას მის წინააღმდეგ საქმე. ის მეთოდი, რა ფორმითაც თერჯოლასა და რუსთავში მოხდა აქციის დაშლა, სრულიად დაუშვებელია."** – განაცხადა "კმარას" აქტივისტმა ლაშა მაქაცარიამ.

"კმარელებს" თერჯოლაში მომხდარი ინციდენტის დროს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე ავთო ბესელია შეუმჩნევიათ და მას, ახალ დანაშაულთან ერთად, ძველი ცოდვებიც გაუხსენეს. **" ავთო ბესელია არამარტო ახლა მონაწილეობდა აქციის დარბევაში, არამედ მას რამდენჯერმე ჰყავს "კმარელების" ჯგუფი ნაცემი. მის მიერ გალახული ჩვენი ჯგუფის წევრი გოგონა ახლაც ცუდადაა,"** – აღნიშნა თეა თუთბერიძემ და პოლიციელებს ურჩია, აქციებზე სიარულის ნაცვლად, კანონიერი ქურდების მიერ ციხეების მართვას მოუღონ ბოლო: **"პოლიცია იმისთვის არსებობს, რომ ქურდები დააკავოს და ისე მოაგვაროს საქმე. ციხეებს, კანონიერი ქურდები კი არა, თვითონ უნდა მართავდნენ. ჩვენ ამ ქურდების დაკავებას კი არ ვაპროტესტებთ, თავისუფალი სიტყვის ამ ფორმით შეზღუდვას ვგმობთ. საერთოდ, ტერმინი "კანონიერი ქურდი" დემოკრატიულ, განვითარებულ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს".**

"კმარელების" პრესკონფერენციაზე პოლიციელთა ქმედება "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა ია მიმინოშვილმაც გააკრიტიკა. აღსანიშნავია, რომ აქტივისტებს შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე საერთოდ არ უხსენებიათ; წინათ კი მსგავსი ქმედებების დაგმობას სწორედ მინისტრის პოლიტიკის გაკრიტიკებით იწყებდნენ.

ბათუმური დიქტატის წინააღმდეგ სასულიერო პირებიც ერთიანდებიან

პირველი გვერდიდან

როგორც სასულიერო პირებმა განაცხადეს, ჟურნალისტების მოწვევის მიზანი "კმარას" ბათუმელი წევრების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა იყო. დეკანოზი ბასილ კობახიძე და მღვდელი ზაზა თევზაძე როგორც მოქალაქეები, როგორც სასულიერო პირები და როგორც მართმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები მხარდაჭერას გამოხატავდნენ რეპრესირებული ახალგაზრდებისადმი და ამით თავიანთ ხმას სამოქალაქო საზოგადოების დიდ ნაწილს უერთებდნენ.

პრეს-კონფერენციის გამართვისათვის ALPE-ს ოფისი იმის გამო შეირჩა, რომ აქ, როგორც სამართლებრივი განვითარების ასოციაციაში, ხშირად ეწყობა ხოლმე სემინარები და მრგვალი მაგიდები ქრისტიანობის სოციალურ დოქტრინასთან დაკავშირებით. შეკითხვაზე - ემთხვევა, თუ არა მათი პოზიცია საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას - სასულიერო პირები პასუხობდნენ, რომ, მართალია, საპატრიარქოს მათთვის რაიმენაირი პოზიციის დაფიქსირება არ დაუვალებია, მაგრამ ისინი, როგორც საქართველოს ეკლესიის ხელდასხმული მღვდლები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის აზრსაც გამოხატავენ.

"ასლან აბაშიძის რეჟიმი კლასიკური, იაფფასიანი საბჭოთა ტიპის რეჟიმია, რომელსაც იქაური მოსახლეობის სრული დამონება აღარ აკმაყოფილებს და ახლა საგანგებო მდგომარეობასაც უმატებს. ახალგაზრდები თავიანთი აზრის გამოთქმას დემოკრატიული მეთოდებით ცდილობენ, იქ არსებული ტოტალური რეჟიმი კი მათ ცნობილი, საბჭოთა მეთოდების გამოყენებით უმკლავდება; განსხვავებული აზრისათვის ყალბ კრიმინალურ ბრალდებებს უყენებს - ხულიგნობას, იარაღის ტარებას და ნარკოტიკების შენახვას," – ამბობდა ბასილ კობახიძე

სასულიერო პირებმა საპატრიარქოს მოუწოდეს, მხარდაჭერა გამოხატოს ახალგაზრდებისადმი და აუხსნას ბათუმელ პოლიციელებს, იქაურ მთავრობას, მათ, ვინც თავს მართმადიდებელ ქრისტიანად მოიაზრებს, რომ მათი საქციელი ქრისტიანულ ეთიკას ეწინააღმდეგება. **"თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანულ მორალზე, სახარებისეულ სწავლებაზეა დაფუძნებული, ამიტომ ჩვენი ეკლესია თავის მოქალაქეობრივ პოზიციას უფრო აქტიურად უნდა გამოხატავდეს; მით უმეტეს, რომ საქართველოს პატრიარქმა თავის ეპისტოლეში ახალი მთავრობისადმი სრული მხარდაჭერა გამოხატა. დღეს ახალ პოლიტიკურ ვითარებაში აჭარა განცალკევებულ, ფეოდალურ ოლქად აღარ უნდა დარჩეს,"** – ამბობდნენ ისინი.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე სასულიერო პირებმა გაკვირვება გამოთქვეს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის დიმიტრი შიოლაშვილის მიმართაც, რომელსაც თავისი სულიერი შვილების დასაცავად ჯერ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ფოსტა

ამ წერილს ვწერ და ცრემლი მომდის...

ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი, რომ არა ორი უმწეო შვილის ავადმყოფობა, რომლებიც, უკვე ხუთი წელია, იტანჯებიან. მათ ვერბალური დამბლა აქვთ (სპასტიური დიპლეგია). ისინი დაბადებისთანავე საჭიროებენ მკურნალობას, მაგრამ დაპირებებსა და იმედგაცრუებაში გაიარა ხუთმა წელიწადმა.

ალბათ, ხვდებით, თუ რა ძნელია, როცა ბავშვები თვითონვე ხვდებიან თავიანთ ავადმყოფობას და გრძნობენ, რომ სხვა ბავშვებივით ვერასოდეს გაიზრდებიან. ამდენი წლის განმავლობაში მათ სრულყოფილი მკურნალობა არ ჩატარებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან პერსპექტიული ბავშვები არიან - მათი განკურნება შესაძლებელია; სხვა ჯანმრთელ ბავშვებზე არანაკლებ აზროვნებენ და ამიტომაც მშვენივრად იციან, რომ, მკურნალობის გარეშე, ვერ გაიზრდებიან. დღე არ გაივლის, რომ არ მკითხონ, - "დედიკო, ჩვენც ხომ მალე გავივლით გიორგისავით?" გიორგი ჩემი მესამე შვილია. ის 4 წლისაა და ტყუპებს მასწავლებელივით მოევლინა, რადგან სწორედ გიორგი უღვიძებს მათ გავლის სურვილს. მაგრამ, თავის ტკივილი, რომელიც მათ მშობიარობისას დაუზიანეს, საშუალებას არ აძლევთ, სრულყოფილი ბავშვებივით გაიარონ.

ამ წერილს ვწერ და ცრემლი მომდის... ნუთუ ვერავინ უშველის ჩემს ტყუპებს. გული მტკივა, როცა მახსენდება, თუ როგორ გაიარა ხუთმა უიმედო წელმა. დასანანია, რომ ჩვენ ქვეყანაში არ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც გულთან მიიტანდა 25 წლის დატანჯული დედის გაჭირვებას და ბავშვებს ნამდვილ ბავშვობას, ჯანმრთელობას აჩუქებდა!

ისევ ვიტოვებ იმედს, რომ გამოჩნდება ვინმე ქველმოქმედი, გულისხმიერი ადამიანი, რომელიც შეძლებს ჩემი შვილების დახმარებას, რომ მათ გაუკეთდეთ სპეციფიკური მასაჟი, რომელიც ჰაერივით სჭირდებათ.

წინასწარ დიდ მადლობას გიხდით ძვირფასო მკითხველებო. ღმერთმა ყველა დედას აჩუქოს ჯანმრთელი შვილები და ჩემსავით ნურავინ დაიჩაგრება.

ე.მ.
საქ. ბანკის მთაწმინდის ფილიალში გახსნილია ანგარიში N040911816 კოდი 220101505

მოკლედ

ხუთჯვრიანი დროშა "შიშველ მთაზე"

"ნაციონალური მოძრაობის" აჭარის ორგანიზაციის აქტივისტებმა დღეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში, ზღვის დონიდან 650 მეტრის სიმაღლეზე მდებარე "შიშველ მთაზე" "ნაციონალების" ხუთჯვრიანი დროშა აღმართეს.

გონიოს მკვიდრის ჯონი მიქელაძის ინფორმაციით, 30-მეტრიანი დროშის აღმართვაში, თითქმის, მთელმა სოფელმა მიიღო მონაწილეობა და აჭარის შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმს, ჯემალ ბაკურაის ხელმძღვანელობით, მათთვის ხელის შეშლა არ უცდია. თუმცა, სოფელში აჭარის უშიშროების წარმომადგენლები აქტიურობენ, რომლებიც მოსახლეობის დაშინებას და შანტაჟს ცდილობენ.

მისივე თქმით, აჭარის ხელისუფლების ხელყოფისგან დასაცავად დღეიდან სოფლის აქტივის ნაწილი დროშასთან 24-საათიან მორიგეობას განახორციელებს, უახლოეს დღეებში კი კერძო სახლების თავზე "ნაციონალების" ის დროშები აღიმართება, რომლებსაც სოფლებში მცხოვრები ქალბატონები თავად კერავენ. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია მიმდინარე კვირას გეგმავს წერეთლის გამზირზე მოქმედი უკანონო სავაჭრო ჯიხურების აღებას.

როგორც "ინტერ-პრესს" მერიაში განუცხადეს, სამსახურს უკვე შესწავლილი აქვს გამზირზე მდებარე თითოეული სავაჭრო ობიექტის დოკუმენტაცია და მათი კანონიერება.

როგორც ადმინისტრაციულ ინსპექციაში აღნიშნეს, მათ არაერთხელ გააფრთხილეს ჯიხურების მფლობელები საბუთების მოწესრიგების აუცილებლობის თაობაზე, თუმცა ბევრმა მათგანმა ეს ყურად არ იღო, ამიტომ ინსპექციას ჯიხურების ძალისმიერი გზით აღება მოუწევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციის პროექტის დეტალური განხილვის მიზნით, თბილისის მერი ვანო ზოდელავა ხვალ ბარათაშვილის ქიმს და მის მიმდებარე ტერიტორიას დაათვალიერებს.

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილს დაგეგმილი აქვს, საპრეზიდენტო რეზიდენცია ბარათაშვილის ქიმზე მდებარე ქალაქის საგზაო პოლიციის შენობაში მოაწყოს.

ქალაქის მერმა ამ საკითხზე დღევანდელ ტრადიციულ თათბირზე გაამახვილა ყურადღება. მან განაცხადა, რომ "პრეზიდენტის სამუშაო ადგილი ქვეყნის სახეა და ამ საკითხს საფუძვლიანი გადაწყვეტა სჭირდება".

ზოდელავას მტკიცებით, ავლაბრის იმ უძველესი ტერიტორიის განაშენიანების გეგმაზე, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა განთავსდეს, მერიის არქიტექტურის სამსახური, დიდი ხანია, მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის 2004 წლის ბიუჯეტში ქალაქის დასუფთავებისთვის დამატებითი თანხები იქნება გათვალისწინებული.

როგორც "ინტერ-პრესს" თბილისის მერიაში განუცხადეს, ამ მიზნით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში დასუფთავების სტრუქტურული დანაყოფი შეიქმნება, რომელიც ახალი ტექნიკით აღიჭურვება.

მერიის განმარტებით, ქალაქის შემოსასვლელებს და ცენტრალურ ქუჩებს სწორედ კეთილმოწყობის სამსახური დაასუფთავებს, პერიფერიის ქუჩებს, კორპუსებსა და ეზოებს კი - გამგეობები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჩინეთის ხელისუფლებამ დღეს დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია ქალაქ გუანჯოუში "ატიპური პნევმონიით" დაავადების მესამე შემთხვევის გამოვლენის შესახებ. ჩინეთის სამხრეთში მდებარე ქალაქის საავადმყოფოში 35 წლის მამაკაცია მოთავსებული.

რამდენიმე დღის წინ გუანჯოუს ჰოსპიტლიდან 32 წლის ტელეპროდიუსერი გაწერეს, რომელსაც გასული კვირის დასაწყისში "ატიპური პნევმონიის" დიაგნოზი დაუდასტურდა. როგორც მედიკოსები იუწყებიან, პაციენტი მთლიანად გამოჯანმრთელდა.

გარდა ამისა, გამოკვლევა უტარდება გუანჯოუს ერთ-ერთი რესტორნის 20 წლის ოფიციანტ ქალს.

ქალაქ შენძიანის საავადმყოფოში "ატიპური პნევმონიის" სიმპტომებით კიდევ ერთი, მეოთხე პაციენტი მოათავსეს. "დაავადებულია 38 წლის ჩინელი, გვარად ჩენი,"- იუწყება "ბლუმბერგის" სააგენტო. თუმცა, ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "მწვავე რესპირატორული სინდრომის" ამ შემთხვევის შესახებ მათთვის არაფერია ცნობილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის, "სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის," წევრებმა ცენტრალური ქუჩა გადაკეტეს. ისინი საქართველოს გენპროკურატურისაგან მოითხოვენ იმ ბრძანებაზე ხელისმოწერას, რომლითაც უნდა შეიქმნას ორმხრივი კომისია ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე. მათი მოთხოვნით, კომისიაში უნდა შევიდნენ, როგორც საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე - მოსარჩელეების ნდობით აღჭურვილი პირები.

როგორც აქციაზე გამოსულმა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ განაცხადა, ის არ იყო ორმხრივი კომისიის შექმნის წინააღმდეგი და ბრძანებაზე ხელის მოწერასაც აპირებდა, მაგრამ როდესაც პროკურატურასთან საპროტესტო აქციების სერია დაიწყო, გამოძიების რამდენიმე მონაწილემ უარი განაცხადა კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. ამის საპასუხოდ, აქციაზე გაისმა ხმამაღალი შეძახილები, - "გაბრიჩიძე ნუ ცრუობ"! ამის შემდეგ გენპროკურორმა შენობის ტერიტორია დატოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საავიაციო საზოგადოება "თელასი" საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისაგან კვლავ 40-50 მეგავატით ნაკლებ სიმძლავრის ელექტროენერგიას იღებს. ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, დენი არ მიეწოდება გლდანის კვანძს. **მედია-ნიუსი**

მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულები დაპატიმრებას პოლიტიკური სარჩულით ხსნიან

გიორგი ვაშაკიძე დავით მაღლაკელიძის გატაცებაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

გამომძიებლის მტკიცებით დაპატიმრებულთა ბრალეულობის შესახებ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს

გიორგი გაბუნიას ფოტო

ხათუნა ჯანგირაშვილი

"წარმოდგენა არ მაქვს, რისთვის ვიმყოფები ამ ადგილას", - ეს განცხადება თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულმა, თავდაცვის სამინისტროს გენერალ-მაიორმა, "მხედრიონის" სამტრედიის ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაკიძემ უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთი დარბაზის ერთ-ერთი გალიიდან, მოსამართლის გადაწყვეტილებამდე რამდენიმე წუთით ადრე გააკეთა. გუშინ უზენაესი სასამართლო ოთხი საათის განმავლობაში, დახურულ სხდომაზე მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხს განიხილავდა. **"თბილისის პროკურატურის მოთხოვნა სამართლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. არსებობს გიორგი ვაშაკიძის დანაშაულის მყარი მტკიცებულებები, ამასთან, არის იმის საშიშროებაც, რომ ბრალდებული, შესაძლოა გამოძიებას დაემალოს, აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე - გიორგი ვაშაკიძეს შეეფარდოს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა",** - ასეთი დადგენილება გამოიტანა რამდენიმესაათიანი განხილვის შემდეგ მოსამართლე ლოტბერტ კუპატაძემ. გიორგი ვაშაკიძე ამ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ შეხვდა. თუმცა, მისი ინტერესების დამცველმა პროცესის დასრულებისთანავე განცხადება გააკეთა.

"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფსიქიკურად მდგრადი პიროვნებაა, თანაც, აბსოლუტურად ჯანმრთელია. ის თავს არ მოიკლავს. ამ განცხადებას მე უსაფუძვლოდ არ ვაკეთებ. ბევრს აღარ უნდა, რომ გიორგი ვაშაკიძე ცოცხალი იყოს", - განაცხადა ბრალდებულის ადვოკატმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, რომელიც აქამდე დუმილის უფლებით სარგებლობდა, ჩვენებებს **"ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად გამოსტყუებენ"**. ადვოკატისვე განმარტებით, მას ამის თქმის საფუძველს ის გარემოება აძლევს, რომ გიორგი ვაშაკიძესთან ერთად დაკავებული ბენიამინ სანებლიძე და ელდარ გოგბერაშვილი, რომელთაც ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გუშინ გამთენიისას შეუფარდა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა, ჯერ კიდევ ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნებში ჰყავთ, მაშინ, როცა ისინი, მოსამართლის დადგენილების მიხედვით, უკვე ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში უნდა იყვნენ გადაყვანილები. ეს ინფორმაცია უზენაეს სასამართლოში განცხადების გასაკეთებლად მოსულმა ელდარ გოგბერაშვილის ადვოკატმაც დაადასტურა.

"რამდენიმე წუთის წინ დამირეკეს ქალაქის სამმართველოდან და მითხრეს, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, თურმე, აღიარებითი ჩვენების მიცემას აპირებს. მობრძანდით, დაესწარითო, - შემომითვალეს. გამორიცხულია, ელდარ გოგბერაშვილმა აღიარებითი ჩვენება მისცეს, რადგან ჯერ ისიც არ იცის კარგად, რას ედავებიან. რაც ბუნებაში არ მომხდარა, იმას ვერ აღიარებს. ვაცხადებ, რომ გოგბერაშვილი და სანებლიძე კანონდარღვევით, შეგნებულად არ გადაჰყავთ მეხუთე იზოლატორში მანამ, სანამ მათ იძულებით, ცემა-წამებით არ მოაწერინებენ ხელს წინასწარ დაწერილ ოქმებზე", - განაცხადა გოგბერაშვილის ადვოკატმა გიორგი ჩირგაძემ.

ერთი სიტყვით, გუშინ, უზენაეს სასამართლოში, "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის გატაცებაში ბრალდებულების ახლობლების, ოჯახის წევრებისა და ადვოკატების მხრიდან ბევრი ხმამაღალი განცხადება გაკეთდა. მათსა და გამომძიებელ მირიან ნიკოლაძეს შორის კი, ვიდეოკამერების წინ ხმამაღალი საქმის გარჩევა მოეწყო.

გამომძიებელი მირიან ნიკოლაძე ბრალდებულთა ახლობლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს უსაფუძვლოს უწოდებს და ირწმუნება, რომ გამოძიებას ბრალდებულთა ბრალეულობის დასადასტურებელი უამრავი მყარი მტკიცებულება გააჩნია. გამომძიებელმა გუშინ იმ სატელეფონო მოსმენების დეტალებიც გათქვა, რომელთა საფუძველზეც, მისი განმარტებით, ორი დღის წინ დაკავებულთა ბრალეულობა მაღლაკელიძის გატაცებაში უტყუარია. გუშინ ახალი ინფორმაციაც გახმაურდა. გამომძიებლის თქმით, გამტაცებლები, რომლებიც მძევლის ოჯახის წევრებთან და "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან სატელეფონო საუბრებს პერიოდულად აწარმოებდნენ, მათგან გატაცებულის გამოსახსნელ თანხასთან ერთად, "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" არსებულ ოქროს ლომების ნაკეთობებსაც ითხოვდნენ. გამომძიებლისვე განმარტებებით, ეს ოქროს ლომები შაჰ-აბასის დროინდელია. საიდან და როგორ მოხვდა შაჰ-აბასისეული 12 ოქროს ლომი "გაერთიანებულ ქართულ ბანკში", უცნობია.

ერთი სიტყვით, მხარეები ერთმანეთს სასამართლო დარბაზის გარეთ არგუმენტებით უსაბუთებდნენ დაკავებულთა დამნაშავეობა-უდანაშაულობას. ბრალდებულების - ბენიამინ სანებლიძის, ელდარ გოგბერაშვილისა და გიორგი ვაშაკიძის ახლობლები მათი დაპატიმრების პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობენ და ირწმუნებიან, რომ ისინი პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი არიან.

რაც შეეხება ბრალდებულთა კავშირს ცნობილ ქისტ კრიმინალთან, ყველასთვის ცნობილ ადამიანის გამტაცებელთან მევლუდ ჭიჭიაშვილთან და უშიშროების ყოფილ მინისტრთან იგორ გიორგაძესთან, მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულთა ახლობლები და ადვოკატები კატეგორიულად უარყოფენ და ამ ბრალდებას წინასწარ დადგმულ სპექტაკლს უწოდებენ.

"ერთსაც და მეორესაც მხოლოდ ტელევიზიის საშუალებით ვიცნობ. მათთან არანაირი შეხება არასდროს არ მქონია", - განაცხადა გენერალ-მაიორმა გიორგი ვაშაკიძემ.

რაც შეეხება ადვოკატთა და ბრალდებულთა ოჯახის წევრების ბრალდებას გამოძიების მიმართ, რომ დაკავებულები სასტიკად ნაწამები და ნაცემები არიან, გამომძიებელი მირიან ნიკოლაძე არ უარყოფს, თუმცა ბრალდებულთა დაზიანებებს მათი დაკავების მომენტს უკავშირებს: **"პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, პოლიციამ კი კანონით გათვალისწინებული ზომები მიიღო",** - ასეთია გამომძიებლის არგუმენტი. დაკავებულთა ახლობლები კი ბრალდებულთათვის სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნას კატეგორიულად ითხოვენ.

ერთი სიტყვით, "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის გატაცებაში ბრალდებულების ახლობლები სამართალდამცველებს სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ და მომხდარს პოლიტიკურ შეფასებებს აძლევენ. გამომძიება კი უკან არ იხევს და იმ უტყუარ მტკიცებულებებზე საუბრობს, რომლებიც სამართალდამცველთა ხელშია და ბრალდებულებისა და მათი ახლობლების პოზიციას ეწინააღმდეგება.

გენერალურ პროკურატურაში უძრაობის ხანა დასრულდა

პირველი გვერდიდან

მოძრაობა უსწრებდა. თუმცა, გენერალური პროკურატურის მუშაობაში რევოლუციური ძვრების ინიცირება მისთვის არც არავის მოუთხოვია – გაბრიჩიძის დანიშვნას სულ სხვა მიზეზები ჰქონდა. "რუსთავი-2"-ში უშიშროების სამინისტროს გამომძიებლების შეჭრასთან დაკავშირებით აგორებული მასობრივი გამოსვლების შედეგად, მაშინდელი გენპროკურორის გადადგომის შემდეგ ნუგზარ გაბრიჩიძის წარდგენა ამ პოსტზე ერთგვარ კომპრომისულ ვარიანტად იქნა აღქმული. პოლიტიკურ დაპირისპირებებში ჩართული გია მეფარიშვილის "ყველასთან კარგი ურთიერთობის მქონე" გაბრიჩიძით ჩანაცვლებას პოლიტიკურ ძალთა სპექტრში დიდი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. შესაბამისად, გაბრიჩიძეს არც შემდგომში უღალატია გამოცხადებული ნდობისთვის და სამართლის სახელით რადიკალური დაპირისპირება, წინამორბედების მსგავსად, არც ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჰქონია და, წინამორბედებისგან განსხვავებით, არც ოპოზიციურ ძალებთან.

ნუგზარ გაბრიჩიძის მმართველობის ხანაში სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენის გამო თუ პოლიტიკოსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიუხედავად, გენერალური პროკურატურის უახლეს ისტორიაში ძნელი გასახსენებელია უფრო მდორედ მუშაობის ხანა, ერთგვარი უძრაობის პერიოდი, რომელსაც ამოძრავება მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" შემდგომ დაეტყო. იმავე ნუგზარ გაბრიჩიძემ, თითქმის იმავე ქვეშევრდომებითურთ, რომლებიც სამი წლის მანძილზე მხოლოდ გაკვრით თუ საუბრობდნენ ზოგიერთი თანამდებობის პირის სავარაუდო დანაშაულზე, მაგრამ არც ერთი ამ დანაშაულის ბოლომდე გამოძიება და დამნაშავეების დაპატიმრება არც უფიქრიათ, ნოემბრის ბოლოს მკაცრი პრეტენზიები წაუყენეს უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ცხადია, ნუგზარ გაბრიჩიძეს ამის გამო საყვედურს აღარავინ ეტყვის, მას აღარავინ მოჰკითხავს იმის გამო, რომ წლების მანძილზე დანაშაულს "უნახავდა" და შემდგომი დანაშაულის ჩადენის საშუალებას აძლევდა არაერთ თანამდებობის პირს - გენერალური პროკურატურა, ყოველგვარი წესისა და კანონის დარღვევით, წლების მანძილზე პოლიტიზირებული ორგანო იყო და, ამ თვალსაზრისით, ნუგზარ გაბრიჩიძეც ამ სისტემის "ღვიძლი შვილი" გახლდათ. მას ეს, როგორც ჩანს, შეუნდეს. მიხეილ სააკაშვილმა გაბრიჩიძეს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გაწეული მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა, თუმცა კი – შეცვალა. ზემოთაც ვთქვით, ეს მოსალოდნელი იყო, და არა იმიტომ, რომ გენპროკურორის ახალი კანდიდატურა სააკაშვილის ძველი თანამებრძოლია, არამედ, ძველი მმართველობის ნგრევისა და ახალი მმართველობის სტილისა და სისტემის ჩამოყალიბების პროცესში სამართალწარმოების ღერძად წოდებულ ორგანოს სათავეში ისეთი ადამიანი უნდა ედგას, რომელიც სამართალს კონიუნქტურის სათვალით არ უყურებს. ირაკლი ოქრუაშვილს კი, ჯერჯერობით, სწორედ ასეთი იმიჯი აქვს.

საქართველოს ახალი გენერალური პროკურორი ჰყავს. უფრო სწორად, ეყოლება მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე ირაკლი ოქრუაშვილის კანდიდატურას პარლამენტი დაამტკიცებს – ასეთი გახლავთ პროცედურა, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის, ვერც შიდა ქართლის აწ უკვე ყოფილი გუბერნატორი, რომელიც, საეჭვოა, საკანონმდებლო ორგანოში რაიმე წინააღმდეგობას წააწყდეს.

საქართველოში დაპატიმრებულ ტერორისტებს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 42 წლის ადამ დეკუშევს და 37 წლის იუსეფ კრიმშამხალოვს, რომლებსაც ბრალი ედებათ 1999 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების ორგანიზებაში. ტერაქტები 1999 წელს მოხდა და მათ 243 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასზე მეტი კი დაშავდა.

როგორც ცნობილია, ორივე მათგანი საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს: დეკუშევი – ურეკში, სადაც იგი პანკისის ხეობიდან ჩავიდა, კრიმშამხალოვი კი ლაგოდეხთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად. სავარაუდოდ, ორივე მათგანი კარგა ხნის მანძილზე თავს პანკისის ხეობას აფარებდა. დაკავების შემდეგ დეკუშევიცა და კრიმშამხალოვიც რუსეთს ყოველგვარი ექსტრადიციის შესახებ დოკუმენტების გაფორმების გარეშე გადასცეს.

დეკუშევი და კრიმშამხალოვი ყარაჩაი-ჩერგეზეთის მკვიდრნი არიან. ისინი სასჯელს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოიხდიან.

სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო ტერორიზმში, ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო დამზადებაშენახვა-გადაზიდვაში, არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობაში, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობასა და საზღვარის უკანონოდ გადაკვეთაში. ასეთ სერიოზულ დანაშაულთა გვერდით არაფრად გამოიყურება კრიმშამხალოვის ბრალდება - ქრთამის მიცემა, რაც ერთი ავტოინსპექციის თანამშრომლისთვის ერთი ტომარა შაქრის მიცემაში გამოიხატა.

სამუდამო პატიმრობის გარდა, განსასჯელებს მოუწევთ, მატერიალური ზარალი აუნაზღაურონ იმ 14 დაზარალებულს, რომელმაც პროცესის მსვლელობის დროს მათ პრეტენზია წაუყენა სამოქალაქო სარჩელის სახით. კომპენსაციის საერთო ოდენობა ერთ მილიონ რუბლს აღწევს. ამას ემატება იმ 14 მოსარჩელისთვის გადასახდელი 2 მილიონ 800 ათასი რუბლი – კომპენსაცია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთანავე, სასამართლომ უფლება დაუტოვა იმ დაზარალებულებს, რომლებსაც სასამართლო პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიღებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვონ. ასეთი კი სულ 1831 ადამიანია.

დეკუშევისა და კრიმშამხალოვის სასამართლო პროცესი 31 ოქტომბერს დაიწყო და ამ ხნის მანძილზე დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, ბრალდებულებმა დანაშაული მხოლოდ ნაწილობრივ აღიარეს. ამასთანავე, დეკუშევმა სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ აბუ უმარის დავალებით, რომლის ბაზაზეც მან მომზადება გაიარა, 15 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება იქნა დამზადებული, თუმცა განაჩენის გამოცხადების შემდეგ მსჯავრდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი "აბსოლუტურად" არ ეთანხმებიან განაჩენს და "ბევრი მტკიცება სუცრუეზეა დამყარებული". სამაგიეროდ, განაჩენით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ დაზარალებულები, თუმცა კი ისინი ტერორიზმში ბრალდებულთა სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ.

დეკუშევს და კრიმშამხალოვს განაჩენის გასაჩივრება რუსეთის უზენაეს სასამართლოში შეუძლიათ.

გამოძიება მიიჩნევს, რომ მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მდებარე საცხოვრებელი სახლების აფეთქებების ორგანიზატორები იყვნენ არაბული წარმოშობის საველე მეთაურები - ჰათაბი და აბუ უმარი, რომლებიც ჩეჩნეთში მოქმედებდნენ. ამავე დროს, გამოძიების მონაცემებით, ტერაქტების ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობდნენ: აჩიმეზ გორიაევი, ჰაკიმ აბაევი, დენის საიტაკოვი, ძმები ზაურ და თემურ ბატჩაევები. ოპერატიული მონაცემებით, გოჩიაევის გარდა, ყველა მათგანი ჩეჩნეთის საომარი მოქმედებებისას დაიღუპა.

გუშინვე სტავროპოლის საოლქო სასამართლოში განახლდა იმ ოთხი ჩეჩენი პატიმრის სასამართლო პროცესი, რომელთა ექსტრადაცია საქართველოდან რუსეთში 2002 წლის ოქტომბერში, მალულად მოხდა.

განსასჯელებს - რიზვან ვისიტოვს, ასლან აბდაევს, ვახაბ შამაევსა და ჰუსეინ ხაჯიევს ბრალად ედებათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა, იარაღის კონტრაბანდა, საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთა და მესაზღვრეების სიცოცხლის ხელყოფა.

სტავროპოლის საოლქო სასამართლოს ინფორმაციით, ბოლო დანაშაული განსასჯელებმა 2002 წლის ზაფხულში ბოევიკების ბანდის სხვა წევრებთან ერთად ჩაიდინეს, რაც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მესაზღვრეებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაში გამოიხატა. სროლის დროს "ბოევიკების" ნაწილი დაიღუპა, ნაწილმა კი საქართველოს შეაფარა თავი.

განსასჯელები სწორედ ის ჩეჩენი პატიმრები არიან, რომლებსაც რუსეთში ექსტრადიციის გამო სარჩელი აქვთ შეტანილი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

24 საათი

ახალი ანტიკორუფციული ტალღა იუსტიციის სამინისტროში

თამარ კაკიტაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა რამდენიმე დღიანი მუშაობის შემდეგ სამინისტროში არსებულ კორუფციაზე ალაპარაკდა. "ყველას კარგად მოეხსენება, რომ იუსტიციის სამინისტროში გამეფებულია კორუფცია, რომელიც სწრაფ და აგრესიულ (კარგი მნიშვნელობით) ჩარევას საჭიროებს", - აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ.

იუსტიციის სამინისტრომ კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო.

ეკატერინა ფოფხაძის ფოტო

"ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი სამინისტროში არსებული კორუფციის აღმოფხვრაა", – განაცხადა მინისტრის ახალმა მოადგილემ და მასმედიას კორუფციასთან ბრძოლის პირველი შედეგები გააცნო.

სამინისტროს ახალი ხელმძღვანელების პირველი "მსხვერპლი" ყოფილი მმაჩის, დღევანდელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს (სარო-ს) თანამშრომლები აღმოჩნდნენ.

როგორც ცნობილია, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, იმისათვის, რომ წყვილმა ქორწინება-ში მოწმობა მიიღოს, სავალდებულოა, ცოლ-ქმარმა ერთად მიმართოს განცხადებით სარო-ს. ერთი თვის შემდეგ კი ისინი ოფიციალურ დოკუმენტს მიიღებენ, თუმცა ქართულ სინამდვილეში ერთთვიანი ლოდინი სავალდებულო სულაც არ არის, მით უმეტეს - თუ ოფიციალურ გადასახადს ქრთამის სახით 70-დან 100 ლარსაც დაუმატებ.

სწორედ ამგვარი კანონდარღვევა დააფიქსირეს ფარული ვიდეოკამერით იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა.

"კონკას" სახელით ცნობილი ქორწინების სახლის თანამშრომელმა ქეთევან კაკაბაძემ ერთ-ერთ მოქალაქეს ორი დღის წინ ქორწინების მოწმობა კანონის სრული იგნორირებით გაუფორმა 10 თებერვლის რიცხვით და ამისათვის "საჩუქრად" 70 ლარიც მიიღო, რაც ვიდეოკამერაზეა აღბეჭდილი. ამისათვის, სამინისტროს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ქეთევან კაკაბაძემ თანამდებობა უკვე დატოვა, თუმცა, უგულავას თქმით, "კონკაში" გამეფებულ კორუფციასთან ბრძოლა ამით არ დასრულდება.

"აღნიშნული ქორწინების სახლის დირექტორი ამჟამად შვებულებაში იმყოფება. სამსახურში დაბრუნების შემდეგ კი იგი აუცილებლად დატოვებს თანამდებობას და მის ბედს გაიზიარებს ყველა მისი თანამშრომელი, რადგან გვაქვს ინფორმაცია, რომ თითოეული მათგანი კორუფციაშია გარეული", - ამბობს მინისტრის მოადგილე.

გიგი უგულავას განცხადებით, კაკაბაძის საქმიანობასთან დაკავშირებით შეკრებილი მასალები სამართლებრივი შეფასების მიზნით გადაეცემა გენერალურ პროკურატურას. შეძლებს თუ არა იუსტიციის სამინისტრო ყოფილი თანამშრომლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც ცნობილია, ქართული კანონმდებლობა სასამართლოს შესაბამისი ნებართვის გარეშე ფარულ ჩანაწერს უკანონოდ მიიჩნევს და მას მტკიცებულების ძალა ვერ მიეცემა.

"ჩემი აზრით, ის, რომ სასამართლოს დადგენილების გარეშე ფარული ჩაწერა კანონდარღვევად ითვლება, კანონის ხარვეზია, ამიტომ ეს პრობლემა უნდა მოიხსნას და ჩვენ მიერ მიწოდებული მასალა სამართალდამცველმა ორგანომ მტკიცებულებად უნდა მიიჩნიოს", - ამბობს მინისტრის მოადგილე.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, თანამდებობა დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულების რესპუბლიკური საავადმყოფოს ("რეზბალნიცას") დირექტორმა ნაული ქობულიამ. მინისტრის მოადგილის თქმით, ქობულიას გათავისუფლების მიზეზი გახდა პატიმარი, რომელსაც ხელში ლურსმანი ჩაეჭედა.

"ხელმძღვანელს თუ არ შეუძლია, რომ დაწესებულება ჩაქუჩითა და ლურსმნით უზრუნველყოს, იგი ამ თანამდებობის ღირსი არ არის", – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

შეგახსენებთ, სხვადასხვა მიზეზით ქობულია აღნიშნული თანამდებობიდან რამდენჯერმე უკვე იყო გათავისუფლებული, მაგრამ სასამართლოს ძალით იგი ყოველთვის ახერხებდა ძველ თანამდებობაზე დაბრუნებას.

ევროკავშირი იუსტიციის სამინისტროში რეფორმების დაფინანსებას აგრძელებს

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებს ევროკავშირი აფინანსებს. ამისათვის გასულ წლებში გამოყოფილი იყო 2 მილიონი ლარი, რომელიც, ძირითადად, სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმას მოხმარდა. მიუხედავად ამისა, სისტემაში კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ამიტომ ევროკავშირი კვლავ აგრძელებს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობას და გარკვეული პროექტებისა თუ პროგრამების დაფინანსებას.

გუშინ იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს სწორედ აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ ეწვია ევროკავშირის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის - ევროკავშირის ელჩი საქართველოში ტორბერ ჰოლცე. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებისთვის უცნობია, კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრეს ელჩმა და მინისტრმა; თუმცა შეხვედრის შემდეგ იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობის მომავალ გეგმებზე მასმედიის წარმომადგენლებს ტორბერ ჰოლცე თავად გაესაუბრა. ევროკავშირის ელჩის განცხადებით, საუბარი შეეხო პენიტენციალურ სისტემაში განსახორციელებელ პროექტს, რომელიც პრობაციის საკითხს უკავშირდება. როგორც მოგეხსენებათ, პრობაცია, ანუ არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება (გულისხმობს პოლიციის ზედამხედველობას, პირობით სასჯელს, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას და სხვა) კომუნისტური რეჟიმის დანგრევის შემდეგ საქართველოში აღარ ხდება და მისი აღდგენა დემოკრატიული ქვეყნისთვის აუცილებელია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ კუთხით ევროკავშირი მომავალში 100 ათასი ევროს გამოყოფას გეგმავს, რაც, ძირითადად, შესაბამისი კადრების თეორიულ მომზადებას მოხმარდება. უფრო მეტი თანხით – მილიონი ევროთი კი ის პროექტები დაფინანსდება, რომელიც უშუალოდ პენიტენციალური სისტემის რეფორმას შეეხება; თუმცა, ევროკავშირის ელჩის განცხადებით, აღნიშნული თანხა არ მოხმარდება ციხეთა მშენებლობას, რაც საქართველოსთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს.

ევროკავშირის ელჩი ტორბერ ჰოლცე დარწმუნებულია, რომ მათი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროგრამები ქვეყნისთვის წარმატებული იქნება და იმედს გამოთქვამს, რომ მხარეების ურთიერთთანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

ხელისუფლების ძმედებას ხალხი განაპირობებს

კანონი მომავალში მაინც იკანონებს

გიორგი თამაზაშვილი
მე-5 გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე

როგორც ვნახეთ, 2003წ ნოემბერში მოხდა "ხავერდოვანი რევოლუცია". ხალხის მოთხოვნით გადადგა საქართველოს პრეზიდენტი და შეიცვალა მთავრობა. ამის მიზეზი იყო საქართველოს დღევანდელი სიტუაცია. ხალხი იმყოფება აუტანელ მდგომარეობაში და ამის ატანა შეუძლებელი გახდა.

გაბატონებული კორუფციის გამო ჩავარდნილი იყო ყველა სფერო. მომხდარ რევოლუციას მოჰყვა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ხალხს საკუთარი თავის რწმენა გაუჩნდა, გაუჩნდა მომავლის იმედი. ყველა ფიქრობს, რომ მომავალში კანონი იკანონებს და ყველაფერი დალაგდება. აუცილებლად უნდა აგონ პასუხი ყოფილმა ხელისუფლებმა, ოღონდ კანონის ფარგლებში

თუ ახალი მთავრობა გაიმეორებს ძველის ნაბიჯებს, ალბათ, ხალხი მათ ამას არ აპატიებს და მათაც იგივე ბედი ეწევათ, რაც შევარდნაძის მთავრობას.

ჩემი აზრით, უნდა დაინიშნონ ისეთი მინისტრები, რომლებიც იგრძნობენ პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის წინაშე. ახლანდელმა პრეზიდენტმა არ უნდა გაიმეოროს წინა პრეზიდენტის შეცდომები და ალბათ, იგი მთავრობასთან ერთად დამოკიდებული უნდა იყოს ქართველ ხალხზე.

ხალხმა და ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლონ

გიორგი ცხადაია
მე-3 გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე

ჩემი აზრით, ყოველი სახელმწიფო განვითარებისას გარკვეულ სტადიებს გადის. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ სახელმწიფოში ხდება გარკვეული მოვლენა. დღესდღეობით საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და სახელმწიფოში აქამდე მოქმედებდა უსამართლობის, დაუსჯელობის სინდრომი.

მე ვფიქრობ, 23 ნოემბრის რევოლუცია, სწორედ უსამართლობის დასაძლევად მიმართული მოვლენა იყო. რევოლუცია მოხდა არა მთავრობის, არამედ ჩვენივე თავის წინააღმდეგ.

ადამიანის ცნობიერებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტები, როცა პიროვნება თავად საკუთარი თავის ნახევარს ებრძვის. სწორედ ასეთი ბრძოლა იყო ნოემბრის აქციები, როცა ხალხმა საქართველოს ისტორიაში პირველად, ღიად, ყოველგვარი შიშის დაძლევით გადალახა საკუთარ თავში ბარიერი. სამოქალაქო საზოგადოებამ, როგორც იქნა გამონახა გზა უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც თავად მასში ბუდობდა. ხელისუფლების ქმედებას განაპირობებს ხალხი. სწორედ ეს მომენტი იყო მთავარი, რომელიც წაიმძღვარა ხალხმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ. რის შედეგადაც მივიღეთ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა კანონიერების კულტურის ჩანასახი. ეს არის ძირითადი დადებითი შედეგი იმ მიმდინარე მოვლენებისა. ამ რევოლუციის უარყოფითი შედეგი ჯერ არ ჩანს, მაგრამ გამორიცხული ნამდვილად არ არის, ანუ გარკვეულწილად ჩვენ გვაქვს რაღაცის შიში, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, გვაქვს იმედიც. ხალხში რეალურად გაჩნდა ეს სასიცოცხლო გრძნობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კეთილი მომავლისკენ გვახედებს. ჩვენში ჩასახული იმედის განმახორციელებელი უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლება, ამიტომ რასაკვირველია, საჭიროა ნდობის ფაქტორიც, რომ ხალხი და მთავრობა მოქმედებს როგორც ერთი მთლიანობა.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ხალხის ნდობა არ უნდა დაკარგოს, თორემ ყველაფერი, რაც მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება, იმედიც გაქრება და მომავალიც.

ჩვენი უმთავრესი რეკომენდაცია, რაც შეიძლება მივცეთ მომავალ ხელისუფლებას, იქნება ის, რომ რაც შეიძლება კონტაქტი იქონიონ ხალხთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან. მათ უნდა გაითვალისწინონ ხალხის ნება.

კანონიერების პრინციპის განმახორციელებელ საზოგადოებაში უზენაესი უნდა იყოს კანონი. მომავალმა ხელისუფლებამ კანონი უნდა დააყენოს იმ სიმაღლეზე, რომ მას ვერ მისწვდეს ვერავინ მთელ სახელმწიფოში, თვით პრეზიდენტიც კი.

თუ მოხდა ისე, რომ ხალხს ნდობა გაუქრა, იმედი გაუქრა, ალბათ, იგი მთელი თავისი არსებით იბრძოლებს მის დასაბრუნებლად. ამას კი, უკვე ყველამ იცის, რაც მოჰყვება.

ხალხს გაუჩნდა საკუთარი თავის რწმენა. საჭიროა, რომ ხალხმა და ხელისუფლებამ რაც შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს.

ხატია თუმანიშვილი

ლაშა მარგალიტაძე

ირაკლი ეჭიბაძე

ეკა ანდრონიკაშვილი

გიორგი ცხადაია

გიორგი თამაზაშვილი

წერილები მთავრობას

დამნაშავე კანონმა უნდა დასაჯოს

ეკა ანდრონიკაშვილი
71-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

სახელმწიფო სისტემა ხალხის მიმართ უსამართლო იყო, რის გამოც ხალხმა გადაწყვიტა პრეზიდენტის უკანონო ქმედებებისთვის ბოლო მოეღო და ახალი პრეზიდენტის და მთავრობის საშუალებით კანონი და სამართლიანობა დაემყარებინა. სწორედ ამან გამოიწვია ხალხის აჯანყება და "ვარდების რევოლუცია". ხალხმა პრეზიდენტად ის ადამიანი აირჩია, ვისიც სწამს და სჯერა.

ახალმა პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს, რომ დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნები, უნდა დაამყაროს კანონი, მოსპოს უსამართლობა, ყაჩაღობა. ის აუცილებლად უნდა იყოს ლეგიტიმური. უნდა შეწყდეს მთავრობისგან ხალხზე ზეწოლა. ახალმა მთავრობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს, რომ ხალხს 24 საათი ჰქონდეს ელექტროენერგია, გაზი, წყალი და არსებობისთვის საჭირო მატერიალური მდგომარეობა – პენსიები, ხელფასები.

დამნაშავე, გინდა საზოგადოებაში, გინდა მთავრობაში, უნდა დაისაჯოს კანონის ფარგლებში. როცა ადამიანი პატარა დანაშაულზეც კი, სამაგალითოდ დაისჯება, სხვა ვეღარ გაბედავს, რომ ჩაიდინოს დანაშაული, იმის შიშით, რომ არ დაისაჯოს. დასჯა არ უნდა იყოს პირადი ანგარიშსწორებით.

თუ ახალმა მთავრობამ და პრეზიდენტმა, წინა მთავრობის მსგავსად დაიწყო სახელმწიფოს მართვა, მაშინ ხალხი მათ ისევე აუჯანყდება, როგორც - წინა მთავრობას და არ მისცემს უფლებას, რომ კიდევ უფრო ქვევით დასწიონ ქვეყანა.

"ვარდების რევოლუცია" "ეკლების რევოლუციად" რომ არ გადაიქცეს

ხატია თუმანიშვილი
მე-5 გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - "ხავერდოვანი რევოლუციის" შედეგად დაემხო შევარდნაძის დიქტატურა, რაშიც ქართველმა ხალხმა დიდი როლი შეასრულა. რომ არა ქართველი ხალხის სიყვარული, გამბედაობა და პატრიოტული სულისკვეთება, დღეს საქართველო ბედნიერი და გახარებული არ იქნებოდა. თუმცა, საბოლოო შედეგზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართველ ხალხს რაღაც იმედი ჩაესახა.

თუ დღევანდელი პრეზიდენტი ამ იმედებს არ გაამართლებს, მაშინ "ვარდების რევოლუცია" "ეკლიან რევოლუციად" შეიცვლება. მაგრამ, საბედნიეროდ, გამოჩნდა პირველი ნიშნები კეთილდღეობისა. ნელ-ნელა ხელისუფლებამ დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა, მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება და ქართველ ხალხზე ზრუნვა. მთავრობა და პრეზიდენტი, რაც უფრო ობიექტური და სამართლიანი იქნება, მით უფრო დიდ რწმენას დაიმსახურებს ხალხის მხრიდან.

ყოფილმა ხელისუფლებამ კანონის ფარგლებში პასუხი უნდა აგოს საზოგადოების წინაშე, რამეთუ ყველა მინისტრი და პრეზიდენტიც კი იყვნენ კორუმპირებულები. სწორედ ამიტომაა, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტი განადგურებულია.

იმედი მაქვს, რომ საქართველო კვლავ ფეხზე დადგება, ქუჩაში აღარ იქნება ათასობით გაჭირვებული, მოსამსახურეები მიიღებენ კუთვნილ ხელფასებს, დარიგდება პენსიები და მოხდება კორუფციასთან შეუნელებელი ბრძოლა. ერთ დღესაც საქართველო გაიღვიძებს აყვავებული, გალამაზებული და გაფართოებული. მთავარია, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს საკუთარი თავის რწმენა და საკუთარი თავის წინაშე იყოს მართალი. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ის დეპუტატი იქნება, პრეზიდენტი თუ არა თანამდებობის პირი.

ხელისუფლებამ არ უნდა დაკარგოს ხალხის ნდობა

ლაშა მარგალიტაძე
71-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში მიმდინარე პროცესებმა რადიკალურად შეცვალა თითოეული ადამიანის ცხოვრება. წლების მანძილზე საქართველო ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს განიცდიდა, ქვეყანაში მძვინვარებდა ენერგოკრიზისი, რის გამოც ხალხი შეშფოთებული იყო და ელოდა საბაბს, რათა თავისი აღშფოთება გამოეხატა. საპარლამენტო არჩევნების გაყალბება ზუსტად მოერგო ამ საბაბის ჩარჩოებს. აღშფოთებული ხალხი გამოვიდა თბილისის, და არა მარტო თბილისის ქუჩებში თავისი ხმისა და უფლების დასაცავად. ეს არ იყო ბრბო, ეს იყო შეგნებული ხალხი, რომელიც საწადელის მიღწევის შემდეგაც დიდხანს ზეიმობდა ამ გამარჯვებას, რასაც წლების მანძილზე ელოდა. ხავერდოვანი რევოლუციის დროს ხალხში გაიღვიძა ეროვნული თვითშეგნების გრძნობამ, რომელსაც ხალხი ემოციურად გამოხატავდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხალხში გაჩნდა ნდობის ფაქტორი, რომელიც მას მომავალი ხელისუფლების მიმართ დღეს გააჩნია. ყოველგვარი რეფორმა, რომელსაც გაატარებს ახალი ხელისუფლება, უნდა ეტეოდეს კანონის ფარგლებში. რა თქმა უნდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირად ანგარიშსწორებას. რა თქმა უნდა, ყოფილმა ხელისუფლებამ ჩადენილ დანაშაულზე პასუხი აუცილებლად უნდა აგოს, მაგრამ კანონის ფარგლებში.

ჩემი აზრით, ყველა სამთავრობო პირს და ხელისუფალს უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, მან ყოველგვარ დანაშაულზე სათანადო პასუხი უნდა აგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხალხის თვალში დაკარგავს იმ გრძნობებს, რომლებიც მათ მიმართ დღეს გააჩნიათ. ჩემი თხოვნაც იქნება და მოთხოვნაც დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, რომ ყოველგვარი ქმედება, რომელიც განხორციელებული იქნება ხელისუფლების მიერ, იყოს ობიექტური, ეტეოდეს კანონის ფარგლებში და იზიარებდეს ხალხის აზრს და შეხედულებას.

აგრეთვე, საგულისხმოა თითოეულ ადამიანში საკუთარი თავის რწმენის ფაქტი. თითოეული ადამიანის ვალია, საკუთარ თავში რწმენის შემდეგ გააკეთოს არჩევანი.

მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში პირველი კანონმორჩილი უნდა იყოს

ირაკლი ეჭიბაძე
71-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

მოხდა ის, რომ ხალხს ყელში ამოუვიდა ამდენი უკანონობა და ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა ცხოვრებაში კორექტივების შეტანა. ამდენი წლის შემდეგ ხალხს გაუჩნდა წინსვლის იმედი. ყველა გაერთიანდა და მომავლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ერმა იხილა მისი რეალური ძალა და ამდენ უკანონობას წინ აღუდგა. ახლა მათ მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა იმედი არ უნდა გაუცრუოს და ყველა დანაპირები შეუსრულოს. პარლამენტმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, კანონი არ დაარღვიოს და ერს დაანახონ კანონის უზენაესობა. ამისთვის კი ჯერ საჭიროა დაისაჯონ თვით იგივე პარლამენტარები, რომლებმაც პრეზიდენტ შევარდნაძის დროს ყველაფერი მიითვისეს და არაერთი სასტიკი დანაშაული ჩაიდინეს. ამით ხალხი დაინახავს იმას, რომ მათ ტყუილად არ უბრძოლიათ. კანონი თანაბრად უნდა მოქმედებდეს უბრალო მოქალაქეზე, თანამდებობის პირზე და თვით ბატონ მიხეილ სააკაშვილზეც. მათი დასჯა არ უნდა იყოს პირადი ანგარიშსწორება. თუ იგივე განმეორდება, ხალხი დაკარგავს ყველაფრის იმედს და შემდეგ ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ისინი აღარავის ენდობიან და ყველაფერზე აიცრუებენ გულს. ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვთხოვ, რომ ასეთ რამეს ნუ ჩაიდენს და კანონს პირველ რიგში თავად სცეს პატივი.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 26 იანვარს

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ხელისუფლებამ კანონის დიქტატურას უნდა მიჰყოს ხელი

და არასდროს ჩამოყალიბდება დიქტატორად

*როგორც თავად **ბექა თავართქილაძე** ამბობს, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული 100 000 ქართველიდან 10 000 მაინც რომ ჩამოვიდეს, ჩვენი ქვეყნისთვის დიდი საქმეაო. ბექა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, 3 იანვარს ღამით ჩამოვიდა საქართველოში. პირველად აშშ-ში Rotari internetional-ის გაცვლითი სასწავლო პროგრამით 12 წლის ასაკში მოხვდა. მისი ბიოგრაფია იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ამ ასაკში საქართველოს კალათბურთის ნაკრებთან ერთად საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ჩემპიონი გახდა.*
2001 წელს ნიუ-იორკის Pace Universiti დაამთავრა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. ახლა ის ამერიკის გარეთ გაცემული აკადემიური ხარისხების ევალვაციის და კონვერტაციის ყველაზე დიდ არასამთავრობო ორგანიზცია world education servicis-ში მუშაობს და ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოს აკადემიურ სასწავლებლებს სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემებს აცნობს.

მაია ჭალაბანიძე

- ჩემს უნივერსიტეტში გაერო-ს ძალიან საინტერესო პროგრამა - Model United Netions მუშაობს, რომელიც აკადემიურ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ძალზე პოპულარულია. ეს სტუდენტური ორგანიზაცია მთელი ამერიკის მასშტაბით ატარებს კონფერენციებს და სხვადასხვა სასწავლებლები ერთ რომელიმე ქვეყანას წარმოადგენენ. შექმნილია მინი გაერო-ს მოდელი - სტუდენტი მუშაობს კომისიებში, წერს რეზოლუციებს, მონაწილეობს დებატებში. ამ პროგრამაში 1998-1999 წლებში ჩავერთე. მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობა იმხანად ჩვენი ქვეყნის სატკივარიც იყო.

- რომელი ქვეყნების დელეგატი ყოფილხარ?

- წარმატებით ვიყავი ბრაზილიის, კოლუმბიის, გერმანიის დელეგატი. ერთხელ საქართველოსაც წარმოვადგენდი.

- რა წარადგინე საქართველოდან, რა მოთხოვნა იყო?

- პირველ რიგში - ადამიანის უფლებების დაცვა, იუნესკოს განათლების პროგრამა. ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ძალზე მაღალია განათლების, წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი. ამის გამო, რეზოლუციების წერისას სხვა ქვეყნებს ვაძლევდი მოდელს. სხვათა შორის, გაერო-ს რეზოლუციებითა და დოკუმენტებით, განათლების მხრივ, საქართველო ყველასთვის მისაბაძია.

- გაერო-ში წარდგენილი ეს დოკუმენტები საქართველოს რეალურ სურათს ასახავს?

- ვიცი, როგორი იყო განათლების სისტემა თუნდაც სსრკ-ს პერიოდში. უმალესში ჩასაბარებლად საჭირო იყო ქრთამი, დაწესებული იყო არაოფიციალური ფასები... რა თქმა უნდა, ეს გაერო-ში არ იციან, დოკუმენტებში და რეზოლუციებში ეს არ ჩანს.

- სამართლიანად გეჩვენებათ ასეთი სერიოზული ორგანიზაციის მუშაობა არარეალური სურათის ამსახველი დოკუმენტებით?

- პოლიტიკაში ყველაფერი არ ჩანს, უარყოფითი მხარის დაფარვა შეიძლება. საქართველოში ძალიან ბევრი რამ ვიცით, მაგრამ ეს საჯაროდ არ გამოგვაქვს. რა თქმა უნდა, ვამაყობდი იმით, რომ საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე 99 პროცენტი იყო და ეს უფლებას მაძლევდა, ვყოფილიყავი ლიდერი, მენდობოდნენ, რომ სხვა ქვეყნებისთვის მოდელი მიმეცა.

- რამდენად აუცილებლი და საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე რეალური სურათის წარდგენა, ეს პოლიტიკაში მიღებულია?

- საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია ამბობს, რომ რადიკალურად შეიცვლება მმართველობა და კორუფციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გამოცხადდებაო... აუცილებელია, რომ საქართველომ საკუთარი ნაკლი გამოააშკარაოს. ამაში კი საერთაშორისო საზოგადოებაზე უფრო მეტად ქართველები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ამ ხარვეზების შესახებ უნდა ილაპარაკოს მთავრობამ, პარლამენტმა, ოფიციოზმა. კანონით უნდა მოეთხოვოს პასუხი მას, ვინც მოსწავლე და ნასწავლ ადამიანს ქრთამის გადაუხდელობის გამო დაჩაგრავს.

უნივერსიტეტი საქართველოში არ დამიმთავრებია, მაგრამ ვიცი, რაც ხდება. უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში იმის შესაძლებლობა იყო, რომ ადამიანს მაღალი დონის საერთო განათლება მიეღო. ალბათ, კონკურენციისა და კაპიტალიზმის ბრალიც არის, რომ ამერიკაში მათემატიკოსს შექსპირის შემოქმედების გასაცნობი დრო არ აქვს. თავისუფალ დროს ის ისევ მათემატიკურ ლიტერატურას კითხულობს იმისთვის, რომ უფრო კონკურენტუნარიანი იყოს. ისე გამოვიდა, რომ ქართველებმა ყველაფერი ვიცით საკუთარი საქმის გარდა, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნელ-ნელა პროფესიონალიზმი ფასდება.

- ამერიკულ უნივერსიტეტებში პოლიტოლოგიის სწავლისას რა არის პრიორიტეტი?

- ვსწავლობთ პოლიტიკურ მეცნიერებებს, სხვადასხვა ქვეყნების მოწყობის სისტემებს და იმ ფუძეს, რაზეც ამერიკაა აშენებული - კონსტიტუციას. ძველი ფილოსოფოსების მოძღვრებაზე ამერიკის დემოკრატიაა აგებულია. მათ ერთი კარგი ცნება აქვთ - ქვეყანა თავის მთავრობასთან კონტრაქტს დებს. საქართველოში ჯერ ასეთი სოციალური კონტრაქტი არ არსებობს, მაგრამ დღეს ამ კონტრაქტის გარეშეც არსებობს ნდობა მთავრობისადმი, რაც ამგვარი კონტრაქტის წინაპირობაც შეიძლება იყოს.

ქართულ სინამდვილეში, დღევანდელი და ძველი ადმინისტრაციის მომხრეები - გაერთიანებული არიან და პროცესს უჭერენ მხარს...

- არის თუ არა მნიშვნელოვანი, ახალმა ხელისუფლებამ გაარჩიოს, ვინ არის მართლაც მხარდამჭერი და ვინ - მასთან მიტმასნილი?

- უკანასკნელი საუკუნე პოლიტოლოგიის ერთი ცნობილი თეზით იყო დატვირთული -"ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია"... - ერთი მხრივ, ეს შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ სიმართლე და გულწრფელობა იკარგება.

- ახლა ბევრს საუბრობენ ხელისუფლების გადანაწილების მოდელზე. თქვენ, როგორც პოლიტოლოგი, ფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისთვის პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი ხელსაყრელი იქნება?

- დღეს საქართველოში პრეზიდენტს უდიდესი ნდობა აქვს და მოსახლეობას სჯერა, რომ ის ყველაფერს უკეთესობისკენ შეცვლის, მაგრამ პრეზიდენტმა ხელისუფლების სხვადახვა შტოებზე ძალაუფლების დელეგირება უნდა მოახდინოს. დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი საუბრობს, რომ ერთდროულად ძლიერი პრეზიდენტისა და ძლიერი პრემიერის ყოლა არ შეიძლება, მაგრამ ჩემი აზრით, ასე არ არის. პრემიერ-მინისტრის პრეროგატივა სხვადასხვა დარგის მინისტრების გაკონტროლება იქნება. პრეზიდენტმა კი პრემიერს და მთავრობას გარკვეულ დონეზე უნდა გაუკონტროლოს მოღვაწეობა. თუ პრეზიდენტი უარს იტყვის კორუფციაზე, საკუთარ ინტერესებზე და საზოგადოებრივ ინტერესებს მიანიჭებს უპირატესობას, ასეთ შემთხვევაში, პრემიერს დიდი ძალაუფლება არ ექნება. თუკი ისინი ერთი და იგივე პრინციპით იმუშავებენ, ერთმანეთს დააბალანსებენ.

არის კიდევ ერთი მომენტიც - თუ პრეზიდენტს განუსაზღრელი ძალაუფლებით აღვჭურვავთ (რაც წინა პრეზიდენტის შემთხვევაში გვქონდა), ის შეიძლება ტირანად ჩამოყალიბდეს და ისტორიაში ამის ბევრი მაგალითები არსებობს. ადამიანური ფსიქიკა, ამბიციები, ამპარტავნობა - ამას ხელს უწყობს.

სხვათა შორის, პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან განსხვავებით (ბალტიის ქვეყნებს თუ არ ჩავთვლით), საქართველოში პარლამენტარიზმის ინსტიტუტი ძველი ადმინისტრაციის პირობებშიც კი ჩამოყალიბდა. თუ ისევე დამოუკიდებელი იქნება პრემიერი, როგორიც პარლამენტი იყო, მაშინ ისინი ერთმანეთს დააბალანსებენ და პრეზიდენტი არავითარ შემთხვევაში არ ჩამოყალიბდება დიქტატორად. პრეზიდენტს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისთვის ძალაუფლების დელეგირების უფლება ექნება.

რაც უნდა ძალიან ლამაზი და კარგი კანონები დავწეროთ, მას აღსრულება უნდა. პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი იქნება ის სტრუქტურა, რომელიც ამ კანონებს აღასრულებს. თან - რომელიმე მოდელის პირდაპირი გადმოტანა არ შეიძლება. დემოკრატია ყველა ქვეყანას არ უდგება, მაგალითად - ევროპას სოციალ-დემოკრატიული წყობილება უხდება, ამერიკას მთლიანი თავისუფლება აქვს... საქართველოში სახელმწიფოებრივი შეგნება ახლა ყალიბდება. საქართველოში ერთი ცუდი ფაქტორი თამაშობდა როლს და ახლაც ასეა - მეუფრო სხვა განწყობით ჩამოვედი და აქ სხვაგვარ რეალობას შევეჯახე - დიახ, დღეს საზოგადოება იმედის ქოლგის ქვეშ არის გაერთიანებული, მაგრამ, ადამიანები საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებას ისევ ფიქრობენ. ქვეყნის კეთილდღეობა ჯერ კიდევ ბევრისთვის ოჯახის კეთილდღეობას ნიშნავს...

- გინდათ თქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიომ შეგვაქო და გვეუბნებიან, რომ ქართული საზოგადოება შედგა - სახელმწიფოებრივი აზროვნება არ ჩანს?

- ფსიქოლოგიურად ადამიანებში საქართველოს კარგად ყოფნა პირად კეთილდღეობას ნიშნავს. როცა ამაზე ჩემს ახლობლებს ვესაუბრები, რაღაცნაირად გრიყავენ და გწამებენ, რომ არ ხარ ქართველი და ტრადიციების მოყვარული და მართლმადიდებელი... არ ესმით, როგორ არ უნდა დაეხმარო ბიძაშვილს...

- თუ გაქვთ რაიმე საზომი, ინდიკატორი, რითიც განსაზღვრავთ, რას აპირებს ეს ხელისუფლება - რადიკალურ ცვლილებებს თუ კოსმეტიკურს?

- დღევანდელმა ადმინისტრაციამ ხელმძღვანელი კადრები ერთგულების და ნათესაობის, პოლიტიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილების პრინციპით კი არა, პროფესიონალიზმის ნიშნით უნდა დანიშნოს - ეს არის ყველაზე კარგი ინდიკატორი.

ჩემი აზრით, ერთადერთი სფერო, სადაც პროფესიონალიზმი მეტ-ნაკლებად ფასდება - მასმედიაა და დანარჩენი სამი ხელისუფლებისგან განსხვავებით მეოთხე ხელისუფლებამ პოფესიონალიზმის გარკვეულ დონეს მიაღწია. თუ მასმედია პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად ისეთი კრიტიკული და საღი იქნება, როგორიც დღეს არის, სახელმწიფო ჩამოყალიბდება და ადმინისტრაცია მათ აზრს ანგარიშს გაუწევს.

- როგორი უნდა იყოს დემოკრატიული ბიუროკრატია? რისი სწავლა მოუწევთ ახალ ჩინოვნიკებს?

- ბიუროკრატიის არსებობა გარდაუვალია, მაგრამ ქართველ ჩინოვნიკებს და ოფიციოზს კანონის მიმართ მორჩილება და შიში უნდა ჰქონდეთ. დღეს საქართველოში კანონის დიქტატურის ეშინიათ და ფიქრობენ, რომ 37 წლის რეპრესიებს დაემსგავსება. თუ ეს ხელისუფლება კანონის დიქტატურას მიჰყოფს ხელს, თავად არასდროს ჩამოყალიბდება დიქტატორად - ამას საზოგადოებაც აღიარებს. თუ ხელისუფლება პასუხს მოსთხოვს კორუმპირებულ ოფიციალურ პირებს, საზოგადოება ამას დაინახავს და კანონის მიმართ შიშიც გაჩნდება. ბიუროკრატია მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გარდაიქმნება.

აქ ყოფნისას ასეთი შეგრძნება დამეუფლა - 40-50 წელს გადაცილებულ ადამიანებში დიდი სკეპტიციზმი და პესიმიზმია. 30-ს გადაცილებულები გახლეჩილნი არიან, ჩემი თაობის ადამიანები, რომლებიც არც საბჭოთა და არც შევარდნაძის ეპოქებში არ იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები, დღეს დიდი იმედით და სხვაგვარად უყურებენ მოვლენებს. 10 და 15 წელიწადში მათ აღარ ეცოდინებათ ბიუროკრატია, კანონებით დაიწყებენ ცხოვრებას და საქმის კეთებას - შეასრულებენ დავალებას, აღარ გამართავენ თათბირებს, აღარ დაწერენ მოხსენებით ბარათებს და აღარ დაელოდებიან ზემდგომთა პასუხს ამ მოხსენებით ბარათებზე...

- ცოტა რევოლუციაზეც ვისაუბროთ...

- იმ დღეებში მართლა ვამაყობდით. პოსტსაბჭოური ქვეყნის წარმომადგენლებს შურდათ ჩვენი, ამას თავად გვეუბნებოდნენ. ქართველები ამბიციური ხალხი ვართ და იმ დღეებში ცოტა ამპარტავნებიც კი გავხდით. დავინახეთ, რომ ქართველი მართლა არ არის ის, ვინც თავზე ლაფის დასხმას გადაყლაპავს და რაღაცნაირად ისიც დავიჯერეთ, რომ წარსულში, 500 კაციან რაზმს მართლა შეეძლო მტრის 3000-იანი ლაშქრის გამკლავება. ალბათ, იმ ადმინისტრაციამ, რომელმაც წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, დაინახა, რომ ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დაიხევდა უკან.

- ამ ეტაპისთვის რასაც ელოდით, მიიღეთ?

- ჩემი მოლოდინის 50 პროცენტი ასრულდა. 50 პროცენტი კი არის ის რეალობა, რაც სამთავრობო სისტემაში, წვრილ ბიზნესში ხდება. ჯერჯერობით, კორუფცია ისევ ზეობს. სანამ ჩვენი პრეზიდენტი და მთავრობა ლეგიტიმური არ იქნება, რადიკალურ ცვლილებებს პუტჩის სუნი აუვა და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ეს რევოლუცია ხავერდოვანი აღარ იქნება. როცა პრეზიდენტი ლეგიტიმური გახდება, მჯერა, რომ რადიკალურად შეცვლის მმართველობას. ეს დიდწილად მისი ამერიკული განათლების დამსახურება იქნება. ამერიკის სკოლებში, კოლეჯებში და უნივერსიტეტებში, პირველ რიგში, იმაზე მუშაობენ, რომ მოსწავლემ და სტუდენტმა კრიტიკული აზროვნება ისწავლოს. უნდა დასვას კითხვა - რატომ? თემის წერისას მასწავლებელი თავისი კომენტარებით იქითკენ გიბიძგებს, რომ თემა განავრცო და საკუთარი აზრი ჩამოაყალიბო.

- საზღვარგარეთ წასულთა დიდ ნაწილს რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების და შეძენილი ცოდნის აქ გამოყენების სურვილი აქვს. ეს განწყობა იქაურ ქართველებში შეინიშნება?

- დაბრუნება ყველას უნდა და ყველას აინტერესებს, აქ რა ხდება. მეკითხებიან, რა ვქნათ, ჩამოვიდეთო? საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, დღეს ყველა სისტემაში - წვრილი ბიზნესი იქნება ეს, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორი - ჩვენს ქვეყანაში ამ ადამიანების მოთხოვნილება ნამდვილად დგას. 100 000 კაციდან 10 000 ადამიანი რომ დაბრუნდეს, უკვე დიდი საქმეა.

- 3 იანვარს სპეციალურად ჩამოხვედით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. იქაც ხომ შეგეძლოთ ხმის მიცემა? რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა აქ ჩამოსვლას?

- დიახ, იქაც შემეძლო ხმის მიცემა, მაგრამ ძალიან მტკიოდა გული, რომ პროცესებში მონაწილეობა ვერ მივიღე. მოვლენებს თვალს ვადევნებდით, მაგრამ ქუჩაში გამოსული ხალხის გულწრფელი აღტკინების გაზიარება მხოლოდ საქართველოში ყოფნით შეიძლებოდა. აქ ჩამოსვლით, ერთგვარი კომპენსაციაც მივიღე. მე რომ იმ პერიოდში აქ ვყოფილიყავი და მერე წავსულიყავი ამერიკაში, რეალობას ვერ დავინახავდი, ძალიან გაიდეალებული აზრები მექნებოდა და ჩემი განწყობა სადღეგრძელოს დაემსგავსებოდა.

თუ მასმედია პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად ისეთი კრიტიკული და საღი იქნება, როგორიც დღეს არის, სახელმწიფო ჩამოყალიბდება და ადმინისტრაცია მათ აზრს ანგარიშს გაუწევს.

თუ პრეზიდენტი უარს იტყვის კორუფციაზე, საკუთარ ინტერესებზე და საზოგადოებრივ ინტერესებს მიანიჭებს უპირატესობას, ასეთ შემთხვევაში, პრემიერს დიდი ძალაუფლება არ ექნება.

40-50 წელს გადაცილებულ ადამიანებში დიდი სკეპტიციზმი და პესიმიზმია. 30-ს გადაცილებულები გახლეჩილნი არიან, 20-25 წლის ადამიანები კი იმედით უყურებენ მომავალს.

სანამ პრეზიდენტი და მთავრობა ლეგიტიმური არ იქნება, რადიკალურ ცვლილებებს პუტჩის სუნი აუვა და საერთაშორისო საზოგადოების თვალში ეს რევოლუცია ხავერდოვანი აღარ იქნება.

ბექა თავართქილაძე

თეიმურაზ სახიტაშვილის ფოტო

თეატრი

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
გაბრიელ გარსია მარკესი "სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

ცირკი

საახალწლო საცირკო პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

კლუბები

“აჭარა მიუზიკ ჰოლი”
Julien De Nantes
(Prozak Trax / Plaisir De France)
კლუბის გახსნა 22:00 სთ.
ბილეთის ფასი: 25 ლარი

კინო

რუსთაველი
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

ამირანი
“ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ”
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

“რეალური სიყვარული”
დას: 15:00; 17:00 სთ.

გამოფენა

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
III სართული

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

ჰობი
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

დიდების გარიჟრაჟზე

ქეთი მელუა ბრიტანელი პროდიუსერების უკანასკნელი აღმოჩენა

ვერა ნეფარიძე

“ქეთის სახით, ჩვენ წინაშეა დიდების საწყის ეტაპზე მყოფი შემსრულებელი. პროდიუსერებმა ძალა და ღონე არ უნდა დაიშურონ ქეთის კარიერისთვის”, - ბრიტანელი კრიტიკოსების მოსაზრებებს იზიარებს ხმის ჩამწერი კომპანია Dramatico-ც, რომლის ხელმძღვანელობა აღფრთოვანებულია საკუთარი აღმოჩენით. ქეთი მელუა სწორედ ამ კომპანიის ახალი სახეა.

კონცერტის ოფიციალური პლაკატი

ქეთი მელუა კონცერტზე

ბრიტანეთის მუსიკალურ სარბიელზე გამოჩენა იოლი არ არის. მით უმეტეს, იშვიათია სადებიუტო ალბომი ორ თვეში 300-ათასიანი ტირაჟით გაყიდო, რითაც ჩანაწერი პლატინის სტატუსს მოიპოვებს. მაგრამ, რასაკვირველია, არსებობს გამონაკლისები. შოუბიზნესში ეს, ძირითადად, ფულის ხარჯზე (რეკლამაში ჩადებული თანხა) მიიღწევა. თუ არა და, ერთადერთი გზაა: ნიჭი და გონიერი მენეჯმენტი. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია ქართველი მომღერალი, ამჟამად ლონდონში მცხოვრები ქეთი მელუა. 19 წლის პერსპექტიული მომღერალი ბრიტანეთის მუსიკალურ სამყაროში ნოემბერში გამოჩნდა. გუშინ კი BBC-ს პოპულარულ ტელეშოუში Never Mind The Buzzcocks-ში მომღერალი 70-იანი წლების როკის ლეგენდასთან, “საშინელებათა მოყვარულ” მუსიკოსთან, ელის კუპერთან ერთად მონაწილეობდა.

ქეთი მელუა ინგლისის მელომანების გარკვეული წრისთვის უკვე საკმაოდ ცნობილი სახეა. 2003 წლის ნოემბერში გამოშვებული მისი, ჯერჯერობით ერთადერთი, ალბომი Call Off The Serach (ალბომში შესული რამდენიმე სიმღერის ავტორი თავად შემსრულებელია), საკმარისი აღმოჩნდა, დებიუტანტი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო. ორ თვეში კომპაქტ-დისკები 300 ათასზე მეტი ტირაჟით გაიყიდა; დეკემბერში კი გამოვიდა სინგლი The Closest Thing To Crazy, რომელიც სამი კვირით დარჩა ბრიტანული სიმღერების ოფიციალური ჩარტის ოცეულში. 19 ნოემბერს "შეპერდს ბუშ იმპაირში გაიმართა სადებიუტო კონცერტი, სადაც ახალგაზრდა მომღერალს ზურგს უმაგრებდა ბრიტანეთში საკმაოდ ცნობილი მუსიკოსების ჯგუფი: ქეთის პროდიუსერი მაიკ ბეტი (ფორტეპიანო), ტიმ ჰარისი (კონტრაბასი, მუშაობს Steeleye Span-თან), ჰენრი სპინეტი (დასარტყამი ინსტრუმენტი და პერქაშენი, მუშაობს ერიკ კლაპტონთან), ჯიმ კერგანი (გიტარა, მუშაობს როდ სტიუარტთან), თავად ქეთი კი, სიმღერის პარალელურად, გიტარაზეც უკრავს.

ქეთი მელუა 19 წლისაა. ამჟამად, ხუთი ალბომის გამოშვების პირობით, კონტრაქტი გაფორმებული აქვს Dramatico-სთან. ახლგაზრდა ლონდონელ მომღერალს, რომლის შესრულების მანერა ჯაზისკენ იხრება, ბილი ჰოლიდეისა და ევა კესიდის ადარებენ. “ქეთი ფანტასტიკური აღმოჩენაა ჩემთვის. თავიდან მას იმ განზრახვით მოვუსმინე, რომ მინდოდა მეპოვა ადამიანი, რომელიც ჯაზსა და ბლუზს საინტერესოდ შეასრულებდა. მაგრამ, არ ველოდი ასეთ უნიკალურ შემთხვევას. აშკარად ვხედავ ქეთის დიდების გზაზე. ის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური მომღერალია მათ შორის, ვისთანაც კი მიმუშავია ამ სფეროში ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი საქმიანობის განმავლობაში. მისი ხმა მაგონებს ისეთ მომღერლებს, რომლის შესახებ თავად ქეთის არაფერი სმენია. ქეთი თავდაჯერებულია და, ასაკთან შედარებით - საკმაოდ ბრძენიც. ამასთან ერთად, ქარიზმატული შემსრულებელია და ძალიან ლამაზი, ჰიპნოტური თვალები აქვს”, - ასე ფიქრობს ქეთის პროდიუსერი, ხმის ჩამწერი კომპანია Dramatico-ს დამაარსებელი და საკმაოდ გამოცდილი პროდიუსერი მაიკ ბეტი.

თავად ქეთი ბევრს არ საუბრობს საკუთარ თავზე. ისიც გენიალური მუსიკოსების - ჯონ ლენონის, ბობ დილანის, დევიდ ბოუის, ფრედი მერკურის ისეთივე თაყვანისმცემელია, როგორც როკ-ენროლის ნებისმიერი დახვეწილი, გემოვნებიანი მოყვარული. ქეთი აფასებს ტომ პეტის ლირიკას. განსაკუთრებით უყვარს ევა კესიდი და აღიარებს, რომ მასზე საკმაოდ ძლიერი ზეგავლენა ამ მუსიკოსმაც მოახდინა.

შორეულ ბრიტანეთში ქეთის ხაჭაპურის, ხინკლისა და ქართული ღვინის სიყვარული გაჰყვა საქართველოდან. ქეთი მელუა საქართველოში ოთხ წლამდე ცხოვრობდა. თბილისის შემდეგ ოჯახი მოსკოვში გადავიდა, შემდეგ - ბათუმში, მოგვიანებით კი, როდესაც მამას ბელფასტში სამსახური გამოუჩნდა, ქეთი ოჯახის წევრებთან ერთად ჩრდილოეთ ირლანდიაში გაემგზავრა. საცხოვრებელი ადგილის ცვლის შესაბამისად, ქეთი იცვლიდა სკოლებსაც. ცოტა ხნით კათოლიკურ სკოლაში იყო, ბოლოს კი ერთ-ერთი ბრიტანული საშემსრულებლო სკოლა დაამთავრა, სადაც მისი მუსიკალური განათლება A დონით განსაზღვრეს.

ქეთის მუსიკალური შესაძლებლობები პირველად ოთხი წლის წინათ შეაფასეს. “15 წლისამ მონაწილეობა მივიღე ნიჭიერთა სატელევიზიო შეჯიბრში Stars Up Their Nose და შევასრულე მერაია ქერის Without You. გავიმარჯვე და თან პირდაპირ ეთერში ცოცხლად შესრულების დიდი გამოცდილება შევიძინე. სიმღერების წერა ორი წლის წინათ დავიწყე და, მშობლების დახმარებით, სახლში პატარა სტუდიაც მოვიწყვე. ჩემი ღრმა რწმენით, ყველა დიდი შემსრულებელი ორიგინალურია და ნიჭიერი. ჩემზე ზეგავლენა აქვთ ისეთ მუსიკოსებსა და ჯგუფებს, როგორებიცაა: “ქუინი”, ბობ დილანი, ჯონი მიტჩელი, ასევე - ირლანდიურ ფოლკლორსა და ინდურ მუსიკას”, - ამბობს თავად ქეთი მელუა. მართალია, თანამედროვე ბრიტანელ შემსრულებელზე - ნორა ჯონსზე თავად ქეთი არაფერს ამბობს, მაგრამ მისი რამდენიმე სიმღერის მოსმენაც საკმარისია, რომ მათ შორის გარკვეული მსგავსება შენიშნოთ. ქეთის სიმღერების ნაწყვეტები მისსავე ვებ-საიტზეა (www.katiemelua.com) ჩაწერილი.

CD მიმოხილვა

"ოაზისი"

Heathen Chemistry

ყველა მიეჩვია, რომ "ოაზისის" ყოველი ალბომის გამოსვლა დიდ აყალმაყალთანაა დაკავშირებული და ის ჯგუფის მრავალმილიონიანი ფანებისთვის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. Heathen Chemistry “ოაზისის” რიგით მეხუთე სტუდიური ალბომია. ამას წინათ ნოელ გალაჰერმა აღიარა: “დისკზე მუშაობისას გავიხსენეთ, თუ რატომ გადავწყვიტეთ ვყოფილიყავით კონკრეტულად როკ-ჯგუფი”. “ოაზისი” ამ ალბომით დაუბრუნდა კეთილ როკს, რომელიც მათ პირველ ორ დისკში - Definitely Maybe-სა და (What's The Story) Morning Glory-ში, ჟღერდა და რომელთა დამსახურებითაც “ოაზისი” ნომერი პირველი მუსიკალურ ჯგუფი გახდა.

საინტერესოა, რომ ყოველი ახალი ალბომის გამოსვლამდე ლიამი წინა ნამუშევრებს მიწასთან ასწორებს ხოლმე. რას იტყვის იგი წლების შემდეგ ამ ალბომზე, არავინ იცის. ახლახან კი ლიამმა აღიარა, რომ ამჯერად მან თავისი კერპს, ჯონ ლენონს მიბაძა, რაშიც Stop Crying Your Heart Out-ის მოსმენისთანავე დარწმუნდებით.

კრიტიკოსები ამ ალბომს არავითარ შემთხვევაში არ დაარქმევენ ჯგუფის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარს; ზემოთ ნახსენები სიმღერა ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ “ოაზისი” ინარჩუნებს სტაბილური ჯგუფის იმიჯს, რომელსაც ძალუძს, შექმნას ხარისხიანი მასალა კარიერის დაწყებიდან ათი წლის შემდეგაც კი. შეიძლება ვერ აიტანო ლიამის გამოხტომები ან ნოელის მაღალზნეობრივი საქციელი, მაგრამ ძნელია, არ დაინახო, რომ ძმები შესანიშნავად აკეთებენ საქმეს, რისთვისაც ისინი შეიყვარეს.

კულტურის ატაშე მოსკოვიდან - ია ნინიძე

A1 გვერდიდან

ახლა იგი უკვე მეტად საპასუხისმგებლო სამსახურსა და საქმიანობას დაუბრუნდა. თუმცა, თუკი ამ დრომდე, შვიდი წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზების გამო სამშობლოსადმი ნოსტალგიის წყურვილს იშვიათად იკლავდა, ამიერიდან სამსახურეობრივი მოვალეობა ამ პრობლემის გადასაჭრელად კარგი საბაბი იქნება.

“ამიერიდან, ჩემს სამშობლოსთან და ჩემს ხალხთან უფრო ხშირი კონტაქტი მომიწევს, რადგანაც მოსკოვის მერიაში კულტურის ატაშედ დავინიშნე. უკვე საკმაოდ საინტერესო გეგმები დავსახე, სხვა თუ არაფერი - ეს ჩემი ვალია. ჩემი პირველი პარტნიორი სოფიკო ჭიაურელი იქნება. მას ორი დღის წინათ ვესაუბრე, იგი სიამოვნებით დამთანხმდა და გარკვეული ერთობლივი გეგმებიც დავსახეთ”. დღეს ქალბატონი ია საქართველოში სტაბიულურობას მოუთმენლად ელის და სჯერა, რომ ბოლო დროს გავრცელებული მოვლენებიდან გამომდინარე, ლოდინი დიდ ხანს არ მოუწევს. “მინდა, რომ ჩამოვიდე სხვადასხვა პროექტებით, კინოში იქნება ეს, შოუბიზნესსა, თუ კულტურის სხვა სფეროში, კონკრეტული პროექტი უკვე მაქვს, თუმცა, წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი. მთავარია, რომ აქ ყველაფერი დაწყნარდეს. მე მჯერა, რომ ყველაფერი სწორედ იქითკენ მიდის. ჩვენ, მოსკოვში მაცხოვრებელი ქართველი მოსახლეობა ძალიან განვიცდით და ვღელავთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო”, - ამბობს მსახიობი. ერთი რამ თავისთავად ნათელია, მოსკოვის მერიაში კულტურის ატაშეს უმთავრესი გეგმები, რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის აღდგენას, განახლებას, ან თუ გნებავთ გახსენებას გულისხმობს. “ეს საკმაოდ საინტერესო პროექტებია, იმიტომ, რომ ჩვენ ყველას ძალიან, ძალიან გვენატრება ერთმანეთი, მაგრამ აქედანაც ვინმემ ხელი ხომ უნდა გამოგვიწოდოს”.

ია ნინიძის სახელმწიფო მოხელეობა, ალბათ, ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც აქამდე თბილისსა თუ მოკოვში, აქაურ და იქაურ კინოში, თეატრსა, თუ ესტრადაზე მოღვაწეობა. მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა, მოსკოვიდან რეჟისორ გრიშა გურვიჩის მინვევა მიიღო, ია ნინიძე ბევრ საინტერესო როლებზე დაამტკიცეს. იყო საკმაოდ ცუდი დღეებიც, მაგრამ დღეს მსახიობი ძველებურად კარგ ფორმაშია და მან რამდენიმე სპექტაკლისა და ოთხი ტელესერიალის მთავარი როლი განასახიერა.

როგორც გითხარით, მსახიობი რუსეთის ესტრადაზე ასევე დიდი წარმატებით სარგებლობს. “ახლახანს ჩავწერე ახალი სიმღერა იგორ ნიკოლაევთან ერთად. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ იგორ კრუტოის ერთი პოპულარული სიმღერა შევასრულე, რამაც თავად კრუტოის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა. მე და ჩემი პარტნიორი ოქსანა პუშკინა ხშირად, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სხვადასხვა ელიტარულ კლუბებში, ასევე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებსა თუ პერიფერიებში ვაწყობთ შემოქმედებით საღამოებს. ყველგან ძალიან დიდი სიყვარულითა და სიხარულით გვხვდებიან”, - ია ნინიძეს ესტრადაზე პარტნიორობას უწევენ ისეთი ცნობილი რუსი მომღერლები, როგორებიც არიან იგორ კრუტოი, ირინა პანაროვსკაია, ნადეჟდა ბაბკინა და მრავალი სხვა.

ამ დღეებში ია ნინიძე კვლავ რუსეთში დაბრუნდება. ჩამოსვლამდე იგი კეთილი სურვილებითა და მომავლის იმედით დაგვემშვიდობა. “მინდა ვუსურვო ჩემს დიდებულ და ნიჭიერ ერს ყოველივე კარგი, ღმერთს ვთხოვ, რომ არ გაგვცრუებოდეს ის იმედები, რაც უახლოეს წარსულში კიდევ ერთხელ ჩაგვესახა”.

ია ნინიძე იმედებით სავსეა

მოკლედ

მარჯანიშვილის გეგმები

მარჯანიშვილის თეატრის დასი წარმოდგენებს თეატრში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ განაახლებს. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თემურ ჩხეიძემ განაცხადა, შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო სეზონის გახსნა, სავარაუდოდ, მხოლოდ ზაფხულისთვის მოხერხდება, მანამდე კი დასი მუშაობას წყვეტს. თეატრალურ დასს რკინიგზელთა სახლში სპექტაკლები დეკემბრიდან უნდა ეთამაშა, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო, ეს ვერ მოხერხდა.

მარჯანიშვილის თეატრის შენობის სრული რეკონსტრუქცია შარშან ზაფხულში დაიწყო. **ინტერ-პრესი**

"ანტიგონე" ახმეტელში

ახმეტელის თეატრი ახალ სპექტაკლზე - "ანტიგონეზე" მუშაობს. თეატრის მენეჯერის ლიკა კაკულიას თქმით, სპექტაკლში, რომელსაც რეჟისორი მამუკა ტყემალაძე დგამს, მსახიობები: ნუგზარ ყურაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, რუსიკო კობიაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, დათო წიქარაძე მონაწილეობენ. ასევე მიწვეულია მსახიობი ზურაბ ჯიჯიაშვილი.

სპექტაკლის პრემიერა, სავარაუდოდ, მარტში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

ახალი ხალხი, ახალი ნაკადი, ახალი მოდა

1 მაისს ევროკავშირის წევრი კიდევ ათი ქვეყანა გახდება. ევროპა არა მარტო პოლიტიკური, არამედ მოდის თვალსაზრისითაც გაფართოვდება.

ლიტვა

ერთიან ევროპაში შესვლისთვის არვიდას შალტანისი, ვილნიუსის ხელოვნების აკადემიის რექტორი, წინასწარ მოემზადა. მისმა აკადემიამ მოდის დიზაინისთვის ჯერ კიდევ 1994 წელს გახსნა პარიზში საკუთარი სახელოსნო, და ვილნიუსის აკადემიის მრავალმა კურსდამთარებულმა უკვე წარუდგინა თავის ესკიზები დასავლეთს. ერთ-ერთი მათგანი, იოზას სტასტკევიჩუსი, Haute Couture-ში მიღებულ ხელოვანად ითვლება.

ვილნიუსის ხელოვნების აკადემია 1793 წელს იყო დაარსებული, დიზაინის ფაკულტეტი კი მხოლოდ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში გაიხსნა. იმხანად, ხრუშჩოვის დროს, საბჭოთა კავშირი ფრთხილად ცდილობდა სტალინიზმის ესთეტური სტერეოტიპებისგან გათავისუფლებას. სულ მალე ბალტიისპირეთის გრაფიკოსები, დიზაინერები და მხატვრები მთელ სსრკ-ში გახდნენ ცნობილი. "ჩვენ აღმოსავლეთის დასავლეთი ვიყავით," იგონებს შალტანისი ლიტვის სამოციანებს – იმხანად ის თავადაც სტუდენტი იყო.

მრავალი წლის განმავლობაში ვილნიუსის ხელოვნების აკადემიის დიზაინერები საბჭოთა ლიტვაში განვითარებული ტექსტილის ინდუსტრიისთვის მუშაობდნენ. ექსპერიმენტები მხოლოდ 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. "ეროტიკისა და ექსტრავაგანტულობის მიმართ ინტერესი მაშინ ძალიან მოჭარბებული იყო," ამბობს შალტანისი. ის ძალიან ამაყობს თავისი სტუდენტების მოწინავე იდეებითა და ენთუზიაზმით.

სადღეისოდ ქსოვილების და ტანსაცმლის მოდელირების ფაკულტეტებზე 90 ადამიანი სწავლობს. ყოველწლიურად, სამიდან ექვს თვემდე, მათთან ერთად შტატგარეშტელი სტუდენტებიც ესწრებიან მეცადინეობებს.

პირველი სასწავლო წელი ქსოვილებისა და სტილების შესასწავლადაა განკუთვნილი, მეოთხეკურსელები კი მთლიანად Haute Couture-ით არიან დაკავებულნი. დიპლომის დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულთა დაახლოებით ათი პროცენტი ლიტვაში დამოუკიდებლად ქმნის პატარა სალონებს, ხოლო უმრავლესობა სატელევიზიო რეკლამით, გრაფიკით, ილუსტრირებით და მარკეტინგითაა დაკავებული.

ქალბატონი ტალაკაიტე, რომელიც ოთხმოციანი წლების დასაწყისში, სტუდენტობის დროს, ისტორიული ლიტვური კოსტიუმების მიხედვით ქმნიდა ესკიზებს და ამჟამად აკადემიის პედაგოგი გახლავთ, შეკვეთებს პარიზული ბუტიკებიდან იღებს. მისი ვილნიუსელი კოლეგები, რომლებთანაც ის ასევე თანამშრომლობს – ესკიზებს აწვდის, – სისტემატურად მუშაობენ ჰუგო ბოსთან.

ტალაკაიტეს თქმით, ლიტველი დიზაინერების შემოქმედებითი პოტენციალი ქვეყნის მულტიკულტურულობითაა განპირობებული – აქ პოლონური, ბალტიისპირული, სკანდინავიური, გერმანული და რუსული ტრადიციები მტკიცედაა გადახლართული და ამან ესთეტიკაზეც დიდი გავლენა მოახდინა.

ლაგუნასავით ლურჯი ჭინსი

მალტა

ევროპელებს მალტაზე ყოფნა ძალიან უყვართ: მზე, ლურჯი ლაგუნა, ხაჭოს ნამცხვარი, კინია – მალტური ლიმონათი და მალტელი მებადურების მიერ ნავებზე მიხატული თვალები ტკბილ მოგონებად რჩებათ ხოლმე. ის კი არ იციან, რომ უკვე 30 წელია, მალტა ევროპული ბაზრისთვის ყოველდღიურად 30 ათას "ლაგუნასავით ლურჯ ჯინსს" აწარმოებს - ამდენი შარვალი ერთ პატარა ქალაქს სავსებით ეყოფოდა! ბეჯითმა მალტელებმა "ლევისის", "ვრანგლერის", "ლიის", H & M-ის, Peek & Cloppenburg-ის და GAP-ის მანუფაქტურები გახსნეს.

მალტას სიახლოვეში, პატარა კლდოვან კუნძულზე, ცხვრების ფარების და მეთევზეების დასახლებების გარემოცვაში, 120 მალტელი ჯინსის ფაბრიკა MP Clothing Ltd-ში მუშაობს. ისინი ამაყად ატარებენ თავიანთ ჯინსებს, და გარშემო ყველაფერი ლურჯი მტვრითაა დაფარული.

ფაბრიკის იმ მუშებს, რომელთა საქმეც ქსოვილის გამოჭრაა, რკინის დამცველი ხელთათმანები აცვიათ. შარვლის ტოტები და ჯიბეები უზარმაზარ თაროებზეა დალაგებული. კერვა ქალების საქმეა: ერთი შეხედვით მოძველებულ მანქანებთან გვირისტებს აკეთებენ, და შემდეგ შეკერილ ჯინსებს სარეცხ მანქანებში ყრიან, რადგან მანამდე ისინი ქვასავით მაგარია და მეტისმეტად მუქი ფერისა.

განსაკუთრებული შემკვეთებისთვის მალტელი ჯინსის მკერავები დამთავრებულ ნაკეთობას ხევენ ან ქვიშაში, მზეზე აწყობენ, რომ ნახმარის იერი ჰქონდეს.

"ლევისის" ეტიკეტები კუნძულზე უხვადაა დარჩენილი, უბრალოდ, აღარავის სჭირდება: ფაბრიკის ამ სახელგანთქმულმა დამკვეთმა აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი, და ამიტომაა, რომ მალტას დედაქალაქშიც კი "ლევისის" მაღაზიაში ნაყიდ შარვლებს უცხო – პოლონური ან რუმინული ეტიკეტები ამშვენებს.

პოლონეთი

"ჩემი ტანისამოსი ადამიანებს არ ალამაზებს" – ასე ახასიათებს საკუთარ ხელობას პოლონელი დიზაინერი არკადიუსი. ის თავის ლონდონურ ბუტიკში მოუხერხებელ სკამზე ზის. გარშემო ბევრი მინაა, ბევრი ლაქი, ბევრი ბრჭყვიალა რამ. მას თავად ლურჯი, საკმაოდ გაცვეთილი პულოვერი აცვია, ჯინსები, ყვითელი ფეხსაცმელი. ის ენთუზიაზმით საუბრობს სილამაზის აღსასრულზე. "ლამაზი ხელოვნების დრო საბოლოოდ გავიდა," ამბობს ის. "იბადება კითხვა: როგორ რეაგირებს ამაზე დიზაინერი?"

აქედან ოქსფორდის ქუჩამდე ფეხითაც შეიძლება მისვლა. იქ, Marks & Spencer-ის უზარმაზარ მაღაზიებში უამრავი ადამიანია – ისინი ისეთ ტანსაცმელს ეძებენ, რომელიც მათ ლამაზად წარმოაჩენს. არკადიუსის მაღაზიაში ერთი საათის განმავლობაში არავინ შემოსულა.

მოდა შეიძლება ან ბიზნესი იყოს, ან მსოფლმხედველობა. არკადიუსი ეგზისტენციალისტია. 2004 წლის ზაფხულის კოლექციაში მან ქსოვილები ამერიკის დროშითა და დავითის ვარსკვლავით მოაჩითვინა და ამ ქსოვილებისა და პალესტინური თავსაფრებისგან შეკერა ქვედაბოლოები, მაისურები და შარვლები. ყველაზე შთამბეჭდავი კაბა წითელი ბუმბულებითაა მორთული, კორსაჟს ორი თეთრი მტრედი ამშვენებს. რა აზრი იყო ამაში ჩადებული? "მშვიდობა," ამბობს არკადიუსი. ამერიკელებმა ამ კოლექციას თვალი აარიდეს, სამაგიეროდ, ახლო აღმოსავლეთში ის შესანიშნავად გაიყიდა.

გაზეთმა "ნოიე ციურიხერ ცაიტუნგმა" არკადიუსი ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვან პოლონელ მოდის დიზაინერად დაასახელა. მისი მოდა კონცეპტუალურია, მაგრამ ამავე დროს ძალიან ქალური და მაცდურიც. გასული წლის ნოემბერში კრისტინა აგილერა MTV-ს ჯილდოს გადაცემაზე მის კაბაში ინონებდა თავს. ამ ღონისძიებაზე მან სამოსი მრავალგზის გამოიცვალა, მაგრამ ამერიკული და ებრაული ვარსკვლავებით და პალესტინური ქსოვილით გაწყობილი კაბა უშუალოდ ჯილდოს გადაცემის დროს ეცვა. "ამით კრისტინამ თავისი პოლიტიკური პოზიცია გამოააშკარავა," ამბობს არკადიუსი. იქნებ, უბრალოდ, დიზაინერის სახელს დახარბდა? "შესაძლებელია," იყო პასუხი, "მაგრამ თავისი პოზიციის დამტკიცება ძალაუნებურად მაინც გამოუვიდა".

ლონდონის წმინდა მარტინის კოლეჯში ასწავლიან, რომ სამოსი მის მფლობელზე უფრო ჭკვიანიც შეიძლება იყოს. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები ჯონ გალიანო და ალექსანდერ მაკქუინიც არიან. არკადიუსი ლონდონში 27 წლისა ჩავიდა – სწორედ ამ კოლეჯში უნდოდა სწავლა. მაშინ მას სრული სახელი, არკადიუს ვერემჩუკი ერქვა, მანამდე რამდენიმე წელი ვარშავის უნივერსიტეტში პედაგოგიკას სწავლობდა და ორი წელი ტოსკანაში, სასტუმროში მუშაობდა. წმინდა მარტინის კოლეჯის შესახებ არკადიუსს თავის მშობლიურ სოფელში, პარჩევშიც სმენოდა, სადაც თავად მას ცოტა დარტყმულად თვლიდნენ.

არკადიუსი კოლეჯში მიიღეს და პირველკურსელი როცა იყო, მისი კაბა ინგლისური მოდის დედოფალმა, იზაბელა ბლოუმ ჩაიცვა. "ამაზე უკეთესი რეკლამა წარმოუდგენელი იყო," იხსენებს არკადიუსი, მას პრინცი ჩარლზი პატიჟებდა ახშამზე, ხოლო 1998 წელს ლონდონის მოდის კვირეულზე მისმა შოუმ ოვაციები დაიმსახურა.

არკადიუსი პატარა ბიჭივით ამაყად ჰყვება, როგორი წარმატებები ჰქონდა ინგლისის მაღალ საზოგადოებაში, თუმცა არანაკლები ენთუზიაზმით ჰყვება იმასაც, ბავშვობაში, სოფელში, გუბეებში როგორ დატყაპუნებდა. ის პოლონეთის ქალაქების დიდი ტრფიალი არაა, მაგრამ ბუნება ძალიან უყვარს: "პოლონეთი ულამაზესი მიწაა". მისი ერთადერთი კოლექცია, რომელსაც მიზნად სილამაზე ჰქონდა დასახული, "პოლინა" იყო.

თუ სილამაზე არ იზიდავს, მოდას რატომ ქმნის? "იმიტომ, რომ მინდა, ადამიანებს დაფიქრება ვასწავლო. როცა იმას რა ვაძლევ, რასაც მოელიან, იღვიძებენ ხოლმე." განმარტა არკადიუსმა.

როგორც ჩანს, კლიენტებმაც გაიღვიძეს: არკადიუსს მყიდველები ეწვივნენ.

აჭარული ჩანახატები

არჩილ მელიქიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების დროს "სამართლიანი არჩევნების" ეგიდით აჭარაში დამკვირვებლად წასვლამ მომიწია. რასაკვირველია, იმის ილუზია არ მქონდა, რომ იქ მოსალოდნელ გაყალბებას რამენაირად ხელს შევუშლიდი. ჩვენი მთავარი მოვალეობა იყო დაგვეფიქსირებინა შესაძლო დარღვევები და ამბავი როგორმე თბილისამდე ჩამოგვეტანა, ეს იყო და ეს. მოკლედ, დედაქალაქიდან დამკვირვებლები სრული საბრძოლო განწყობით მივდიოდით. მე პირადად, გულში ცოტათი შიშიც კი მეპარებოდა, თან გზაში მიკროავტობუსი გაგვიფუჭდა და ეს მთლად ღმერთის გაფრთხილებად ჩანდა, კინაღამ უკან გამოვბრუნდით.

ჩოლოქი კარგად გამაგრებულ სასაზღვრო რაიონს ჰგავს. გზაზე რამდენიმე წყებადაა განლაგებული ბეტონის ფილები. აჭარაში ნებისმიერი შემსვლელისთვის ეს საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. მით უმეტეს, რომ პასპორტებს თუ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს ისე გულდასმით გიმოწმებენ, გეგონება მართლაც უცხო ქვეყნის აგენტი იყო. მოკლედ, დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ მივაღწიე დანიშნულების ადგილს, კერძოდ შუახევის რაიონის ერთ-ერთ სოფელს, სადაც ღამე უნდა გაგვეთია.

მასპინძელმა ჩვენ, ანუ ხუთ სტუმარს ზღაპრული სუფრა გაგვიშალა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სოფლის ხალხი ქალაქიდან ჩასულ ადამიანებს ყოველთვის დიდი პატივისცემით ხვდებოდა, მაგრამ აქ თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ცოტა სხვა რამეში იყო საქმე. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, ოჯახის უფროსმა ზედმეტად ხმამაღლა დაიწყო აბაშიძის ლანძღვა და კრიტიკა. მისი შეშინებული მეუღლე ცდილობდა ქმრის გაჩუმებას. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. აშკარა იყო, რომ მასპინძელი წლობით დაგროვილ ტკივილზე პირველად ლაპარაკობდა დედაქალაქიდან ჩასულ

სტუმრებთან. სიყვარულიან-პოლიტიკურმა სადღეგრძელოებმა დიდხანს გასტანა და ვერც კი გავიგეთ, ისე შემოგვათენდა.

ასე რომ, ფაქტობრივად, სუფრიდან წამომდგარნი სხვადასხვა სოფლის საარჩევნო უბნებში აღმოვჩნდით. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად კომისიის წევრებმა (ამავე სოფლის მაცხოვრებლებმა) დიდი სიხარულით მიმიღეს (თბილისში მიღებული ინფორმაციით კი, ლამის ცემა-ტყეპით დახვედრას ველოდი). მოვლენების ასეთ განვითარებას ნამდვილად ვერ ვიწინასწარმეტყველებდი.

ერთი-ორ სიტყვას თავად არჩევნების მიმდინარეობაზეც ვიტყვი. ასე კარგად ჩატარებული არჩევნები მე პირადად არ მახსოვს. რასაკვირველია, იყო ტექნიკური ხასიათის ცდომილებები, მაგრამ ამას ვინღა უყურებდა! მე, როგორც დამკვირვებელს, ისღა დამრჩენოდა ჭერში ბუზები მეთვალა, რაც ნამდვილად მოსაწყენი იყო (მაინც რა მოსწონდა ბუზების თვლაში ლუარსაბ თათქარიძეს?!).

შუადღე რომ დადგა, კომისიის თავმჯდომარემ თავისთან სუფრა გააშლევინა და იქ მიმიპატიჟა. მეც დეზერტირივით მივატოვე საარჩევნო უბანი და პურ-მარილთან გადავინაცვლე. ქეიფი კარგა ხანს გაგრძელდა და აქაც გვერდი ვერ ავუარეთ პოლიტიკურ თემებზე საუბარს. ერთი საინტერესო კანონზომიერება შევამჩნიე. იყო ერთი-ორი ადამიანი, რომელიც აბაშიძეს ღიად აკრიტიკებდა, იყო უმრავლესობა, რომელიც ირიბად კბენდა "აჭარის ლომს" და ბოლოს, იყო ერთი კაცი, რომელიც გვერდზე მომიჯდა და ჩუმად, ყურში მეუბნებოდა ასლან ბატონზე "ტკბილ" სიტყვებს. თხუთმეტ კაციან სუფრაზე მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც განაცხადა, მე აჭარის ხელისუფლებას ვუჭერ მხარსო. თუმცა, იქვე დაამატა - მმართველობა რომ შეიცვალოს, მეც ახალ ხელისუფლებას დავუჭერ მხარსო.

უკვე საკმაოდ შემთვრალი, საარჩევნო უბანში დავბრუნდი. მეშინოდა, რომ ჩემს არყოფნაში ბიულეტენებს ჩაყრიდნენ, მაგრამ არაფერი მსგავსი! სანამ ვქეიფობდი, ხმა არც არავის მიუცია. ყველაფერი ისე იდეალურად მიდიოდა, რომ კომისიის რამდენიმე წევრმა შემომთავაზა, სააკაშვილის სასარგებლოდ ბიულეტენები ჩავყაროთო. მე რასაკვირველია, უარი ვტკიცე.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა და ნახევრად მთვლემარე ველოდებოდი რვა საათის დადგომას, რათა ხმები დროზე დაგვეთვალა, სახლში წავსულიყავი და დამეძინა. როგორც იქნა, დანიშნული დროც მოვიდა. ხმების დათვლას ათ წუთში მოვრჩით, 109 ამომრჩევლიდან 108-ამ სააკაშვილს მისცა ხმა, ერთი ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი. ამ დროს კომისიის წევრმა ერთმა ქალბატონმა, რომელიც აქამდე პოლიტიკურ თემებზე ხმას არ იღებდა, ვეღარ მოითმინა და წამოიძახა: ხუთი ხმა რომ მქონდეს, ხუთივეს მიშას მივცემდი ოღონდ ჩვენ გვეშველოს!, - რაღაც გულიანი სიცილი მოჰყვა გარშემომყოფთაგან.

სოფლის გზებზე ერთსაათიანი ჯაყჯაყის შემდეგ, როგორც იქნა, ჩვენი მასპინძლის სახლს მივადექი; ვიფიქრე, ახლა კი მეღირსა-თქო ძილი, მაგრამ რად გინდა, ისევ სუფრა დამხვდა გაშლილი. მასპინძლები ისე შეგვხვდნენ, როგორც ომიდან დაბრუნებულ გმირებს. ერთ დღეში ხალხი გადასხვაფერდა. ბევრი აღარც მალავდა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერი იყო. იმ ღამეს მთიან აჭარაში ისეთივე განწყობა იყო, როგორც 23 ნოემბრის ღამეს თბილისში. ხოლო მცირე კავკასიონის ერთ-ერთ მთაზე ამაყად ფრიალებდა ხუთჯვრიანი დროშა, რომელიც აჭარლებმა აიტანეს. ქეიფმა ისევ დილამდე გასტანა და მეორე ღამის უძინარები თბილისისკენ გამოვეშურეთ. ჩოლოქზე, წესისამებრ, ისევ გაგვაჩერეს, მაგრამ პასპორტების მოთხოვნის ნაცვლად, პოლიციელებმა რომ გაიგეს თბილისიდან ვიყავით, ჯერ სუფრის გაშლა დააპირეს ჩვენს პატივსაცემად, ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენგან კატეგორიული უარი მიიღეს, სხვადასხვა საჭმელი და ტკბილეულობა შემოგვთავაზეს!

მიკროავტობუსი კი თბილისისკენ მოდიოდა. ვკვდებოდი, ისე მეძინებოდა, მაგრამ მაინც ვიღიმებოდი. რაც მთავარია, ჩემმა აჭარამ ხომ გაიღვიძა!!!

P.S. მთიან აჭარაში რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ თბილისელებს ისინი თურქულად მოლაპარაკე ხალხი ჰგონიათ. ვინ ავრცელებს ასეთ სულელურ ჭორებს, არ ვიცი, მაგრამ ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვება, ვფიქრობ, არ შეიძლება.

...და კიდევ ერთი. მთიან აჭარაში "რუსთავი2"-ს ასე თუ ისე, მაინც იჭერენ, მაგრამ მოსახლეობის თხოვნაა საქართველოს რადიოებისადმი, რომ იქნებ სარეტრანსლაციო ანძა დააყენონ შუახევში, რათა უშუქობის დროს სრულ საინფორმაციო ვაკუუმში არ აღმოჩნდნენ.

სვეტი

კოტე.GE

კოტე ყუბანეიშვილი

■ ■ ■

მჯერა ეს დროც შეიცვლება
მიმძიმს ამის გაგონება,
რომ დღეს ისევ შეიძლება
ქართველების დამონება.

მტერი ვერაგ გეგმას ადგენს
არ იშურებს დაიხარჯოს
ხალხი ერთად უნდა დადგეს,
სიმართლემ რომ გაიმარჯვოს.

დრო მეფობს და გმირებს ირჩევს
როგორც თავის უფლებაა,
ის რაც უნდა გადაგვირჩეს
სიტყვის თავისუფლებაა.

■ ■ ■

იყო ამაყი უნდა ქართველი
გასხივოსანდე როგორც რამზესი,
რადგანაც თურმე მის საქართველო,
მსოფლიოშია ულამაზესი.

■ ■ ■

ასეთია მოვლენათა არსი
ღმერთი ყველას თავის სარჩოს აძლევს
და ქართველ ერს დღეს მიეცა შანსი,
რომ მსოფლიო ათეულში გაძვრეს.

მთავარია შენარჩუნდეს მრწამსი
და მშიერი მათხოვარი გაძღეს
მჯერა დილა გათენდება ხვალე
და ქართველებს გვეშველება მალე.

■ ■ ■

ფული ეშმაკს

■ ■ ■

იახლე სიახლე

■ ■ ■

ჩვენ სუყველას ჟამმა ავმა
მოგვაყენა სულის ტრავმა,
ტერორი და აგრესია
ძაღლებივით დაგვესია,

მაგრამ მოვიქეცით მარჯვედ,
ამიტომაც გავიმარჯვეთ
დრომ რად უნდა გადაგვთელოს,
გაუმარჯოს საქართველოს!

■ ■ ■

მთვარემ ოცნებათა შუქით ღამე ქარგა
თითქოს მომისაჯეს ობოლს სიმარტოვე,
რადგან სიყვარული ბნელში დამეკარგა,
ვკვდები უსინათლოდ - მზეც ნუ მიმატოვე.

იტევს მოკვდავთათვის ტკივილს საკმარს გული,
წელში სიმძიმისგან ვეღარ გავიმართე
სანამ იმედები არ მაქვს დაკარგული,
მზეო სიყვარულის ბნელი გამინათე.

■ ■ ■

მოსწყდნენ თუ არა სიტყვები ტუჩებს,
ანუ როდესაც დასტოვეს ენა
ჩამოუფრინეს თბილისის ქუჩებს
და მსმენელების დაიპყრეს სმენა.

■ ■ ■

მინდა რომ სანთლად შენ ხატთან ვენთო
ლექსით აივსო ჩემი რვეული
სამოთხის კარი გამიღე ღმერთო
ჯოჯოხეთში ვარ გამომწყვდეული.

■ ■ ■

ვისაც ხალხი ათაყვანებს,
მას დრო გამოათაყვანებს.

ფეხბურთი

"დინამო" თანამეგობრობის თასს უბრუნდება

მიხეილ აბაიშვილი

გიორგი ბებაურიშვილი ფოტოები

შუშაკი და "დინამო" მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადება

დღეს, დილის 8 საათზე, თბილისის "დინამო" გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მონაწილეობას მიიღებს თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირში. შუშაკმა რუსეთის დედაქალაქში წაიყვანა: ზოიძე, გვარამაძე, მამალაძე, შაშიაშვილი, წერეთელი, კანდელაკი, კარლოს და როჩა, კვირკველია, ახალაია, სახვაძე, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე, ბობოხიძე, ალექსიძე, მელქაძე, იაშვილი, კაშია და ხმალაძე. "დინამოს" ქვეჯგუფში მოხვდნენ ყაზახეთის "ირტიში", ყირგიზეთის "ჟასტიკი" და ლატვიის "სკონტო". საქართველოს ჩემპიონი 17 იანვარს "ჟასტიკს" დაუპირისპირდება, 18 იანვარს ტურნირის შარშანდელ ფინალისტს, "სკონტოს" ეთამაშება, ხოლო ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს 20 იანვარს, "ირტიშის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტები მიიწვია და პრესკონფერენცია გამართა.

მისი თქმით, წლეულს "დინამოს" ისევ ერთი მთავარი მიზანი აქვს – საქართველოს ჩემპიონატში და თასის ტურნირში გამარჯვება, თუმცა, არც დსთ-ს ჩემპიონთა ტურნირს მიიჩნევს მეათეხარისხოვნად.

"ჩვენ კვლავაც ერთი მიზანი გვაქვს: დავიცვათ საქართველოს ჩემპიონის ტიტული და გავიმარჯვოთ დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში. შესაბამისად, დსთ-ს ჩემპიონთა ტურნირში გამარჯვება ძირითად ამოცანად არ გვაქვს დასახული. თუმცა, ამ ტურნირისთვის სერიოზულად ვემზადებით და ვეცდებით, რაც შეიძლება, წარმატებულად ვიასპარეზოთ. ტურნირში 15 ქვეყნის ჩემპიონი მონაწილეობს და სულაც არ გვინდა, მათთან ჭიდილში "დინამომ" ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ვერ დაიცვას. დღეს გუნდმა "ოლიმპის" სტადიონზე, ხელოვნურსაფარიან მინდორზე ივარჯიშა, თავად ტურნირზე კი მის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე მივემგზავრებით, რათა ადგილობრივ პირობებს შევეგუოთ და თამაშების დაწყებას მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ", - თადარიგს იჭერს შუშაკი.

თბილისის "დინამო" უკვე დატოვა საქართველოს ნაკრების ორმა ფეხბურთელმა – ოთარ ხიზანეიშვილმა და ალექსანდრე ამისულაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ გუნდს დაცვის ორივე ფლანგი მოუშიშვლდა. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ჩემპიონის რიგები დსთ-ს ტურნირის შემდეგ კიდევ უფრო შეთხელდება. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებაზეც ფიქრობს.

"დსთ-ს ჩემპიონთა ტურნირი ერთგვარი საფეხბურთო ბაზრობაცაა, სადაც ფინანსურად ძლიერი კლუბები სხვა გუნდების ფეხბურთელებს აკვირდებიან და თუ მოეწონათ, კონტრაქტსაც უფორმებენ. წინასწარ ვიცით, რომ ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი სხვა კლუბების სელექციონერებს უკვე მიზანში ჰყავთ ამოღებული. ხიზანეიშვილი უკვე დაუბრუნდა მოსკოვის "დინამოს", რომლისგანაც ეს ფეხბურთელი არენდის წესით გვყავდა გადმოყვანილი. რაც შეეხება ამისულაშვილს, ის უკვე კიევის "დინამოს" საკუთრებაა. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია, თუმცა, მარტო ფეხბურთელების გაშვებას ნამდვილად არ ვაპირებთ და გუნდის გაძლიერებას ვგეგმავთ. ამჟამად "დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს საქართველოს ნაკრების კაპიტანი, გიორგი ნემსაძე, რომელიც, იმედი მაქვს, მალე ჩვენი ფეხბურთელი გახდება. რაც მთავარია, როგორც ფეხბურთელს, ისე კლუბს, ამის სურვილი აქვს და რაკი სურვილების თანხვედრაა, ფინანსურ საკითხზეც შევთანხმდებით. ნემსაძე მოსკოვში არ მიგვყავს, თუმცა, დიდი შანსია, რომ თებერვლამდე მასთან კონტრაქტი გავაფორმოთ და ის "დინამოსთან" ერთად კვიპროსულ შეკრებაზე გაემგზავროს. დავით სირაძის თაობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ თბილისის "ლოკომოტივთან" და უახლოეს მომავალში ეს ფეხბურთელი შეიძლება დინამოელი გახდეს. გორის "დილას" ფეხბურთელი, ჩიტაია უკვე ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. თუ დღეს ვიზის პრობლემა მოგვარდება, იგი ხვალ მოსკოვში გამოემგზავრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩიტაია მოგვიანებით, 16 იანვარს შეუერთდება "დინამოს", - გაგვანდო სატრანსფერო მიზნები "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, რომელიც დსთ-ს ტურნირზე თავადაც დააკვირდება სხვა გუნდების ფეხბურთელებს და "დინამოსთვის" შეიგულებს.

შუშაკი გუნდის გაძლიერებას მარტო სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობით არ აპირებს. მას ფარმკლუბის, "დინამო 2"-ის დიდი იმედიც აქვს. შარშან ფარმ-კლუბიდან ძირითად გუნდში უკვე გადაიყვანა ახალგაზრდა თავდამსხმელი, სანდრო იაშვილი, წლეულს კი მოსკოვში ძირითად გუნდთან ერთად "დინამო 2"-ის ორი ფეხბურთელი, კაშია და ხმალაძე მიყავს.

"მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ "დინამო 2"-ს. როცა დრო მაქვს, მის თამაშებს ვესწრები, ხოლო თუ ამას ვერ ვახერხებ, "დინამოს" სპორტული დირექტორი, გივი ნოდია მცვლის. შარშან "დინამო 2"-იდან სანდრო იაშვილი გადმოვიყვანეთ. თუ როგორ გაამართლა ამ ნაბიჯმა, თავადაც ხედავთ. იგი თანდათან უშინაურდება ძირითად შემადგენლობას და შედეგიანად თამაშობს. ამჯერად მოსკოვში "დინამო 2"-ის კიდევ ორი ფეხბურთელი, კაშია და ხმალაძე მიგვყავს. მათ აქვთ იმის შანსი, რომ გზა გაიკვლიონ ძირითადი შემადგენლობისკენ, თუმცა, როგორც კაშიას და ხმალაძეს, ისე იაშვილს, ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბების გზაზე წინ კიდევ უზარმაზარი სამუშაო ელით", – აფრთხილებს შუშაკი მომავალ თაობას.

როგორც უკვე ვთქვით, "დინამო" სამწლიანი პაუზის შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში და თავის პირველ მატჩს 17 იანვარს გამართავს. საქართველოს ჩემპიონს ამ ტურნირში წარმატების კარგი შანსი აქვს, რადგან ფავორიტები – ცსკა და კიევის "დინამო" – დუბლშემადგენლობებით იასპარეზებენ.

გაკრიტიკებული რონალდო და სიხარულით მიღებული ედგარ დავიდსი

ნინო ჟირველი

დიდი შანსია რონალდო და დავიდსი ერთმანეთს "სუპერკლასიკოში" დაუპირისპირდნენ

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მეცხრამეტე ტურში ისეთი რამ მოხდა, რამაც სენსაციების მოყვარულთ დიდად გაუხარა გული. ალბათ, უკვე მიხვდით, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო: ესპანეთში ხომ ყველაზე მეტად მადრიდის "რეალის" დამარცხება უკვირთ და ყოველთვის ერთი ამბავი ატყდება ხოლმე, როცა ვარსკვლავებით გადატენილი "სამეფო კლუბი" "გაბედავს" და წააგებს. როგორც წესი, "რეალისგან" ყველა მუდამ გამარჯვებას ელის და არავის სურს იმის გაგება, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი დაუმარცხებელი არ არის და ხანდახან მოშვების უფლებაც აქვს. კაცმა რომ თქვას, "რეალის" ბოლო დამარცხება სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადთან" მაინცდამაინც ტრაგიკული მოვლენა არ ყოფილა - ბასკებმა ერთი კინკილა გოლი გაუტანეს სტუმრებს და ამ მინიმალური სხვაობით შეძლეს მადრიდელებისთვის სამი ქულის ართმევა. "სამეფო კლუბს" ამაზე საშინელი მარცხიც ბევრჯერ განუცდია და, თანაც, საკუთარ მოედანზე. თუნდაც ის მატჩი გავიხსენოთ, "მაიორკასთან", "სანტიაგო ბერნაბეუზე", 1:5 რომ დამთავრდა". აბა, რა მოსატანია ამ კოშმართან სან-სებასტიანში გაშვებული ერთი გოლი?

ბასკებთან ყველა ერთად დამარცხდა, მაგრამ მატჩის შემდეგ ყველაზე მეტი სპორტული ჟურნალისტებისგან მაინც მადრიდელთა ბრაზილიელ ფორვარდ რონალდოს მოხვდა. ესპანურმა პრესამ ლამის მთლიანად "ფენომენს" გაადაბრალა "რეალის" წარუმატებლობა. რონალდომ მხოლოდ ერთხელ დაარტყა "სოსიედადის" კარის მიმართულებით და მაშინაც უზუსტოდ. ამის მეტი "ფენომენს" აღარაფერი გაუკეთებია. როგორც ესპანელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, ეს ყოველივე იმის ბრალია, რომ რონალდო ფიქრებით ჯერაც ლონდონში იყო. ბრაზილიელმა ისარგებლა იმით, რომ "რეალის" ხელმძღვანელობამ არ ათამაშა ესპანეთის თასის მატჩი უსახელო "ეიბარის" წინააღმდეგ და საკუთარი ვერტმფრენით ინგლისისკენ გაუტია. მაინც რა დარჩენია "ფენომენს" ინგლისის დედაქალაქში? რა თქმა უნდა, ესპანელმა ჟურნალისტებმა "ფენომენის" ინგლისური ვოიაჟი მაშინვე რომან აბრამოვიჩს და მის "ჩელსის" დაუკავშირეს. არავინ დაიჯერა რონალდოს თავის მართლება, ლონდონში პირადი საქმეების გამო ვიყავიო. რაღა ამ შუა სეზონში მოუნდა საქმეებზე წასვლაო, - აბუზღუნდნენ მადრიდელები. რონალდომ "რეალის" ფანებს შეჰფიცა, მადრიდში საოცრად ბედნიერი ვარ და "ჩელსიში" გადასვლა არც მიფიქრიაო. ეს უკვე ტრადიციად იქცა. "რეალის" ვარსკვლავები მუდამ ასეთი ფრაზებით ამშვიდებენ ფანებს, როცა მათთან კონტექსტში რომან აბრამოვიჩის გვარს მოიხსენიებენ ხოლმე. ასე იყო თუ ისე, რონალდო უნებართვოდ გაემგზავრა ლონდონში და უკან დაბრუნებისას უამინდობის გამო იძულებული გახდა, სალამანკაში დაესვა თავისი იეტი. სალამანკა მადრიდიდან 200 კილომეტრითაა დაშორებული და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ვარჯიშზე 90 წუთით დააგვიანა, თან, მგზავრობით გადაღლილიც იყო. "რეალმა" თავის ვარსკვლავს უდისციპლინობა არ აპატია და ჯარიმის სახით 2700 ევროს გადახდა დააკისრა. "რეალის" დამარცხების შემდეგ კი სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა "ვალენსია", რომელმაც აუტსაიდერთა შორის მყოფ "ალბასეტეს" მოუგო. თუმცა, მეცხრამეტე ტურის გმირად მაინც იქცა კატალონიური "ბარსელონა", რომელმაც გამარჯვებაც შეძლო და ერთი მეტად ხელსაყრელი ტრანსფერის გაჩარხვაც. ფრენკ რაიკარდის გუნდმა საკუთარ "კამპ ნოუზე" სამი გოლი გაუტანა "სარაგოსას" და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა უეფას თასზე გამსვლელი გუდნების ზონას. კატალონიელები ახალი შენაძენითაც აპირებენ გულშემატკივრის გახარებას. როგორც ესპანური გაზეთი "მარკა" ირწმუნება, ტურინის "იუვენტუსის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი აუცილებლად გადავა "ბარსაში". "მარკას" მიხედვით, "პიტბულად" წოდებულმა ჰოლანდიელმა უკვე გააფორმა კიდეც კონტარქტი კატალონიურ კლუბთან. ამავე დროს იტალიური პრესა ამტკიცებს, რომ დავიდსი "იუვედან" წასვლის შემდეგაც ისევ სერია ა-ში დარჩება, რადგან მისი შეძენა მასიმო მორატის "ინტერს" სურს. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ აღარ აპირებს დავიდსისთვის კონტრაქტის გაგრძელებას და, როგორც კი სეზონი დამთავრდება, ჰოლანდიელს მაშინვე ახალი გუნდის ძებნა მოუწევს. გაუგებარი მხოლოდ ის არის, მართლა მოირგებს თუ არა დავიდსი "ბარსელონას" ლურჯ-ნითელ მაისურას. "ინტერის" წარმომადგენლები აცხადებენ, ჯერ რომის "ლაციოდან" სერბ დეიან სტანკოვიჩს შევიძენთ, შემდეგ კი ივნისში დავიდსსაც გადავიყვანთ მილანშიო. ესპანეთში კი უკვე ეჭვიც აღარ ეპარებათ, რომ დავიდსი მალე "ბარსას" საკუთრება გახდება. კატალონიელებს რომ ჰკითხო, უკვე ყველა ფორმალური საკითხი მოგვარებულია, კონტრაქტი შედგენილია, ხელიც მოწერილია, "იუვენტუსის" თანხმობაც მიღებულია და მალე დავიდსს "ბარსას" ფანებსაც წარუდგენენ.

ინფოთეკა

ფეხბურთი. 2002 წლის ნოემბერში ნიკოლა ანელკამ საფრანგეთის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, გასული წლის ზაფხულში კი განაცხადა, ნაკრებში მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, თუ მწვრთნელი ჟაკ სანტინი დამიჩოქებსო. ახლა ანელკამ უკან დაიხია და ამბობს, რომ ნაკრებში დაბრუნების სურვილი აქვს. "სანტინისთან არასოდეს მქონია პრობლემები. ნაკრებში თამაში ყოველთვის მომწონდა და იმედი მაქვს, ოდესმე ეროვნულ გუნდს დავუბრუნდები. ვფიქრობ, დადგა დრო, შექმნილი სიტუაცია ღიად განვიხილოთ", - განაცხადა ანელკამ.

■ ■ ■

ფეხბურთი. "კაუნასის" მეპატრონე ვლადიმირ რომანოვი შოტლანდიური "დანდის" შეძენას გეგმავს. კლუბი, რომლის რიგებშიც ერთ დროს ნემსაძე და ხიზანიშვილი თამაშობდნენ, ახლა გაკოტრებულია და ახალ ინვესტორებს ეძებს. რომანოვმა შოტლანდიურ პრესაში დაადასტურა, რომ "დანდის" შეძენას, მართლაც, გეგმავს. "კონკრეტული თარიღის დასახელება არ შემიძლია, მაგრამ თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, "დანდის", ალბათ, 2004 წლის ზაფხულში შევიძენთ. ამაში ევროკავშირში ლიტვის გაწევრიანებაც დაგვეხმარება. ეს კი მაისში მოხდება", - განაცხადა რომანოვმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "გლაზგო რეინჯერსის" გულშემატკივრები თავიანთი საყვარელი გუნდის თამაშით აღშფოთებულნი არიან. კლუბის პრეზიდენტმა, ჯონ მაკლელანდმა "რეინჯერსის" ყველა ქომაგს მოთმინებისკენ მოუწოდა. "შესაძლოა, გულშემატკივრებს ავიწყდებათ, რომ კლუბის ხელმძღვანელები, ამავდროულად, "რეინჯერსის" ქომაგებიც ვართ. არა მგონია, "რეინჯერსის" წაგება ვინმეს ჩემზე მეტად უმძიმდეს. მიუხედავად ამისა, ქომაგებს მოვუწოდებ, მოთმინება და სიმშვიდე შეინარჩუნონ. ჩვენ გვაქვს გეგმა, რომელიც აუცილებლად მოიტანს შედეგს", - განაცხადა მაკლელანდმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბოლო დროს ინგლისელმა და იტალიელმა ჟურნალისტებმა არაერთხელ გაავრცელეს ინფორმაციები იმის შესახებ, თითქოს რომან აბრამოვიჩი "ჩელსის" მწვრთნელის პოსტზე ფაბიო კაპელოს ეპატიჟებოდა. თავად იტალიელმა მწვრთნელმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო: "არც კი ვიცოდი, რომ "ჩელსი" ჩემით იყო დაინტერესებული. ეს პირველად მესმის. ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ". ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ აბრამოვიჩს არასოდეს შეხვედრია და მასთან არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია.

■ ■ ■

ფეხბურთი. აბრამოვიჩთან კავშირს ბრაზილიელი რონალდოც უარყოფს. საქმე ის არის, რომ გასულ კვირას რონალდო ლონდონში იყო. ჟურნალისტებმა მაშინვე გამოთქვეს ეჭვი: ბრაზილიელი, ალბათ, "ჩელსის" ხელმძღვანელებს შეხვდა და ამ კლუბში მისი შესაძლო გადასვლის საკითხს განიხილავდა. რონალდომ კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ ლონდონში მხოლოდ თავის მეგობრებს, "ჩელსის" ფეხბურთელებს - ჯერემის და მაკელელეს შეხვდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბელგიის "ანდერლეხტისა" და ხორვატიის ნაკრების 29 წლის თავდამსხმელის გადაბირება ერთბაშად ორ ბრიტანულ კლუბს სურთ. ინგლისური "პორტსმუტი" და შოტლანდიური "რეინჯერსი" მორნარის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. "ანდერლეხტთან" კონტრაქტი ფეხბურთელს 30 ივნისს უმთავრდება. ბელგიურმა კლუბმა მორნარს უკვე შესთავაზა ახალი ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა, ხორვატმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. თუ მორნარი კონტრაქტს არ გააგრძელებს, 30 ივნისის შემდეგ ის თავისუფალი აგენტი გახდება და მის სანაცვლოდ "ანდერლეხტი" ცენტსაც ვეღარ მიიღებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბრაზილიელმა ემერსონმა "რომასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი და კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი გასულ შაბათს შეხვდნენ ერთმანეთს და ხელშეკრულების გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ვლადიკავკაზის "ალანიას" ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა, როლან კურბისმა პირველი პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ გუნდის მიზანი რუსეთის ჩემპიონატის ცხრილის პირველ ხუთეულში მოხვედრა იქნება. კურბისმა ისიც აღნიშნა, რომ კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს რამდენიმე ფეხბურთელთან, თუმცა, გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

ფეხბურთი

2003 წლის "ინტერნეტ-ნაკრები"

კალაძის გარეშე...

გუშინ UEFA-მ თავის ვებ-გვერდზე 2003 წლის სიმბოლური ნაკრები წარმოადგინა. ოფიციალურად ამ გუნდს uefa.com-ის მომხმარებელთა ნაკრები ჰქვია. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის სიმბოლური ნაკრები UEFA-ს ვებ-გვერდის მომხმარებელებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დასახელდა. ამ გამოკითხვის ორგანიზატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს სიმბოლური ნაკრები არაოფიციალურია.

მესამე წლია, UEFA მსგავს გამოკითხვას ატარებს. ინტერნეტ-მომხმარებლებს საშუალება ჰქონდათ, UEFA-ს მიერ შეთავაზებული 60 კანდიდატიდან 12 საუკეთესო (11 ფეხბურთელი და მწვრთნელი) აერჩიათ. სიმბოლური ნაკრების კანდიდატების დასახელებისას, UEFA შეეცადა, ფეხბურთელთა საკლუბო დამსახურებების გარდა, მათი სანაკრებო წარმატებებიც გაეთვალისწინებინა, თუმცა, თუ კანდიდატებს გადავხედავთ, მივხვდებით, რომ მოთამაშეთა საკლუბო დამსახურებას უმთავრესი ყურადღება დაეთმო. ასე, მაგალითად: საუკეთესო მარცხენა მცველის წოდების პრეტენდენტთა შორის საქართველოს ნაკრების წევრი, კახი კალაძეც დაასახელეს. კალაძის კანდიდატობა, ალბათ, იტალიურ "მილანში" მისმა თამაშმა უფრო განაპირობა, ვიდრე საქართველოს ნაკრების წევრობამ...

ამ გამოკითხვაში ყველაზე მეტი ფეხბურთელით სწორედ "მილანი" იყო წარმოდგენილი (9), მეორე ადგილზე კი მადრიდის "რეალი" იყო (8).

როგორც აღვნიშნეთ, პრეტენდენტები საერთო სიით კი არა, პოზიციების მიხედვით იყვნენ წარმოდგენილი - ხუთი ფეხბურთელი თითოეულ პოზიციაზე. კახა კალაძე 2003 წლის საუკეთესო მარცხენა მცველის ტიტულის პრეტენდენტი გახლდათ, თუმცა, მისი კონკურენტები ო`ში, ლიზარაზუ, ძამბროტა და, რაც მთავარია, რობერტო კარლოსი იყვნენ. ასეთი კონკურენციის პირობებში, კალაძის შანსი, მართლაც, მიზერული იყო.

გამოკითხვაში მილიონნახევარზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დასახელებული ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე – ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მცველები – პაულო ფერეირა (პორტო), რობერტო კარლოსი (რეალი), ალესანდრო ნესტა (მილანი), პაულო მალდინი (მილანი), ნახევარმცველები – ლუიშ ფიგუ (რეალი), დევიდ ბექჰემი (რეალი), ზინედინ ზიდანი (რეალი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), თავდამსხმელები – ტიერი ანრი (არსენალი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი). წლის საუკეთესო მწვრთნელად ინტერნეტ-მომხმარებლებმა "პორტოს" თავკაცი, ჟოზე მაურინიო დაასახელეს.

როგორც ხედავთ, კალაძე სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა. მარცხენა მცველის პოზიციაზე 63,14 პროცენტით რობერტო კარლოსმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტა, თუმცა, დიდი განსხვავებით – 15,19 პროცენტი. კალაძე მარცხენა მცველთა ხუთეულში ბოლო ადგილზე გავიდა. "მილანის" ქართველ მცველს გამოკითხულთა 6,5 პროცენტმა მისცა ხმა.

სიმბოლური ნაკრების კანდიდატთა შორის ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო "ოქროს ბურთის" მფლობელმა, "იუვენტუსის" ჩეხმა ლეგიონერმა, პაველ ნედვედმა. მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ნედვედი საუკეთესოდ მიიჩნია გამოკითხულთა 65-მა პროცენტმა.

ფიგუ "სპორტინგში" დაბრუნებას აპირებს

მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ მომავალში ლისაბონის "სპორტინგში" დაბრუნებას აპირებს, სადაც თავისი პროფესიული კარიერა დაიწყო. ამის შესახებ ფეხბურთელმა ესპანურ მედიას განუცხადა.

ამასთან ფიგუმ დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში "რეალის" დატოვებას არ აპირებს. "სამეფო კლუბთან" მისი კონტრაქტი 2006 წლის ივნისში იწურება. ფიგუმ ამის შესახებ "რეალის" ოფიციალურ საიტზეც ისაუბრა.

31 წლის ფიგუს განმარტებით, ის უკვე დიდი ხანია, ესპანეთში თამაშობს და ამ ქვეყანაში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ამიტომ გამორიცხული არ არის, მან ატმოსფეროს შეცვლა მოინდომოს. სამშობლოში დაბრუნების ვარიანტს კი პირველ რიგში განიხილავს. ფიგუს თქმით, პორტუგალიაში დაბრუნების შემთხვევაში ფინანსური საკითხი პრიორიტეტი არ იქნება და თუ ის ლისაბონში მაინც დაბრუნდება, სწორედ "სპორტინგში" ითამაშებს.

ბოლო დროს გაჩნდა ინფორმაციები, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელით ევროპის ისეთი გრანდები არიან დაინტერესებული, როგორებიც "მილანი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსია".

ოლიმპიზმი

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი კორუფციაშია ეჭვმიტანილი

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციაში გახვეული ჩინოვნიკების საკითხს ეთიკის კომისია განიხილავს. ამის შესახებ იუწყებოდა გუშინ სოკ-ის პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბიულეტენი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ ეთიკის კომისიას განკარგულება მისცა, გამოიძიოს ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტის, 72 წლის სამხრეთკორეელი კიმ იუნ იენის საქმე. ვიცე-პრეზიდენტი კორუფციაში არის ეჭვმიტანილი.

სამხრეთ კორეის მედიის ცნობით, ჩინოვნიკმა ჯიბეში ჩაიდო შემოწირულობათა დიდი ნაწილი, რომელიც 2001 წელს სოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებში თავისი კანდიდატურის მხარდასაჭერად იყო განკუთვნილი და აგრეთვე ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის უზრუნველყოფას უნდა მოხმარებოდა. ადრე ამ ფედერაციას სწორედ კიმ იუნ იენი ხელმძღვანელობდა. ამას გარდა, ვიცე-პრეზიდენტს ბრალად ედება სამხრეთკორეელი ბიზნესმენისგან ქრთამის აღება (ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მისი გაწევრიანების სანაცვლოდ).

მას შემდეგ, რაც ეთიკის კომისია თავის სამუშაოს დაასრულებს, დასკვნასა და რეკომენდაციებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ კომიტეტს გაუგზავნის. ის კი გაარკვევს, დამნაშავეა თუ არა ჩინოვნიკი იმ საქმეებში, რომლებშიც ეჭვმიტანილია.

იუნ იენი 1986 წლიდან სოკ-ის წევრია. ვიცე-პრეზიდენტად შარშან აირჩიეს. მისი სახელი ფიგურირებდა სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე აგორებულ ოლიმპიელ ჩინოვნიკთა სკანდალში. მაშინ ათი დიდი მოხელე გაათავისუფლეს. კიმ იუნ იენს სასტიკი საყვედური აკმარეს.

TV–სპორტი

სამშაბათი. 13 იანვარი

НТВ+ФУТБОЛ
07:00 NBA TV. "LOS ANGELES LAKERS" - "CLEVELEND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ვილის რიდი
09:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
01:55 "გამჟღავნება"
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1976. "KENTUCKY COLONELS " - "ST. LOUIS SPIRITS"

НТВ+СПОРТ
11:00, 14:00, 19:45 პრესცენტრი
11:15, 20:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
14:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
14:45 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003. მესამე ნაწილი
15:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
16:00 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (17:00) პრესცენტრი
17:50 "ნადირობის სეზონი"
18:20 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 ბოულინგი. PBA Tour ომაჰაში (აშშ)
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
00:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში
01:15 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
02:10 "მუზარადის გარეშე"

EUROSPORT
11:30 რალი – რეიდ დაკარი
12:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ასპარეზობა შვეიცარიაში
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
14:45 რალი – რეიდ დაკარი
15:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
16:45 ფეხბურთი. ევროგოლები
17:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
18:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
21:30 ფეხბურთი. საერთაშორისო შეჯიბრება
23:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
01:30 რალი – რეიდ დაკარი
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 თავგადასავალი. ექსტრემალური რეიდ-თავგადასავლების სერია
03:15 მულტისპორტი
03:45 რალი – რეიდ დაკარი
04:15 ახალი ამბები

კრივი

საბჭო ლუისზე ზეწოლას აძლიერებს

გიგა გურასაშვილი

ლუისი კლიჩკოს შეხვდება ან ქამრის დათმობა მოუწევს

რა ხანია, კრივის სამყარო ლენოქს ლუისის რინგიდან წასვლა-არწასვლაზე ლაპარაკობს. ლუისიც აჭიანურებს და კრივის მოყვარულებს მარჩიელობის საბაბს აძლევს. არადა, მისგან პასუხს ელიან როგორც კრივის მამები, ისე თავად მოკრივეები. მოკრივეთა შორის ბრიტანელის პასუხს ყველაზე მოუთმენლად უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ელის. რაც შეეხება კრივის მოხელეებს, მათი მოთმინების ფიალა აივსო და ლუისს საკუთარ თავში გარკვევის კონკრეტული ვადა დაუთქვეს.

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ვერსიით, რომლის საჩემპიონო ქამარიც დღეს ყველაზე ძვირად ფასობს, ჩემპიონი სუპერმძიმეწონოსანი ლენოქს ლუისი ბოლო დროს მეტად გრძნობს საბჭოს მოხელეთა ზეწოლას. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო "Daily Telegraph"-ის ცნობით, WBC სულ უფრო ღიზიანდება ლუისისა და მისი ბანაკის დუმილით. საბჭოში ერთადერთი რამის გაგონება სურთ: უნდა თუ არა, უფრო სწორად, აპირებს თუ არა ბრიტანელი სპორტული კარიერის გაგრძელებას. პასუხს თვის ბოლომდე ელიან. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ულტიმატუმთან. კერძოდ, საბჭოს პრეზიდენტის ხოსე სულეიმანის განცხადებით თუ მუქარით, იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი დამოუკიდებლად არ გადაწყვეტს ვიტალი კლიჩკოსთან განმეორებითი მატჩის თარიღს, მაშინ იგი იძულებული გახდება, ლუისის საჩემპიონო სარტყელი ვაკანტურად გამოაცხადოს. განმეორებითი მატჩის შემთხვევაში კი, ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, ბრიტანელის საბანკო ანგარიში, შესაძლოა, 10 მილიონი ფუნტი სტერლინგით შეივსოს.

რაც შეეხება მითქმა-მოთქმას ლუისის კრივიდან წასვლის შესახებ, ის 2003 წლის ივნისში დაიწყო და დღემდე გრძელდება. დაიწყო 21 ივნისს, როდესაც ბრიტანელისა და უკრაინელის ისტორიულ მატჩს ლოს ანჯელესმა უმასპინძლა.

ლუის-კლიჩკოს განმეორებითი მატჩისადმი ინტერესი გასაგებია. თუ ლუისი კარიერას დაამთავრებს, მაშინ დღის წესრიგში დგება საკითხი: ვინ ჩაიბარებს ყველაზე პატივდებული საჩემპიონო ორგანიზაციის უმთავრეს ტიტულს. ყველაზე მეტი ინტრიგა მაინც განმეორებით მატჩს ახლავს. ამ შემთხვევაში სეირიც მეტი იქნება და მილიონების მოხვეჭის შესაძლებლობაც. ესეც რომ არა, აინტერესებთ, რამდენად კანონზომიერი იყო ვიტალის მაშინდელი თავგამოდება.

"Daily Mirror"-ისა და "The Sun"-ის კორესპონდენტებზე დაყრდნობით, ლუისი ვიტალის აპრილის ბოლოს უნდა შეერკინოს და უკრაინელთან ჩხუბისთვის დაახლოებით 27 მილიონ დოლარსაც მოელისო. "The Sun"-ის ჟურნალისტს საკუთარ სტატიაში ბრიტანელის ყოფილი, ამასთან, სამოყვარულო კრივის დროინდელი მწვრთნელის, ედრიან ტეოდორესკუს სიტყვები მოყავს: "ამას წინათ ლუისს ველაპარაკე. მკითხა, როგორ მოვიქცე, წავიდე თუ დავრჩეო. ვუპასუხე, რომ უკვე ყველაფერი დაამტკიცა და დასამტკიცებელი აღარაფერი აქვს. თუ მაინცდამაინც უნდა, რომ კლიჩკოსთან ჩხუბით სახელი არ გაიფუჭოს, მაშინ ათიდან რვა კვირა კლიჩკოსთან განმეორებითი მატჩისთვის თავი უნდა გადადოს...

ლენოქსმა ვიტალი ჯერ ნოკაუტში უნდა ჩააგდოს, შემდეგ, როდესაც საკუთარ გასამრჯელოს მიიღებს, ბედნიერი და ვალმოხდილი წავიდეს პენსიაში.

ბუნებრივია, ლუისის ყოფილი მწვრთნელის სიტყვებს კლიჩკოს კომენტარებიც მოყვა: "ნაირგვარი ინფორმაციის გავრცელება იმის მაუწყებელია, რომ ამ ორთაბრძოლისადმი ინტერესი დიდია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ლუისმა თავად უნდა თქვას, თანახმაა თუ არა მატჩ-რევანშზე, ან, საერთოდ, სურს თუ არა რინგზე ყოფნა. პირადად მე, დარწმუნებული ვარ, ლუისს ისევე ვცემ, როგორც პირველი ორთაბრძოლისას".

მითქმა-მოთქმას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველ შემთხვევაში, თუ დავუჯერებთ ინგლისურ "The Sun"-ს, რომელიც სენსაციური განცხადებებითა და ცრუ ინფორმაციების გავრცელებითაა ცნობილი, მაშინ ირკვევა, რომ ლუისი კლიჩკოსთან ჩხუბზე ყაბულსაა.

"როდესაც ლენოქსმა შეიტყო, რომ კლიჩკოსთან განმეორებითი მატჩისთვის გარანტირებული ექნებოდა 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი, ჩემპიონმა თანხმობა განაცხადა".

სხვათა შორის, მატჩის ტრანსლაციის უფლების მქონე სატელევიზიო ტელეკომპანია HBO-ს თადარგი უჭირავს და აპრილში შესაძლო მატჩ-რევანშისთვის "ფანჯარა" წინდაწინვე აქვს გახსნილი.

როგორც უნდა იყოს, WBC-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, უახლოეს მომავალში ჩემპიონს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს – ან ვიტალისთან გავიდეს საჩხუბრად, ან საჩემპიონო სარტყელისკენ ვინმე სხვას გაუხსნას გზა.

საავტომობილო სიახლეებს დეტროიტში ნახავთ

კრაისლერ ME4-12

დოჯ სლინგ შოტი

ჯიპ რესკიუ

მერაბ ლორთქიფანიძე

ახალი წლის დადგომისთანავე, იმ საავტომობილო კომპანიებმა, რომლებსაც თავიანთი ინტერესი გააჩნიათ ჩრდილოამერიკულ ბაზარზე, თავი მოიყარეს დეტროიტში, სადაც "კობო სენტერის" საგამოფენო კომპლექსი წლის პირველ დიდ საავტომობილო გამოფენას – ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო ავტოსალონს (NAIAS) მასპინძლობს.

ავტოსალონი 4 იანვარს გაიხსნა მასმედიისთვის, რომელიც ორი დღის განმავლობაში დაწვრილებით ინფორმაციას ღებულობდა იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც უახლოეს მომავალში აქტუალური იქნება ჩრდილოეთ ამერიკის ავტობაზარზე. "კობო სენტერის" საგამოფენო კომპლექსის 700 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი მსოფლიოს ათეულობით ავტომწარმოებელს დაეთმო, რომლებმაც მნახველის წინაშე 700-მდე სერიული და კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინეს. ათი იანვრიდან ავტოსალონი დამთვალიერებლებისთვის გახსნის კარებს და ათი დღის განმავლობაში უმასპინძლებს, როგორც მოელიან, მილიონამდე ადამიანს.

საერთოდ, ჩრდილოეთ ამერიკის ავტობაზარი ყველაზე მიმზიდველია მსოფლიოს წამყვანი კომპანიებისთვის. დღეისათვის მსოფლიოს ავტობაზარი გარკვეულ სტაგნაციას განიცდის (გაყიდვების მხრივ). უფრო მეტიც, ევროპაში გასულ წელს გაყიდვების კლება დაფიქსირდა. სამაგიეროდ, აშშ-სა და კანადაში ამ მხრივ პრობლემები არ ყოფილა და ბევრი სპეციალისტის პროგნოზით, წლეულს იქ გაყიდვების მოცულობა გაიზრდება კიდეც. რაც შეეხება დეტროიტის ავტოსალონს, ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ მისგან დაახლოებით 600 მილიონი დოლარის საერთო ეკონომიკური ეფექტია მოსალოდნელი.

ბუნებრივია, დეტროიტში წარმოდგენილი სიახლეები ჩვენს ავტომოყვარულებსაც დააინტერესებთ და ჩვენ ვეცდებით, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი ცნობისწადილი.

ყველაზე სწრაფი მსოფლიოში - კრაისლერ ME4-12

ბოლო წლებში "კრაისლერს" ტრადიციად დაუმკვიდრდა დეტროიტის ავტოსალონზე ეგრეთ წოდებული შოუ-სტოპერების წარმოდგენა. ეს არის ექსპონატები, რომლებიც მნახველს გულგრილს ვერ დატოვებს. შარშან თუ ასეთად კომპანიამ ოთხბორბლიანი მოტოციკლი "დოჯ ტომაჰავკი" წარმოადგინა, წლეულს შოუ-სტოპერობა ერგო სუპერავტომობილ "კრაისლერ ME4-12"-ს, რომელიც არამხოლოდ "კრაისლერის", არამედ საერთოდ, ავტოინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ავტომობილია.

კონსტრუქტორებმა ამ ავტომობილზე მუშაობა მაშინ დაიწყეს, როცა "ტომაჰავკი" შარშანდელი ავტოსალონის სუპერვარსკვლავად მოგვევლინა. თუმცა, იმ მოტო-მუტანტისგან განსხვავებით, "კრაისლერ ME4-12"-ს კონკრეტული მისია აკისრია – ეს ავტომობილი "დაიმლერკრაისლერისთვის" იგივე როლს ითამაშებს, როგორსაც "ფოლკსვაგენისთვის" ასრულებს სუპერავტომობილი "ბუგატი ვეირონი".

"კრაისლერის" ჯგუფის უფროსი ვიცე-პრეზიდენტის, ტრევორ ქრიდის თქმით, სუპერკარი ME4-12 "კრაისლერის" იმიჯს განსაკუთრებულ ხიბლს შესძენს და მისი დახმარებით ამ მარკის ავტომობილებიც უფრო მეტ ავტორიტეტს მოიპოვებენ მყიდველის თვალში. "მასში პრესტიჟულობასთან შეხამებულია სისწრაფე და გარეგნული ხიბლი", - ამბობს ქრიდი.

ობურნ ჰილზში შექმნილი ამ სპორტული ავტომობილის დიზაინი მთლიანად ექვემდებარება აეროდინამიკურ მოთხოვნებს, რომლებიც გზის საფართან ჩაჭიდების მაღალი კოეფიციენტის მისაღებად და ძრავის მაქსიმალური გაგრილებისთვისაა მოწოდებული.

ფირმა AMG-ს მიერ ფორსირებული "მერსედეს-ბენცის" წარმოების 6-ლიტრიანი, V12 კონფიგურაციის ძრავის მეშვეობით, რომელიც 850 (!) ცხენის ძალას ავითარებს, ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 400 კმ/სთ-ს (!) აღწევს, ადგილიდან ას კილომეტრის აკრეფას კი ის 2.9 წამს (!) ანდომებს. ძრავთან შეწყვილებულია კომპანია "რიკარდოს" წარმოების 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი. ეს აგრეგატები კი აწყობილია კარბონისა და შუშის კომპოზიტებით დამზადებულ და ალუმინის ტიხრებით არმირებულ მსუბუქ შასიზე, რომლის დამზადებაშიც მონაწილეობდნენ იტალიური ფირმა "პაგანის" სპეციალისტები, რომლებსაც სუპერავტომობილების წარმოების დიდი გამოცდილება აქვთ (მათ ქმნილებას, სახელად "ძონდა", ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს).

სლინგ შოტი - სმარტი დოჯის ფორმაში

იმისათვის, რომ თავისი ამერიკული დივიზიონი სერიოზული კრიზისიდან გამოიყვანოს, კომპანია "დაიმლერკრაისლერი" აფართოებს "კრაისლერის" საწარმოო პროგრამას, რომელშიც მალე გაამერიკელებული "სმარტი" გამოჩნდება შეცვლილი სახელით "სლინგ შოტ", რაც ქართულად შურდულს ნიშნავს.

"რამდენადაც ეს ავტომობილი "დოჯის" მარკით გაიყიდება, გასაკვირი არაა, რომ მასში სუპერკარ "დოჯ ვაიპერთან" გარკვეული მსგავსება შეინიშნება. "ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ შეგვექმნა "სმარტზე" გაცილებით უფრო სერიოზული პროდუქტი, რომელიც ადვილად ჩაჯდებოდა "დოჯის" სამოდელო პროგრამაში", - ამბობს ავტომობილის მთავარი დიზაინერი ალან ბარინგტონი.

ორადგილიანი "სლინგ შოტის" მთავარი ღირსება მისი ეკონომიურობაა. სამცილინდრიანი ძრავი, რომელიც "სმარტის" პლატფორმის უკანა ნაწილშია მოთავსებული, ას ცხენის ძალას ავითარებს. მაბრუნ მომენტს წამყვან თვლებს ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი გადასცემს. ავტომობილს შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები გააჩნია და რაც მთავარია, ას კილომეტრზე დაახლოებით 3.5 ლიტრ საწვავს მოიხმარს.

ჯიპის მაშველი

ისტორიულად, ყველაზე ცნობილ უგზოობის ავტომობილებს კომპანია "ჯიპი" ამზადებდა და ბუნებრივია, სწორედ ამიტომ მოიხსენიებენ ხშირად ჩვენში ამ კლასის ავტომობილებს ჯიპებად. ლეგენდარული "ვრანგლერის" შთაგონებით და მიბაძვით, უგზოობის ავტომობილების წარმოება კონკურენტმა კომპანიებმაც დაიწყეს და დღეს "ჯიპს" ბაზრის ამ სეგმენტში პირველობასაც კი ეცილებიან. უფრო მეტიც, დღეისათვის უგზოობის საუკეთესო ავტომობილად "ჰამერია" მიჩნეული.

ბუნებრივია, "ჯიპისგან" კარგა ხანია, ყველა საპასუხო ნაბიჯს ელოდა და აი, დეტროიტში ხანგრძლივ მოლოდინს წერტილი დაესვა – "ჯიპის" პავილიონის მთავარ პერსონაჟად მნახველს ავტომობილი "რესკიუ" (მაშველი) წარუდგა.

ეს ავტომობილი არის ნამდვილი მაშველი, რომელსაც არანაირი უგზოობისა და რთული საგზაო და მეტეო-პირობების შიში არ გააჩნია. მოკლედ, სრულად შეესაბამება თავის სახელს. ამასთან, მწარმოებელი არ მალავს, რომ "რესკიუ" სამხედრო დანიშნულებისთვისაც შეიძლება იქნეს გამოყენებულ. ავტომობილს გაუვალი წინაღობების გადალახვაში დიდ დახმარებას უწევს 37-დუიმიანი (!) ბორბლები, რომლებშიც წნევას კომპიუტერი აკონტროლებს. ამ სისტემის საშუალებით, გზის კონდიციებიდან გამომდინარე, მძღოლს ავტომობილის გაუჩერებლად შეუძლია საბურავებში საჭირო წნევის შექმნა.

ავტომობილი აღჭურვილია "დაიმლერკრაისლერის" შემადგენლობაში მყოფი კომპანია "ქამინზის" წარმოების დიზელის ძრავით, რომლის მაბრუნ მომენტსაც დიდი დატვირთვის ავტომატური ტრანსმისია ანაწილებს. გარდა ამისა, ავტომობილის აღჭურვილობაში შედის სამგანზომილებიანი ტოპოგრაფიული სისტემა, მისი შესაფერისი სანავიგაციო სისტემა და ავტონომიური ათკილოვატიანი ელექტროგენერატორი, სხვადასხვა დანიშნულების ვიდეოკამერები და სამძებრო საშუალებები. მოკლედ, "ჯიპის მაშველი" სრულად ამართლებს თავის დანიშნულებას – მისი სახით ახლო მომავალში "ჯენერალ მოტორსის" "ჰამერს" სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება. ახლო მომავალში, რადგან კომპანიის პრესმდივნის განცხადებით, დეტროიტში წარმოდგენილი ოთხი კონცეპტუალური მოდელიდან (მეოთხეა ტოკიოში ნაჩვენები უგზოობის სამადგილიანი მოდელი "ჯიპ ტრეო") კონვეიერამდე მიღწევის ყველაზე მეტი შანსი სწორედ "ჯიპის მაშველს" აქვს.

მომთაბარე ბრუნდება?

"ჯენერალ მოტორსის" ერთერთმა ყველაზე დიდმა დივიზიონმა "შევროლემ" წლეულს დეტროიტში რამდენიმე სიახლე წარმოადგინა, რომელთა შორისაც ფიგურირებს როგორც კონცეპტუალური, ასევე წარმოებისთვის განკუთვნილი ავტომობილები. მათ შორის მარკის პავილიონში შოუ-სტოპერის რანგში სუპერავტომობილი "შევროლე კორვეტი" წარსდგა. მასზე და "შევროლეს" კიდევ ერთ ახალ ავტომობილზე, მოდელ "კობალტზე" რუბრიკა "ავტოსალონი" მოგვიანებით შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას, დღეს კი არანაკლებ საინტერესო ავტომობილს, კონცეპტუალურ "ნომადს" (ნომად ჩვენებურად მომთაბარეა) გაგაცნობთ.

"შევროლემ" პირველად ამ სახელით ავტომობილი 1954 წელს შექმნა და მას ინდექსად C1 მიუწერა. ეს კონცეპტუალური ავტომობილი კონსტრუქტორებმა სპორტული "კორვეტის" ბაზაზე დაამზადეს. ნახევარი საუკუნის წინ შექმნილმა "ნომადმა" კონვეიერამდე ვერ მიაღწია. თუმცა, ამის მიუხედავად, ფირმის კონსტრუქტორებმა 1999 წელს ეს სახელი კიდევ ერთხელ გამოიყენეს, როცა დეტროიტის ავტოსალონის მნახველს წარუდგინეს ეგრეთ წოდებული პარკეტის ჯიპის, იგივე ქროსოვერის კლასის "ნომადი".

ახალი "ნომადის" მიკუთვნება რომელიმე კონკრეტულ კლასთან, ცოტა არ იყოს, ძნელია. მგზავრთა ტევადობის მიხედვით, მისი ფორმულაა 2+2, რითაც ის სპორტული ავტომობილების კლასს უნდა მიეკუთვნებოდეს. მის სპორტულობასვე უსვამს ხაზს "პონტიაკ სოლსტაისთან" მსგავსებაც (ეს ავტომობილიც ახალ, კაპა-პლატფორმაზეა დამზადებული და ისიც დეტროიტში იქნა წარმოდგენილი). უფრო მეტიც, "ნომადი" რაღაცით ლილიპუტ "მინი კუპერსაც" მოგვაგონებს და ძარის მოყვანილობით, თავისუფლად შეიძლება ის უნივერსალად მივიჩნიოთ. მოკლედ, აშკარაა, რომ "შევროლეს" დიზაინერები და კონსტრუქტორები ხარკს უხდიან თანამედროვე საავტომობილო მოდას, რომლის მიმდევარი ავტომწარმოებლებიც სულ უფრო ხშირად ამზადებენ ისეთ ავტომობილებს, რომლებიც ერთდროულად ორსამ სხვადასხვა კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ.

"ნომადი" აღჭურვილია 2.2-ლიტრიანი ძრავით სახელად "ეკოტექ", რომელიც 210 ცხენის ძალას ავითარებს ფორსირებისთვის გამოყენებული ტურბოდამჭირხნის დახმარებით. კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ამ "მუტანტის" წარმოება, "ჯენერალ მოტორსის" დიზაინის განყოფილების ახალმა დირექტორმა ედ უელბურნმა განაცხადა, რომ ჯერ კომპანიას ამ ავტომობილის წარმოება არ გადაუწყვეტია, თუმცა მასში წარმოდგენილი იდეების ხორცშესხმით დიდადაა დაინტერესებული.

სატურნ კურვე - იტალიური წარმოშობის ამერიკელი

"სატურნ კურვე" მესამე ავტომობილია, რომლის დასამზადებლადაც "ჯენერალ მოტორსის" კონსტრუქტორებმა გამოიყენეს სრულიად ახალი პლატფორმა კოდური სახელწოდებით კაპა. პირველად ეს პლატფორმა სპორტული "პონტიაკ სოლსტაისთვის" დამზადდა. ეს ავტომობილი უკვე წარმოებისთვისაა გამზადებული და მას ჩვენი რუბრიკის მკითხველი აუცილებლად გაეცნობა.

რაც შეეხება "კურვეს", მის შექმნაში "ჯენერალ მოტორსის" კონსტრუქტორებთან ერთად იტალიური დიზაინ-სტუდია "პინინფარინას" სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ, რაც მის "ევროპულ" გარეგნობაში აისახა. "კურვეს" გარეგნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი წინა ნაწილის "ბუგატი ვეირონთან" მსგავსება. შენიღბული წინა საყრდენები კი მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს სალონი მთლიანად შუშისა იყოს.

ისევე როგორც "შევროლე ნომადი", "სატურნ კურვეც" აღჭურვილია "ეკოტექის" სერიის 2.2-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრეც, 210 ცხენის ძალამდეა ფორსირებული. მასთან შეწყვილებულია 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი.

შელბი კობრა იმიჯს იცვლის

განახლების დრო დაუდგა საქვეყნოდ ცნობილ სპორტულ ავტომობილ "შელბი კობრას", სუპერავტომობილს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ იცვლიდა გარეგნობას, მაგრამ ახალ საუკუნეში ვერც ის ასცდა სახეცვლილებას. სახელწოდება "შელბი" პირველად ავტობაზარზე ოთხი დეკადის წინ გამოჩნდა, როცა ამ პატარა ფირმის მარკით "ფორდმა" თავის მყიდველს შესთავაზა ისედაც მეტად პოპულარული სპორტული ავტომობილი "მუსტანგი".

"ცისფერი ოვალისა" და "შელბის" პარტნიორობის დაწყებიდან ორმოცი წლის შემდეგ ამ ორმა კომპანიამ თავიანთი ახალი ერთობლივი ნამუშევარი მნახველის წინაშე დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა. ეს არის როდსტერი "შელბი კობრა" ლეგენდარული "AC კობრას" არანაკლებ ლეგენდარული ტოპ-მოდიფიკაცია, რომელიც ალბათ მალე არაერთი მდიდარი ავტომოყვარულის ავტოფარეხს დაამშვენებს.

"ფორდის" დიზაინის განყოფილების დირექტორ ჯონ მეის თქმით, "შელბი კობრას" არ აქვს არც კარები, არც გვერდითი შუშები, არც რადიო და არც მსგავსი ზედმეტი რამეები. ავტომობილი განკუთვნილია იმისათვის, რომ თავის პატრონს მართვისგან სიამოვნების ზღვა მიანიჭოს.

განახლებული და გვარიანად სახეშეცვლილი როდსტერი აღჭურვილია 6.4-ლიტრიანი, V10 კონფიგურაციის ძრავით, რომელსაც 605 ცხენისძალიანი სიმძლავრე გააჩნია და მისი მაბრუნი მომენტი დაახლოებით 650 ნ/მ-ს შეადგენს. კლასიკური "ჟანრის" შესაფერისად, ავტომობილს წამყვანი თვლები უკან აქვს. "შელბი კობრას" მაქსიმალური სიჩქარე 304 კმ/სთ-ია, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს კი იგი 4 წამზე ნაკლებში კრეფს. თუ ეს საკმარისი არ არის, მაშინ შესაძლებელია ძრავის ტურბოჩამბერით აღჭურვა, რისი წყალობითაც მისი სიმძლავრე 700 ცხენის ძალას გადასცდება და შესაბამისად, კიდევ უფრო გაუმჯობესდება როდსტერის ისედაც ფანტასტიკური დინამიკური მაჩვენებლები.

"ფორდის" ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მათი სუპერავტომობილი "მხოლოდ კონცეპტუალური მოდელია". თუმცა, იქვე გვახსენებენ, რომ ასეთივე "მხოლოდ კონცეპტუალური" იყო ერთ დროს მათი კიდევ ერთი სუპერავტომობილი – "ფორდ GT", რომელმაც ერთ წელიწადში საწარმოო მოდელის სტატუსი "მოიპოვა". ერთი წლის შემდეგ იგივე გზა განვლო ახალმა "ფორდ მუსტანგმაც". ასე რომ, გამორიცხული არაა, ერთი წლის შემდეგ "შელბი კობრაც" ვიხილოთ "ცისფერი ოვალის" საწარმოო პროგრამაში. რაც შეეხება მის სავარაუდო ფასს, იგი ნაკლები იქნება "ფორდ GT"-ს 139000 დოლარზე და მეტი – კონკურენტი "დოჯ ვაიპერის" 80-90000 დოლარზე.

შევროლე ნომადი

სატურნ კურვე

ფორდ შელბი კობრა

ჯექსონი მაშველი

მაიკლ ჯექსონი

მაიკლ ჯექსონმა გადაწყვიტა სასამართლო პროცესამდე კინოგადაღებებში მიიღოს მონაწილეობა. ახალი ფილმის სიუჟეტი ასეთია: თვითმფრინავი, სადაც სილამაზის კონკურსის მონაწილეები სხედან, კატასტროფას განიცდის და გოგონები უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდებიან. მაშველად კი მათ რომის პაპის მიერ წარგზავნილი ემ ჯეი მოევლინებათ. სწორედ ამ მაშველის როლს ასრულებს მომღერალი მაიკლ ჯექსონი. გმირი საკუთარ მისიას შესანიშნავად გაართმევს თავს.

ცნობილია, რომ ფილმი ეკრანებზე 2004 წელს უნდა გამოვიდეს. გადაღებების ნაწილი პოპის მეფის სამფლობელოში, "ნევერლენდშიც" მიმდინარეობდა.

ფინანსური კრიზისი უოლტ დისნეის ანიმაციურ სამყაროში

უოლტ დისნეი

კომპანია "უოლტ დისნეი", რომელმაც სულ რამოდენიმე თვის წინ აღნიშნა თავისი იუბილე, დღეს ფინანსურ კრიზისს განიცდის და ერთმანეთის მიყოლებით ხურავს ევროპის ქვეყნებში განთავსებულ მულტიპლიკაციურ სტუდიებს. ამჯერად პარიზსა და ტოკიოში დახურული სტუდიების ბედი, შტატ ფლორიდის სტუდიამ – ორლანდომაც გაიზიარა, სადაც ჯერ კიდევ ნოემბერში, წარმოებაში ჩაშვებული პროექტი "რამოდენიმე კარგი მეგობარი" ლამის შუა მუშაობის პროცესში გააჩერეს. სულ რაღაც 5 წლის წინ დაარსებულმა სტუდიამ სამი საინტერესო ანიმაციური ფილმი შექმნა: "მულანი" 1998 წელს, "ლილო და სტიჩი" (2002 წ.) და "ჩემი ძმა დათვი" (2003 წ.).

სტუდიის დახურვას, ბევრი მსოფლიო მულტიპლიკაციაში გაბატონებული ე.წ. ციფრულ ანუ კომპიუტერზე შესრულებულ მულტიპლიკაციას უკავშირებს, რომელიც გაცილებით უფრო შემოსავლიანია. ამის მაგალითად თუნდაც იმის მოყვანა კმარა, რომ ხელით შესრულებულმა "დისნეის" ანიმაციურმა ფილმმა "ჩემი ძმა დათვი" 83,3 მილიონი, ხოლო მთლიანად ციფრულმა "ნემოს ძიებაში" უკვე 339,7 მილიონი მოუტანა შემქმნელებს.

უდიდესი ჯილდო – ხალხის სიყვარული



ჯონი დეპი

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, საფრანგეთში ცხოვრობს და ხშირად შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის პოლიტიკასაც აკრიტიკებს ხოლმე, ჯონი დეპი ხალხის საყვარელი მსახიობია. გასულ კვირას შეერთებული შტატების კინომოყვარულებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ხელოვნება მათთვის უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე პოლიტიკური ორომტრიალი: "კარიბიის ზღვის მეკობრეებში" მთავარი როლის შემსრულებელ ჯონი დეპს "ხალხის რჩეულის ჯილდო" გადასცეს (ასეთი ცერემონია უკვე ოცდამეათედ გაიმართა).

ჯონი დეპთან ერთად ამერიკელებმა თავიანთი სიყვარულით დააჯილდოვეს მელ გიბსონი და მშვენიერი ჯულია რობერტსიც. ამ უკანასკნელს ასეთი პატივი უკვე მეცხრედ ხვდა წილად.

ამერიკელთა საყვარელი დრამა არის "ბეჭდების მბრძანებელი: ორი კოშკი", საუკეთესო კომედიად კი "ყოვლისშემძლე ბრიუსი" დაასახელეს (ჯიმ კერის მონაწილეობით). ამერიკის საუკეთესო გამრთობი ტომ ჰენქსი ყოფილა.

კვლავ ბრიტნის თავს დატრიალებული ამბავი

ბრიტანულმა ბულვარულმა გაზეთმა News of The World-მა გასულ კვირას ექსკლუზიური მასალა გამოაქვეყნა, რომელიც ბრიტნი სპირსის უაზრო ქორწინებასა და ლას ვეგასში ყოფნას შეეხება. "გაირკვა: ბრიტნის 72 გიჟური საათი და ვე-

ბრიტნი სპირსი

ლური სექსი" – ასეთი სათაური მართლაც თვალშისაცემია და ნომრის საუკეთესოდ გაყიდვის საწინდარიც გახლავთ.

რეპორტიორები დაწვრილებით აღწერენ მომხდარის – 22 წლის მომღერლის ხანმოკლე ოჯახური ცხოვრების თავიანთ ვერსიას. სექსუალური თავგადასავლის გარდა, გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს ოდესღაც "უბიწო ქალწულის" ალკოჰოლისკენ ლტოლვასაც უთმობს. ბრიტანელი ჟურნალისტები აცხადებენ, რომ გრძნობის დაკარგვამდე დათრობა ბრიტნი სპირსისთვის უცხო განცდა არ ყოფილა.

ეს უკანასკნელი ამბავი მომღელის ხმისჩამწერ ფირმასაც აშკარად აღელვებს - გიჟურმა ყოფამ შეიძლება მის კარიერაზე არასასურველი გავლენა იქონიოს. ბრიტანული პრესა მომღერალს მკურნალობას ურჩევს.

ამჟამად პატარა და ჩერჩეტი ბრიტნი თავის ოჯახთან ერთად ისვენებს – ეს ამბავი მის გულშემატკივრებს "დეილი სტარმა" შეატყობინა.

ოთხნი

ბიონს ნოულზის სოლო-დებიუტს, Dangerously in Love-ს, რომელიც მილიონობით ეგზემპლარად გაიყიდა, სულ მალე მეორე ალბომიც მოჰყვა, არანაკლებ წარმატებული. მაგრამ სიტყვა სიტყვაა, და მომღერალი კვლავ Destiny's Child-ს უბრუნდება. ამრიგად, თვითდამკვიდრების გზაზე ბიონსი თავს გამარჯვებულად გრძნობს და ამჯერად თავს კეთილშობილური საქციელის უფლებასაც აძლევს.

ალბომ Survivor-ის შემდეგ ნოულზის გარდა ჯგუფის ორმა წევრმა, კელი როულენდმა და მიშელ ვილიამსმაც სცადეს დამოუკიდებლად განეხორციელებინათ პროექტები.

შეერთებული შტატების პრესა იუწყება, რომ ჯგუფს შეიძლება კიდევ ერთი წევრი შეუერთდეს – ამ საქმით ბიონსის და, სოლენიც დაინტერესებულა.

Destiny´s Child

სკანვორდი



TV პროგრამა

13 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **09.40** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **10.10** მულტფილმი "სტიაურტ ლიტლი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** კურიერი **11.15** მულტფილმი "სტიაურტ ლიტლი" **12.20** მხ. ფილმი "ნადირთმჭერი" **14.15** მხ. ფილმი "ვინ გააბრიყვა ყურცქვიტა როჯერი" **16.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **16.15** მხ. ფილმი "ვინ გააბრიყვა ყურცქვიტა როჯერი" **16.35** მხ. ფილმი "ჯადოქარი" **19.20** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "გულთამყრობელები". მთ. რ-ში: ჯინ ჰეკმანი, სიგურნი უივერი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "ჯადოქრები" 1-ლი ს. **11.20** "მრავალჟამიერ" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "შეყვარებული გასტროლიორი" **16.40** მულტფილმი "თოვლის პაპა ღვარძლიანი არ არის" **17.05** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმლერე რამე" **21.45** "ერისიონი" **22.00** საახალწლო **01.00** ქართ. ფილმი "ყვავილი თოვლზე"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ბიჭები და გოგონები" მთ.რ-ში ფრედი პრინცი უმცროსი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სიყვარული.ქომ" მთ.რ-ში სელია კსავიე, მაკლ მედსენი. **01.40** "ღამურა" "ბოლო კონტრაქტი" მთ.რ-ში დერილ ჰანა, დომინიკ სუეინი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (განმ) **10.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მულტფილმი "პიტერ პენი" **14.10** მხ. ფილმი "ფლაბერი ანუ მფრინავი რეზინი" **16.10** მხ. ფილმი "ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმის" **18.30** მულტსერიალი "კერატის თავგადასავალი" მე-2 ს. **19.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "სანამ წახვალ სადმე, მოაგვარე საქმე" **22.45** მუს. ფილმი "მზიური ქვეყნის სერენადა" **00.00** საახალწლო მილოცვა **00.15** ნინო ქათამაძის საახალწლო კონცერტი.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პოკაჰონტასი" **19.40** კინოსეანსი "შერეკილები არდადეგებზე" **21.10** ახალი წელი (საახალწლო) **22.00** საახალწლო გამოშვება

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ეშმაკის საკუთრება" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გენერალი" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** მულტფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ორფეოსი" **17.30, 18.00, 21.00** დოკ. ფილმი **20.00** ჯაზის საღამოები (განმ.) **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ღამაზმანი და ურჩხული"

მცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 22.10, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ფრანგი მეკობრის ყურე" **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 103-ე ს. **16.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-11 ს. **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.25** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** ყოჩაღები - საახალწლო **22.30** ღამის მატარებელი **00.20** ოლიმპი - საახალწლო **00.45** "ცხელი ცხრიანი" **01.45** მხ. ფილმი "ტურების ბუნაგი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 17.20, 03.55** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "შარაგზის რაინდი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 03.40** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.25** ლარის მახე **21.05** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" **23.50** საახალწლო **01.55** მხ. ფილმი "ავანტიურისტები"

არხი

08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.10, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.20** ისტორიული ფილმი "ბუს ციხესიმაგრე" **11.40** მუსიკა **12.20** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები "ახალი იმედი" **14.25** მელოდრამა "ცეკვები ლუნაზის დროს" **16.20** მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები" **17.25** კომედია "დიდი რბოლა" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები"საპასუხო დარტყმა" **23.00** "Пресс-папье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** საახალწლო ტრადიციები აჭარაში **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** საახალწლო პროგრამა **01.50, 03.40** Новогодний огонек из Москвы **05.00** დოკუმენტური ფილმი

ОРТ

07.00 Доброе утро! **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Запомните, меня зовут Рогозин!", 1 с. 11.30 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.40** Мультсериал "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Сериал "Неудача Пуаро" 14.20** Закрытое досье **15.00** Город женщин **16.20** Угадай мелодию **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** Большая стирка **19.30** Последний герой **20.30** Кривое зеркало **22.00** Время **22.30** Кривое зеркало **01.30** Дискотека 80-х **03.50 Худ.фильм "Знаменитость"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Комедия "Матрос с "Кометы" 11.45, 14.45, 17.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Вести-Москва **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50** Сам себе режиссер **15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Маросейка, 12" 19.05 Сериал "Навеки Джулия" 20.00 Сериал "Тайны следствия. Мягкая лапа смерти" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55** "Аншлаг". Старый Новый год **01.25 Комедия "Вход через окно" 04.00** Агентство одиноких сердец **04.25 Сериал "Ангелы Чарли"**

НТВ

07.00 УУтро наа НТВВ **09.55 ССериаал "Тааксистkaa" 11.00** ССегоддня уром **11.25** "ДДикий мир: краасная вддоваа" **12.15** ТТок-шоу "ССтраанаа советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 ККомеддия "ППрезиддент и егго внучкаа" 15.30** ППротокол **16.35** ТТок-шоу "ППринцип ддомино" **18.25 ССериаал "Онаа написаалаа уббийство" 19.30** ППротокол **20.45 ССериаал "Каак в ссттаром ддетективе". 2 с. 21.55 ССериаал "Тааксистkaa". 2 с. 23.00** "ССтраанаа и мир" **23.35** ККраснаая стрелаа **23.50** "Сделаано в СССРР. Made in USSR". ППрааздднично шоу **02.20** ККомаа: это праавдаа

მაღალი მოდა - 2003

ალექსანდერ მაკქუინის გოგონები დაკუნთულ მოცეკვავეებთან ერთად ვნებიან ტანგოს ცეკვავდნენ.

ცნობილმა კრიტიკოსმა, მისის ბარშტაინმა, 2003 წელს "მაღალი მოდის" სამყაროში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ნუსხა გამოაქვეყნა.

გასული წლის **საუკეთესო დიზაინერად** ქალბატონმა ბარშტაინმა მარკ ჯეიკობსი დაასახელა: "ადრე ყოველი ჩვენების შემდეგ ვურეკავდი ხოლმე და ვევედრებოდი, ასეთი უხეში ქსოვილები აღარ გამოეყენებინა. მაგრამ, დღეს მარკს ვეღარაფერში დავადანაშაულებ – მან მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია წარმოაჩინა და საუკეთესო მასალა გამოიყენა". ბრიტანული "ვოგის" შეფასებით, ჯეიკობსის მიერ 50-იანი წლების სტილში შექმნილ გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციას წუნი არა აქვს.

რაც მოდის ჩვენებას შეეხება, გასული წლის **ყველაზე შთამბეჭდავი შოუს** ავტორი ალექსანდერ მაკქუინი ყოფილა (2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექცია). პარიზში გამართულ ჩვენებაზე ალექსანდერ მაკქუინის გოგონები დაკუნთულ მოცეკვავეებთან ერთად ვნებიან ტანგოს ცეკვავდნენ. ეს საოცარი სანახაობა პარიზში, და შესაბამისად, მთელ მსოფლიოში, საგაზაფხულო მოდის ჩვენების კულმინაცია გახდა. "1969 წელს სიდნეი პოლაკის მიერ გადაღებული ფილმი ვნახე, "ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს", და ვიფიქრე, რომ ამ თემაზე ჩინებული შოუს გაკეთება შეიძლებოდა," თქვა მაკქუინმა. ის ქორეოგრაფ მაიკლ კლარკთან ერთად ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა, და შედეგად მთელმა მსოფლიომ აღტაცებით აღნიშნა მოცეკვავეების ხელოვნება და თავად დიზაინერის არაჩვეულებრივი სტილი. ტანზე მომდგარი ტოპები და მოშრიალე ქვედაბოლოები, რომანტიკული შიფონის კაბები, ნაქარგობა და ქსოვილის ნაზი ნახატები უჩვეულო სანახავი იყო.

მისის ბარშტაინის თქმით, "მაკქუინი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ყველაზე საოცარი პეჩვორკის სტილში შესრულებული კოსტუმები და პატარა შავი კაბა იყო".

გასულ წელს ტომ ფორდმა გუჩის სახლი დატოვა (მომავალ სეზონზე ფორდის უკანასკნელი კოლექცია იქნება წარმოდგენილი), და ყველამ გადაწყვიტა, რომ მას ალექსანდერ მაკქუინი შეცვლის. ამავე დროს მაიკლ კორსი "სელინისთვის" შექმნილი უკანასკნელი კოლექციის ჩვენებას გამართავს. ასეთი ცვლილებები 2004 წლისთვის **ახალი სახელების** გამოჩენის საუკეთესო საშუალებას იძლევა. როლანდ მიურე სწორედ ასეთი გახლავთ – ქალბატონი ბარშტაინი მას 2004 წელს დიდ წარმატებებს უქადის: "შესანიშნავი, მრავალმხრივი და მოქნილი დიზაინერია. მისი კანდიდატურა წამყვანი მოდის სახლებისთვის ყველაზე ხელსაყრელად ითვლება".

გასული წლის **ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად** კი მისის ბარშტაინი მილანში აღნიშნულ "მისონის" 50-ე იუბილეს ასახელებს. "ამ ჩვენების გახსენებისთანავე დადებითი ემოციების მოზღვავებას განვიცდი," ამბობს კრიტიკოსი.

ამ ჩვენებას "რეტროსპექცია" ერქვა. პოდიუმის უკან, რომელზეც მოდელები "მისონის" ფორმირების და განვითარების ყოველი ეტაპის დემონსტრირებას ახდენდნენ, მისონის ოჯახის გამოსახულების უზარმაზარი რეპროდუქციები იყო გამოფენილი – მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპები, ქორწინების დღის ჩათვლით. ჩვენების შემდეგ პოდიუმი უზარმაზარ მისაღებ ოთახად იქცა, სადაც მისონის ბალიშები იყო მიმოფანტული და მაგიდებზე მისეული ტანსაცმელი ეწყო. "შესანიშნავი ჩანაფიქრი იყო," აღნიშნავს მისის ბარშტაინი.

"სუნამო" - ეკრანიზაცია

ტომ ტიკვერი

ჟურნალ "ფოკუსის" ინფორმაციის თანახმად, პატრიკ ზიუსკინდის რომანის, "სუნამოს" ეკრანიზაციას ტომ ტიკვერი განახორციელებს, რეჟისორი, რომელმაც სახელი ფილმით "ლოლა მირბის" გაითქვა.

ფილმის გადაღების უფლებისთვის კონკურსი გასულ წელს გამოცხადდა. მის გადასაღებად საჭირო თანხა – ათი მილიონი ევრო – მაშინათვე იყო დასახელებული. ამ ფილმის გადაღების მსურველთა შორის რიდლი სკოტი ("გლადიატორი") და კეროლინ ტომპსონიც ("ხელმაკრატელა ედვარდი") იყვნენ.

"სუნამოს" გადაღებას ტიკვერი წელსვე გეგმავს. სცენარის ავტორები თავად ტიკვერი და ანდრეი ბირკინი არიან ("ვარდის სახელი"). მთავარი როლის შემსრულებლად რეჟისორს ორლანდო ბლუმის, "ბეჭდების მბრძანებლის" გმირის მოწვევა აქვს განზრახული.

30-წლიანი მეგობრობის შემდეგ

მარტინ სკორსეზე გადასაღებ მოედანზე

ამერიკის შეერთებული შტატების მედიაში ავრცელებენ ინფორმაციას, რომ 2005 წელს წიგნის ბაზარზე რეჟისორ მარტინ სკორსეზესა და მსახიობ რობერტ დე ნიროს მიერ ერთად დაწერილი მოგონებების კრებული გამოვა. ამ ორმა ნიუ იორკელმა ხელოვანმა 1973 წელს პირველი ერთობლივი ფილმი გადაიღო, რომელიც მანჰეტენის ქუჩის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. რეჟისორმა თავისი მეგობარი კიდევ შვიდ ფილმში მოიწვია, ასე რომ, გასახსენებელი ბევრი რამ ექნებათ.

ბავშვთა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი

"ჯანმრთელი ოჯახი"

გთავაზობთ

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის საწინააღმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქიაჩელის ქ. 18.
ტელ: 98 23 37.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.